პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა კავშირის კურორტებზე ჩამოვიდა გერმანიის ფაბრიკის მუშების ახალი ჯგუფი.
— გაიხსნა სომხეთის ცაკის მეორე სესია.
— ტაუროგენში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით ლიტვაში დახვრიტეს კიდევ 6 კაცი.
— ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
— კელნში (გერმანია) გაიმართა კომპარტიის მიერ მოწყობილი მასიური დემონსტრაცია.
— კომუნისტების პროცესი კორეაში.

შაბათი, 17 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 211 (1956)

საკუთარი საშუალებებით

კაპიტალისტურ ქვეყნებში გრძელდება კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისის შუბლმაგარ კონსერვატორებს ბოლო დროს საფრანგეთის რეაქციონერები გამოეხმაურენ. იმპერიალისტები ცდილობენ მშრომელთა რესპუბლიკის ეკონომიურ იზოლიაციას და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას. ისინი ნიადაგს ამზადებენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმისათვის. ბურჟუაზიული მოსყიდული პრესა ამ მიზნით „ამუშავებს" ევროპის საზოგადოებრივ აზრს.

ასეთ პირობებში ჩვენი ამოცანაა ქვეყნის როგორც საომარი უნარის განმტკიცება, ისე მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლობის უფრო ფართედ და სწრაფად გაშლა, რომ ჩვენი ქვეყანა გავანთავისუფლოთ კაპიტალისტურ მსოფლიოიდან დამოკიდებულებისაგან და თავდაცვის საქმეს მკვიდრი სამეურნეო საძირკველი შეუქმნათ. მაგრამ ყველა ამისათვის საჭიროა დიდძალი საშუალებები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავრჩებით უცხოეთიდან კრედიტის მიღების იმედის ამარა, იმ უცხოეთიდან, რომელიც ლამობს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ბლოკადის განხორციელებას და ამ გზით ჩვენს გატეხას. საჭირო თანხები ჩვენ უნდა გამოვნახოთ თვითონ ჩვენი ქვეყნის შიგნით.

ეს კი სავსებით შესაძლებელია. თუ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტები ყოველნაირ დაბრკოლებებს ქმნიდენ ჩვენი მშენებლობის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები სესხს არ გვაძლევდენ, ჩვენ მაინც მოვახერხეთ საკუთარი საშუალებებით სახალხო მეურნეობის აღდგენა და ფეხი შევსდგით მის გარდაქმნის ხანაში,—ეხლაც გამოვნახავთ რესურსებს ამ მიმართულებით შემდგომი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

გამოვნახავთ, მაგრამ ერთი პირობით: თუ ჩვენ მთელ ძალღონეს დავსძაბავთ და მოვახდენთ ჩვენი საშუალებათა მობილიზაციას. მეურნეობის განსავითარებლად სახელმწიფო ბიუჯეტის წესით წლიდან-წლამდე სულ უფრო მეტი თანხები იდება. მშენებლობის საჭიროებებისათვის ჩვენ ვატარებთ უკიდურეს ეკონომიას, ვანხორციელებთ მუშაობის რაციონალიზაციას, ვახდენთ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებას.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა მთელი მშრომელი მოსახლეობის თავისუფალ საშუალებათა მოზიდვა. ასეთი საშუალებები კი საგრძნობი რაოდენობით მოიპოვება. ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე მუშათა და გლეხთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში. ამასთან, ფასების დაკლების კამპანიამ მრავალი ათეული მილიონი მანეთი შეუნარჩუნა მოსახლეობას. ასე, რომ წვრილ წვრილი მონაგარი საკმაოდაა მუშებსა და გლეხებს შორის გაბნეული.

ეს მონაგარი ხშირად სრულიად უქმად აწყვია და მას სარგებლობა არ მოაქვს არც მისი პატრონისა და არც სახელმწიფოსათვის. ამ დაზოგვილ თანხებს თავი უნდა მოუყაროთ და გამოვიყენოთ მათი მფლობელების და ქვეყნის ინტერესებისათვის. ეს შეიძლება ფულის მოთავსებით შემნახველ სალაროებში, საკრედიტო ამხანაგობებში და სახელმწიფო სესხებში.

იყო დრო, როცა მოსახლეობა არჩევდა ნატურალურ მომარაგებას, ხოლო ფულის შენახვას გაურბოდა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი ფულის კურსი რყევას განიცდიდა და ეცემოდა. მაგრამ საკმაო ხანია, რაც ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღო. საბჭოთა ფული განმტკიცდა. უკანასკნელად, საქონლის თანდათანი გაიაფებასთან დაკავშირებით, მისი მსყიდველობითი ძალა უფრო იზრდება. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რომ მოსახლეობამ ნატურალურ მომარაგებაზე ფულადი მომარაგებას მიანიჭოს აშკარა უპირატესობა და რომ შემონახული ფული მან სახელმწიფოს საკრედიტო ოპერაციებში დააბანდოს. უკანასკნელი ფულის პატრონს მრავალ სხვადასხვა მეტად საგულისხმო შეღავათებს და სარგებლობას აძლევს, გარდა იმისა, რომ ამ გზით ფული საიმედო ადგილას იქნება შენახული.

ოღონდ საჭიროა ფართე აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა მასებში თავიანთ მონაგარის ასეთი შენახვის მნიშვნელობის განსამარტავად. საჭიროა მიზანშეწონილ ორგანიზაციულ ღონისძიებათა ძიება მოსახლეობის თავისუფალ თანხების მოსაზიდად.

მიღწევები ამ დარგში უკვე გვაქვს. ახლა უნდა გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ. ამის შესაძლებლობა უეჭველად დიდია. ჩვენს ენერგიასა და უნარზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

ცილისწამებისა და მუქარის პოლიტიკა

საფრანგეთში ძლიერდება და მწვავდება ანტი-საბჭოთა კამპანია.

რეაქციონურ-ბურჟუაზიული გაზეთები გახელებით განაგრძობენ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე და თანდათან უფრო თავხედურად მოითხოვენ არა მარტო ამხ. რაკოვსკის გაძევებას, არამედ ურთიერთობის შეწყვეტასაც ჩვენთან. კამპანიის მსვლელობაში მალე გამოირკვა, რომ ამ ბნელი კამპანიის ნამდვილ საგანს წარმოადგენს არა რაკოვსკი, არამედ საკითხი დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია კლემანსოსთან ახლო მდგომ გაზეთ „ომ ლიბრში" მოთავსებულ თავხედური წერილის წაკითხვა, სადაც ისინი ასე სვამენ კითხვას—„გვსურს თუ არა ეხლანდელი საბჭოთა ელჩის შეცვლა სხვა ელჩით".

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არსებითად მოღალატურად გამოდის მხოლოდ რეფორმისტ-„სოციალისტური" „პოპიულერი", რომელიც ეწინააღმდეგება დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტისაკენ მიმართულ კამპანიას, როგორც გამოწვეულს მემარჯვენეთა საარჩევნო ინტერესებით, მაგრამ ამ თავის პოზიციას მაინც წარუმძღვარებს ისეთ „დასაბუთებას", რითაც ყოველ ეჭვს გარეშე წყალსასხამს ურთიერთობის შეწყვეტის რეაქციონურ ხელიშემწყობთა წისქვილზე: „პოპიულერი" ამტკიცებს, რომ თითქოს „საბჭოთა მთავრობა არ იღებდა ყველა ღონეს საფრანგეთ-საბჭოთა დამოკიდებულების შესაძლებელ გაუმჯობესებისათვის". „სოციალისტური" რეფორმიზმის ჩვეულებრივი როლი—არის ნოყიერი სასუქი, რომელზედაც თავისუფლად იფურჩქნებიან უსაზიზღროესი რეაქციის ფერადფერადი ყვავილები.

საფრანგეთის მთავრობა დღემდე სდუმს. მთელ რიგი არაოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ მთავრობა სცდილობს ინციდენტის გადაქცევას დიპლომატიურ კონფლიქტად საბჭოთა კავშირთან, და მის გამოყენებას ურთიერთობის გაუარესებისათვის ამ უკანასკნელის დიპლომატიურ შეწყვეტამდე. ასეთ არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს არა მარტო სამინისტროების წრეებთან ახლო მდგომ გაზეთების პოზიცია, არა მარტო მმართველი წრეების დუმილი რეაქციონურ კალმოსნების გააფთრებულ კამპანიაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ თვით ბრიანის პოზიციაც. მთელ რიგ ცნობების მიხედვით, ბრიანის პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ აქვს მთავრობის შიგნით ცალკე მდგომი პოზიციის სახე, რომელიც უპირდაპირდება როგორც მეორე პოზიციას. რომლის მიხვედრაც არც ისე ძნელია. ასეთნაირი ცნობები ბრიანის პოზიციის შესახებ უკვე საკმაოდ გავრცელებულია ანტი-საბჭოთა კამპანიასთან დაკავშირებით.

ბრიანის იმავე პოზიციას გამოხატავს ლეგაშის წერილი გაზეთ „პარი მატინალში". თუ ბრიანის თვალსაზრისის ეს მომხრენი პირდაპირ სწერენ, რომ ვიღაც აიძულებს ბრიანს ხელი მოაწეროს „მოთხოვნას რაკოვსკის გაძევების შესახებ" და თუ მთავრობა ამაზე არ იძლევა ოფიციალური პასუხს, მაშინ ეს უდავოდ მოწმობს იმას, რომ მთავრობაში შიგნით მზადდება ერთგვარი დიპლომატიური გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მასვე გვეუბნება სენატორ დე-მონზის, საფრანგეთ-საბჭოთა კომისიაში, წარმოდგენილ საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარის განცხადება, დემონზიმ „რატომღაც" საჭიროდ სცნო განეცხადებია, რომ ის გადადგება, თუ მთავრობა მიიღებს მოთხოვნას რაკოვსკის გაძევების შესახებ.

ყველა ეს ფაქტები უდავოდ ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის მთავრობაში ნამდვილად არიან დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავების მომხრენი. გაიმარჯვებენ თუ არა გამწვავების ეს მომხრენი, მას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

მეტად საყურადღებოა ის, რომ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანია საფრანგეთში დაიწყო მეორე დღესვე იმის შემდეგ, რაც საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებაში უკვე მიღწეული იყო წინასწარი შეთანხმება. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული იყო საბჭოთა მთავრობის დაკვეთები საფრანგეთში, საფრანგეთის კრედიტების გახსნა საბჭოთა კავშირში და სხ. და აი სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ ისეთ რეაქციონურ გაზეთებს, როგორიცაა მოსყიდული „ჟურნალ დე-დება", ჰყოფნით თავხედობა განაცხადონ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრივ „კომერციული არგუმენტები მოკლებული არიან ყოველგვარ მნიშვნელობას, ვინაიდან საბჭოები არაფერს არ ყიდულობენ".

იმავე შეთანხმებით გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ საფრანგეთისათვის ყოველწლიურად 60 მილიონი ოქროს ფრანკის (დაახლოვებით 22 მილიონი ოქროს მანეთი) გადახდა ძველ საერთაშორისო ვალების ანგარიშში. და აი სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ „ჟურნალ დე-დება" სწერს, რომ ვალების საკითხშიც „საბჭოთა არგუმენტაცია მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას, ვინაიდან სულ ერთია საბჭოები არაფერს არ იხდიანო".

როდესაც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებითანხმდებოდენ ფულის განსაზღვრული თანხის გადახდაზე მეფის მთავრობის ფრანგ მევალეთათვის, ისინი სრულიადაც არ გამოდიოდენ იქიდან, რომ თითქოს საბჭოები იხდიდენ მეფის მთავრობის ვალებს, ე. ი. უბრუნებდენ იმ ფულს, რაც ხმარდებოდა რუსეთის ხალხის დამონებას მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ. ამ მემამულე-კაპიტალისტების მევალეებს არავითარი უფლება არა აქვთ მოსთხოვონ ფული საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს. თუ საბჭოთა წარმომადგენლები საფრანგეთ-საბჭოთა კომისიაში თანხმდებოდენ ფულის გადახდაზე ამას ისინი იხილავდენ ჯერ ერთი როგორც თავის განსაკუთრებულ ნაბიჯს, როგორც დათმობას საფრანგეთისმთავრობისათვის.ამ მთავრობასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. და შემდეგ, მეორე,—ანგარიშს უწევდენ იმას, რომ რუსეთის ძველდროინდელი სესხი განაწილებული იყო უმთავრესად წვრილ, საშუალო და ხელმოკლე ფრანგ მოსახლეობაში.

ამ შეთანხმების ჩაშლა, რასაც ეხლა ამზადებენ საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები ინგლისის შუბლმაგართა და ინგლისის ნავთის მრეწველთა კარნახით, პირველ ყოვლისა ავნებს საფრანგეთის ღარიბ მოსახლეობას, რომელიც უკვე იდგა რუსეთისათვის სესხად მიცემულ თავის თანხების უკან დაბრუნების შესაძლებლობის წინაშე. ვინაიდან, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ამხ. ლიტვინოვი, ზედმეტია ლაპარაკი რაიმე შეთანხმებაზე იმ შემთხვევაში, თუ ასე თუ ისე დარღვეული იქნება ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მუქარისა და შანტაჟის პოლიტიკა არასოდეს არ მოქმედობდა და არც იმოქმედებს საბჭოთა მთავრობაზე. უფრო სწორად,—იმოქმედებს არა იმ მიმართულებით, რომლითაც ფიქრობენ შანტაჟისტები, რომ თითქოს ჩვენი დაშინებით დიპლომატიური გართულებებით შესძლებენ რამე წაგლიჯონ საბჭოთა კავშირს. ასეთი მეთოდებით ვერავინ გავა ფონს საბჭოთა კავშირთან. თუ საფრანგეთის რეაქციონერებში არის ისეთი ხალხი, რომელსაც ამის იმედი აქვს, უნდა ვუთხრათ, რომ ისინი სასტიკად სცდებიან; ამით ისინი მხოლოდ აზარალებენ საფრანგეთის მეურნეობას, რომელსაც წინასწარი შეთანხმება დიდ სარგებლობას მოუტანდა. ბოლშევიკებს ამნაირი მუქარით ვერ შეაშინებენ.

„პრავდა". 16 სექტემბერი.

ევგენი ჩენი გომინდანის ღალატის შესახებ

„სამხედრო გადატრიალების შემდეგ აღარ არსებობს ეროვნული მთავრობა"

სამხედრო მდგომარეობა გუანსინში.—ვან-ძინ-ვეის გადადგომა.—საგანგებო კომიტეტის დაარსება

პოლონეთის სეიმსა და პილსუდსკის მთავრობას შორის ურთიერთობა დღითი დღე მწვავდება

ევგენი ჩენის განცხადება



ევგენი ჩენ

მოსკოვი, 16 სექტემბერი. მოსკოვში მყოფმა **ევგენი ჩენმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს გადასცა შემდეგი განცხადება, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან.

„მე დავტოვე ჩინეთი თანახმად გომინდანის უხანის პოლიტბიუროს და ცაკას დადგენილებისა, როგორც ნაციონალურ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა და მქონდა ამ მთავრობის დავალებები, მაგრამ იმ სერიოზულ ცვლილებების გამო, რომლებიც მოხდა იანცზის დაბლობში, მე იძულებული ვარ განვაცხადო, **რომ ნაციონალურმა მთავრობამ, როგორც რეალურმა პოლიტიკურმა ფაქტორმა, შესწყვიტა თავისი არსებობა. ის გამცემლობა, რომელიც დაიწყეს ნანკინის მილიტარისტებმა და მათმა დამქაშებმა და რომელიც შემდეგ დაასრულეს უხანის მილიტარისტებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, წარმოადგენს არა მარტო კონტრრევოლიუციონურ აქტს, არამედ არსებითად სამხედრო გადატრიალებასაც რომელმაც მოსპო ნაციონალური მთავრობა და დააბოლოვა ჩინეთის რევოლიუციის სახელოვანი ხანა.**

გომინდანმა ჩინეთის საერთაშორისო მნიშვნელობა ასწია ისეთ დონემდე, რომელსაც არ ჰქონია მაგალითი ჩინეთის ისტორიაში და იძულებული გახადა უცხო სახელმწიფოები ელაპარაკათ ჩინეთის ნაციონალურ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრთან ისე, როგორც თანასწორთან. სულ რამდენიმე თვის წინად, შეიძლება ვინმეს სძულდა და კიდეც ეშინოდა გომინდანის, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედავდა მის აბუჩად აგდებას.

ახლა უკვე არავის აღარ ეშინია გომინდანის და არავინ აღარ სცემს მას პატივს.

რით აიხსნება ღირებულებათა ასეთი საოცარი გადაფასება, გომინდანისადმი დამოკიდებულების ასეთი ცვლილება? მიზეზი უნდა ვეძიოთ რეაქციისა და კონტრრევოლიუციის შავბნელ მუშაობაში, რომელიც სწარმოებდა კანტონში, ნანკინში, შანხაიში, ჩანშაში და ხუნანის პროვინციის სხვა პუნქტებში, უკანასკნელ დროს კი აგრეთვე უხანშიაც. ყველა ამ ადგილებში ხდებოდა ულმობელი მკვლელობა გლეხების და მუშების, ამხ. ჩინელ კომუნისტების, რომლებიც აკეთებდენ ყველაფერს, რათა დახმარებოდენ გომინდანს, რომ მას მიეღწია იანცზის დაბლობისათვის. ჩვენი რუსი მეგობრები რომლებიც მთელი ძალღონით ეხმარებოდენ გომინდანს, იძულებული გახდენ და ეტოვებინათ ჩინეთი იმიტომ, რომ იანცზის დაბლობის ახალ ცეზარიზმის დამქაშებმა გადასწყვიტეს, რომ ისინი თითონ განახორციელებენ რევოლიუციის გრანდიოზულ ამოცანებს. ეს ნანკინელი და უხანელი პოლიტიკური კომისიონერები ამჟამად აწარმოებენ მოლაპარაკებას, რომ ახალ წყობილება საფუძვლად დაუდონ ისეთი ძველი ფეოდალური ნიმუშის სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება პეკინელ ბანდიტების სამმართველო ორგანოებისაგან. **მაგრამ მათ მოელის გაკოტრება და მათ ეწევა ისეთივე ბედი, როგორც მათ წინა მორბედთ, რომლებმაც სცადეს ამგვარადვე ემართათ ქვეყანა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ის მემკვიდრეობა, რომელიც დაუტოვა სუნ-იატ-სენმა ჩინეთის ხალხს, დაიღუპოს იმ კატასტროფის დროს, რომელიც მათ აუცილებლად მოელის. განსვენებულ მასწავლებლის ჭეშმარიტი მიმდევრები უნდა გაერთიანდენ მის იდეების ნამდვილ გამომხატველ სუნ-ცზინ-ლინის გარშემო და გადაჭრით იბრძოლონ იმ პოლიტიკურ კომპრადორთა გამცემლობისა და ინტრიგების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ დაუკარგონ რევოლიუციას მისი მატერიალური და მორალური მიღწევები"** (ადს).

მუშათა ორგანიზაციების დევნა

ვან-ძინ-ვეის გადადგომა

შანხაი, 15 სექტემბერი. „მინ-გოჟი-ბაო" გამოაქვეყნა ვან-ძინ-ვეის დეკლარაცია, რომლითაც ის მიმართავს გომინდანის აღმასრულებელ კომიტეტს და იმეუწყებს თავის იმაში, რომ ძლიერ გვიან შეუდგა კომუნისტური პარტიის მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც შედეგად მოჰყვა ისეთი ამბები, როგორიცაა ი-ე-ტინის და ხო-ლუნის აჯანყება.

„ამის გამო, სწერს ვან-ძინ-ვეი—მე უნდა გადავდგე, არ მოუცდი ჩემს გასამართლებას. ვთხოვთ მთელი სისასტიკით გამასამართლოთ, რათა გამოირკვეს ჩემი პასუხ-სმგებლობის ხარისხი".

ვან-ძინ-ვეისთან ერთად გადადგა გომინდანის უხანელი ცაკას პოლიტბიუროს წევრი ჩენ-გუნ-ბო, რომელიც დანიშნული იყო პოლიტბიუროს თავმჯდომარედ ამა წლის აგვისტოში ვან-ძინ-ვეის ხანკოუდან წასვლის შემდეგ. (ადს).

სამხედრო მდგომარეობა ვუჩჟოუში

შანხაი, 15 სექტემბერი. ვუჩჟოუში (გუანსის პროვინცია, გუანდუნის პროვინციის მახლობლად) **გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.** ვუჩჟოუს ქუჩებში დადიან პოლიციისა და ჯარის კაცების მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებიც ყოველ გამვლელებს სჩხრეკენ. **პოლიცია თავს დაესხა ყველა პროფესიონალური კავშირების შენობას და 200 მეტი პროფკავშირების მოღვაწე დააპატიმრა** „კომუნისტური შეთქმულების მოწყობისათვის". **ზოგიერთი პროფკავშირები ვუჩ-ჟოუში დახურულია.** ვუჩჟოუს მახლობლად აღმოჩენის თოფებითა და სხვა სამხედრო იარაღებით დატვირთული ნავი. ამასთან დაკავშირებით ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ ვუჩჟოუში ჩამოვიდა ბევრი კომუნისტები, რომლებიც რევოლიუციონურ გადატრიალებას ამზადებენ. მთავრობამ შეაჩერა მთელი რიგი გემების გაგზავნა გონკონგსა და კანტონში და აწარმოებს ჩხრეკას ყველა გემებზე (ადს).

შეტევა ფინ-იუი-სიუნზე

შანხაი, 15 სექტემბერი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩან-ცზუ-ჩანი იერიში მიიტანა ფინ-იუი-სიანის ჯარებზე ლიანანის რაიონში პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე.

ფინ-იუი-სიანის ჯარები, რომლებიც დაბანაკებული იყვენ იუი-ჩჟოუში, ხენანის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში, უკან იხევენ ჩრდილოეთისაკენ (ადს).

რკინისგზის გაკოტრება

პეკინი, 15 სექტემბერი. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ტიან-ცზინის პუკოუს რკინისგზის შემოსავლიანობა, სამხედრო მოქმედებათა გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც გზამ ვეღარ შესძლო გადაეხადა 1924 და 1925 წლის პროცენტები იმ სესხისა, რომელიც მიღებული იყო ინგლისის ბანკებისაგან.

ინგლისის ელჩმა პეკინში მიმართა პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტით, რომელშიაც მოითხოვს სესხის პროცენტების დაუყოვნებლივ გადახდას და გზის მმართველობის მოწესრიგებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცენტების გადახდა (ადს).

მოწოდება მკვლელობისათვის

პეკინი, 15 სექტემბერი. **თეთრგვარდიული მონარქისტული გაზეთი „ჩვენი გზა" რ,ომელიც გამოდის ტიანცზინში, 15 სექტემბრის ნომრის მოწინავე წერილში მოუწოდებს თეთრგვარდიელებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მკვლელობისაკენ** (ადს).

რკინისგზელების მოთხოვნილებანი

შანხაი, 15 სექტემბერი. კანტონ-გულუნის და კანტონ-ხანკოუს რკინის გზების მუშებმა წარუდგინეს პროვინციალურ მთავრობას მთელი რიგი მოთხოვნილებების ხელფასის და შრომის პირობების დარგში. კერძოთ, მუშებმა მოითხოვეს მათი ხელფასის გათანასწორება კანტონ-სამშუის რკინის გზაზე არსებული ხელფასთან. ამის საპასუხოდ მთავრობამ დაადგინა გადასინჯოს კანტონ-სამშუის რკინის გზაზე არსებული შრომის პირობები და განაცხადა, რომ იქ კოლექტიური ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა კომუნისტების მუქარის ზეგავლენით. როდესაც კანტონ-სამშუის რკინის გზის მუშებმა გაიგეს ეს—შეუთანხმდენ კან-ხანკოუს რკინის გზის მუშებს, რათა შეერთებულათ პროტესტი განეცხადებიათ მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. **მუშებს შორის სწარმოებს მზადება საყოველთაო გაფიცვის გამოსაცხადებლათ** იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ მართლაც მოითხოვა კანტონ-სამშუის რკინის გზაზე არსებული შრომის პირობების გადასინჯვა. (ადს).

კომპარტიის პროკლამაცია

შანხაი, 15 სექტემბერი. ჩინეთის პრესა იუწყება, რომ **კანტონში ვრცელდება დიდძალი პროკლამაციები,** რომლებსაც ხელს აწერენ კომპარტიის გუანდუნის კომიტეტი და კანტონის სადელეგატო კონფერენცია და რომლებიც იძლევა ინფორმაციას კანტონთან მახლოვებულ ი-ე-ტინის გამარჯვების შესახებ (ადს).

საგანგებო კომიტეტი

შანხაი, 15 სექტემბერი. ჩინური პრესის ცნობით საგანგებო კომიტეტში, რომლის შედგენა გაზრახულია გომინდანის სხვადასხვა ჯგუფების შანხაიში მომხდარ თათბირის შემდეგ, შევლენ სამი ჯგუფის წარმომადგენლები: უხანის, ნანკინის და სიშანის (უკანასკნელი ჯგუფი შესდგება მემარჯვენე გომინდანელებისაგან რომლებიც ებრძოდნენ ჯერ კიდევ სუნ-იატ-სენს და გამორიცხულ იქნენ პარტიიდან გომინდანის მეორე კონგრესის დადგენილებით 1926 წ.; ჩან-კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალების შემდეგ ნანკინის ცაკამ დააბრუნა პარტიაში ეს მემარჯვენე ჯგუფი).

გაზეთების სიტყვით საგანგებო კომიტეტში შევა 30 კაცი. თვითეული ჯგუფი აგზავნის 6 კაცს, ეს 18 კი ერთად ნიშნავს კომიტეტის დანარჩენ 12 წევრს. ცაკას პლენუმმა, გაზეთების სიტყვით, მხოლოდ უნდა დაამტკიცოს საგანგებო კომიტეტის შემადგენლობა, სხვა საქმეები კი გადაეცემა ამ უკანასკნელს. კომიტეტის დამტკიცებისთანავე პლენუმი დათხოვილი იქნება. (ადს).

თეთრი ტერორი

შანხაი, 15 სექტემბერი. უცნობმა პირმა ქუჩაში მოჰკლა კანტონის მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარე ლი-სიაო-ნანი (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

შანხაი, 15 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, კანტონში დააპატიმრეს 15 კომუნისტი. (ადს).

ლი-ტი-სინის მარცხი

შანხაი, 15 სექტემბერი. კანტონის დიქტატორმა ლი-ტი-სინმა სვატოუს რაიონის დასაცავად გაგზავნა თავისი ორი საუკეთესო დივიზია მაგრამ ლი-ტი-სინის სამხედრო ოპერაციები ბრკოლდება, ვინაიდან გლეხთა რაზმები ეხმარებიან ი-ე-ტინს. სხვადასხვა ადგილებში მოულოდნელად ხდება აჯანყებები და მთავრობის ჯარები, შეტევის მაგიერ, იძულებული არიან თავი დაიცვან (ადს).

სეიმი პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 15 სექტემბერი. პალატის საგანგებო სესიის დღის წესრიგის საკითხები კვლავ ქმნის უთანხმოებას პარტიებს შორის. პეპესოველთა პარტია სეიმის თავმჯდომარის რატაის დახმარებით მოითხოვს, რომ სენატმა პირველ რიგში მიიღოს კანონი პალატის თვითდათხოვნის შესახებ. პეპეესოველთა პარტია თავის მოთხოვნილებას ასაბუთებს იმით, რომ მთავრობამ, **წინააღმდეგ კონსტიტუციისა, შეიძლება მოისუროს ეხლანდელი შემადგენლობის პარლამენტის რწმუნების ვადის გაგრძელება.** მემარჯვენე ოპოზიცია სცდილობს პირველ რიგში მიაღწიოს საარჩევნო კანონის გადასინჯვას, რის წინააღმდეგაც პროტესტს აცხადებს პეპესოველთა პარტია. ნაც.-დემოკრატების ორგანო „გაზეტა ვარშავსკა პორანნა" აღნიშნავს, **რომ მოსალოდნელია კონფლიქტი სეიმსა და მთავრობას შორის.** გაზეთის აზრით, მთავრობა რამოდენიმე დღის განმავლობაში ისევ დახურავს სეიმის სესიას. გაზეთი მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას კონფლიქტის შედეგებისთვის. გაზეთი „კურიერ პოლსკი" იუწყება, **რომ მემარჯვენე პარტიები პეპესოველთა პარტიას აძლევს წინადადებას, შეტანილ იქნეს მთავრობისადმი უნდობლობის საერთო ვოტუმი,** მაგრამ პეპესოველთა პარტია არ იძლევა პასუხს ამ წინადადებაზე.

კონფლიქტის შესაძლებლობას მთავრობასა და სეიმს შორის მოწმობს აგრეთვე პილსუდსკის მოსალოდნელი დაბრუნება ვარშავაში (ადს).

შრომის გმირების შესახებ

საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა გამოსცა კანონი შრომის შესახებ. თუმცა დიდი დრო არ გასულა მას აქეთ, მაგრამ უკვე სჩანს, რომ ბევრგან ეს კანონი ვერ იქნა სათანადოთ გაგებული.

მთავარი საკითხი, რომელიც ამ კანონის პრაქტიკულად გატარების დროს წამოიჭრა, ესაა—ვის შეიძლება მიენიჭოს შრომის გმირობის სახელწოდება. კანონში ამის შესახებ ნათქვამია, რომ შრომის გმირათ შეიძლება იქნეს გამოცხადებული ის, ვისაც 35 წელიწადი უმსახურნია და რაიმე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის წარმოების, სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურის დარგში.

ბევრგან ეს განსაკუთრებული დამსახურება გაიგეს ძლიერ ფართოდ და შრომის გმირების სახელწოდების მიღებისათვის საკმარისათ სთვლიან 35 წლის უმწიკვლო, სინდისიერ და თავდადებულ მუშაობას. შრომის გმირობის ასეთი განმარტივება შეცდომა არის. კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ არ არის საკმარისი მარტო 35 წლის მუშაობა. საჭიროა „განსაკუთრებული დამსახურება". განსაკუთრებულ დამსახურებად კი უნდა ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ისეთი მოქმედება კი, რომელიც ხდის ამა თუ იმ პირს ცნობილად მხოლოდ განსაზღვრულ წრეში (წარმოება-დაწესებულებაში ან რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში) არ იძლევა შრომის გმირობის სახელწოდების უფლებას.

შრომის გმირობის სახელწოდების მიღება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება. შრომის გმირობის ცნების დაკნინება დაუკარგავდა ფასს ნამდვილ შრომის გმირობას. რამდენიმე წლის წინედ შრომის გმირობის სახელწოდების მინიჭება ფართოდ წარმოებდა. ეს შეეფერებოდა მაშინდელ პირობებს. მაგრამ ამჟამად შრომის გმირათ შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც თავის მოღვაწეობით ყველასათვის თითონ საჩვენებელი იქნებიან.

კანონში არ არის ნაჩვენები, თუ რა უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ მიღწევებად. ამის ჩვენება კანონმდებლობითი ან სხვა რამე წესით პირდაპირ შეუძლებელია, ვინაიდან თვით ცნება შრომის გმირობა ნიშნავს არაჩვეულებრივი მოქმედებას. წინდაწინ ამ არაჩვეულებრივი მოქმედების განსაზღვრა მხოლოდ ფანტაზიით შეიძლება.

მეორე შეცდომა, რომელიც გამომდინარეობს შრომის გმირობის ცნების გამარტივებიდან, არის ის, რომ შრომის გმირის სახელწოდების მისაღებად ბევრნი თვითონ ძრავენ შუამდგომლობას, შეაქვთ სხვადასხვა ორგანოებში განცხადებები და თხოვნები. ასეთი წესით შრომის გმირობის სახელწოდების მიღება დაუშვებელია. თვით თხოვნა „გთხოვთ მიცნოთ მე შრომის გმირათ" არანორმალურათ ისმის. პირადი თხოვნით კი არ უნდა ხდებოდეს გმირობის სახელწოდების მიღება, თუ ესა თუ ის პირი მართლა შრომის გმირის სახელწოდების ღირსია, საზოგადოებამ თვით უნდა მიაქციოს მას ყურადღება. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სამხედრო ოპერაციის დროს დაჯილდოვება. დაჯილდოვება ხდება არა მეომრის თხოვნით, არამედ იმ საკამნდო ორგანოების შუამდგომლობით, რომელნიც ამ მეომრის მამაცობის მოწმენი იყვენ.

კანონში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების საკითხი ისმება პროფკავშირების საბჭოს ან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საკუთარი ინიციატივით. ეს იმას ნიშნავს, რომ თხოვნების შეტანას „მე მიცნეთ შრომის გმირათ"-ო არ უნდა ექნეს ადგილი.

გამოცემული კანონით შრომის გმირებისათვის დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები—პენსია დამზღვევ ორგანოებისაგან, ოჯახის უზრუნველყოფა შრომის გმირის სიკვდილის დროს. ამას გარდა, ამჟამად საქართველოს პროფკავშირების საბჭოს მიერ გამომუშავებულია პროექტი დამატებითი შეღავათების მინიჭების შესახებ, როგორც, მაგალითად, უფასოთ რკინის გზაზე მოგზაურობა, ტრამვაით უფასო მოგზაურობა; ბინის ქირის და ელექტრო-ენერგიის ფასის შემცირება, უფასო საექიმო დახმარება, შრომის გმირის შვილების სასწავლებლებში უფასო სწავლება და სხვა. საერთოდ მიღებულია ზომები, რომ შრომის გმირი იქნას უზრუნველყოფილი ყოველმხრით.

ს. გ.

საბჭოთა პრესა

კოოპერაცია და კვების პროდუქტები

კოოპერაცია ბოლო დრომდე ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკვები პროდუქტებით მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების საქმეს. მუშის ბიუჯეტის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამ პროდუქტებს მასში 55 პროც. უჭირავთ. მუშათა კოოპერაციის ბრუნვაში კი სურსათ-სანოვაგის ხვედრითი წონა 30 პროც. თუ აღწევს, ხოლო ზოგიერთ ცალკე პროდუქტის მიმართ ის ამაზე გაცილებით უფრო მცირეა. საკვებ პროდუქტების ბაზარზე ჯერ კიდევ კერძო ვაჭარი ბატონობს. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს; კოოპერაცია უნდა დაეუფლოს ვაჭრობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგს.

„პირველი, რაც ამისათვის საჭიროა,—სწერს „იზვესტია", ესაა, რა თქმა უნდა, მომხმარებლის მხრით სათანადო ზეგავლენის მოხდენა. მომხმარებელი იმდენად შეეჩვია კერძო ბაზარზე პროდუქტების ყიდვას, რომ კოოპერაციას დღემდე არც კი უყენებდა სერიოზულ მოთხოვნას, რათა მის ვაჭრობაში საკვებ პროდუქტებს მეტი როლი ეთამაშა. ამასთან ერთად საჭიროა კოოპერაციის დამზადებითი მუშაობის ისე მოგვარება, რომ საკვები პროდუქტების შეძენა ხდებოდეს პირველ წყაროდან, რომ ბაზრიდან განდევნილ იქნას შუამავალთა მთელი ხროვა, რომელიც ეხლა იქ ბატონობს და პროდუქტებს ორ-სამჯერ ამვირებს.

თავისთავად ცხადია, რომ ამ პროდუქტების დამზადებაში პირველი როლი უნდა დაეთმოს სას.-სამ. კოოპერაციის სამომხმარებლო და სას.-სამ. კოოპერაციამ (ერთად საომხ: კოოპერაციის მუშურმა სექციამ) ისე უნდა შეათანხმონ მუშაობა, რომ პროდუქტი დანიშნულების ადგილას გაჩნდეს უმოკლესი გზით, მომხმარებელმა რაც შეიძლება მცირე ხარჯები გაიღოს, ხოლო მწარმოებელმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახოს. რა თქმა უნდა, კოოპერაციას ახალი საშუალებები დასჭირდება, რომ მან საკვები პროდუქტებით ვაჭრობას მოკიდოს ხელი. ეს საშუალებები მოზიდულ უნდა იქნეს, ჯერ ერთი, თვით მომხმარებლისაგან, რომელიც ძალზე დაინტერესებულია, რომ საკვები პროდუქტების ბაზარზე კოოპერაციის როლი გაძლიერდეს; შემდეგ აუცილებელი გახდება კრედიტის მოშველიება.

მაგრამ მთავარი მიზეზი, რომ კოოპერაცია დღემდე ცოტა ყურადღებას აქცევდა კვების პროდუქტ., მდგომარეობს არა საშუალებათა სიმცირეში. ამისათვის საშუალებები შეიძლება გამონახულ იქნეს. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ კოოპერაციას ჯერ კიდევ არა აქვს მოხერხება საქმე ნამდვილად სამეურნეო ნიადაგზე დააყენოს. ხოლო კვების პროდუქტები ისეთი პროდუქტებია, რომლებიც მალე ფუჭდება, და აუცილებლივად თხოულობენ უაღრესად სამეურნეო დამოკიდებულებას.

ჩვენ ვიცით, რომ ამ პროდუქტების ბაზრის დაპყრობა უფრო ძნელია, ვინემ სამრეწველო საქონლით ვაჭრობა. მაგრამ კოოპერაციამ ეს ამოცანა უნდა გადაჭრას. ეს აუცილებელია კვების პროდუქტების გაიაფების და, მაშასადამე, მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის აწევის, გლეხობის ნაწარმოების ხელსაყრელ პირობებში გასაღების მოგვარების და კერძო კაპიტალის შესუსტების მიზნით.

ერთა ლიგის საბჭოს არჩევნები

ჟენევა, 15 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სამ არა მუდმივ წევრის არჩევის შედეგები ასეთია: **საბჭოში არჩეულია კუბა,** რომელმაც ხმების საერთო რაცხვიდან — 49 ხმიდან, მიიღო 40 ხმა, **ფინეთი,** რომელმაც მიიღო 33 ხმა, **კანადა** მიიღო 26 ხმა. (ამ სახელმწიფოებმა დაიკავეს საბჭოდან გასულ ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიისა და სალვადაროს ადგილები). სხვა სახელმწიფოებიდან, რომელთაც თავისი კანდიდატურა წამოაყენეს საბჭოში, საბერძნეთმა მიიღო 23 ხმა, პორტუგალიამ—16, დანიამ—2, ურაგვაიმ—3, სიამმა, შვეიცარიამ და გაიტიმ თითო ხმა.

ჟენევის პოლიტიკური წრეების აზრით, საბჭოს ახალი ძალთა განწყობილება კიდევ უფრო აძლიერებს ერთა ლიგის პოლიტიკაში არსებულ ანტი-საბჭოთა ტენდენციას, რასაც ადასტურებს საბჭოში ფინეთის არჩევა. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ფინეთი არჩეულ იქნა მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ ეს გამოიწვევს არასასურველ შეფასებას საბჭოთა კავშირის მხრით. აგრეთვე იმასაც აღნიშნავენ, რომ არ ყოფილა გაკეთებული არავითარი ცდა ფინეთის კანდიდატურის ანტი-საბჭოთა ხასიათის უარსაყოფლად.

გერმანიის დელეგაციის წევრებში აღნიშნავენ, რომ წინააღმდეგ გავრცელებულ ცნობებისა, **გერმანიას მხარი არ დაუჭერია ფინეთის კანდიდატურისათვის.**

არჩევნების შედეგს აფასებენ აგრეთვე, როგორც საფრანგეთის გავლენის ძლიერ დასუსტებას საბჭოში და ინგლისის გავლენის გაძლიერებას (ადს).

პოლონეთის დამარცხება დანციგის საკითხში

ჟენევა, 15 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა დადგენილება პოლონეთის სამხედრო საწყობის შესახებ ვესტერპლატის პატარა კუნძულზე დანციგის ნავთსადგურში და დანციგის გზით იარაღის გაზიდვის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ლიგის უწინდელი გადაწყვეტილებები ამ საკითხების შესახებ შეიძლება შეცვლილ იქნან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება ცნობები ახალ ფაქტების შესახებ; ეს ცნობები კი წინასწარ უნდა წარედგინოს ერთა ლიგის კომისარს დანციგის ოლქში.

ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება მოასწავებს დანციგის ოლქის საჩივრის გაურკვეველ დროით გადადებას, რაც ხელსაყრელი არ არის პოლონეთისათვის.

ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

ჰელსინგფორსი, 15 სექტემბერი „გუვუდსტიდსბლადეტი"-ს ჟენეველ კორესპონდენტთან საუბარში ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი **ვოინმაა** შეეხო ფინეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და გერმანიასთან. ვოინმაამ აღნიშნა, რომ ფინეთის ურთიერთობა ამ ქვეყნებთან „სავსებით კორექტიულია" და დასძინა „მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი ასრულებს ყველა თავის ვალდებულებებს, გაურკვეველ მიზეზთა გამო მოსკოვში მაინც გრძელდება გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ერთა ლიგის სესიასთან დაკავშირებით. თუ მოსკოვს ეშინია ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისა ჟენევაში, მან უნდა იცოდეს, რომ **ფინეთს არა აქვს მტრული ზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ".** (ადს)

აჯანყების მონაწილეთა დახვრეტა

დახვრიტეს 6 კაცი

ბერლინი, 15 სექტემბერი. გერმანიის პრესის ცნობით, ტაუროგენში (ლიტვაში) აჯანყების მოხდენის ცდისათვის **სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 11 კაცს, მათ შორის 6 კაცი დახვრიტეს.** დაპატიმრებულთა შორის, რომელთაც სიკვდილით დასჯის განაჩენი ელით, ბევრი ახალგაზრდებია. **სულ დღემდე დაპატიმრებულია 1000 კაცი** (ადს).

„ბანდიტური ხასიათი"

კოვნო. 15 სექტემბერი. ლიტვის თავდაცვის მინისტრმა დიუკანტასმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ტაუროგენში მომხდარ ძლელვარებას ქონდა „ბანდიტური ხასიათი", ხოლო სხვადასხვა პარტიის ცალკე წევრების მონაწილეობა ამ გამოსვლებში არ ნიშნავს იმას, რომ მთელ ორგანიზაციასაც ან პარტიას მიეღოს მასში მონაწილეობა (ადს).

სამხედრო - საველე სასამართლო

კოვნო, 15 სექტემბერი. თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, **სამხედრო-საველე სასამართლომ ტაუროგენში დაამთავრა ტაუროგენის ამბების 7 მონაწილეთა საქმის გარჩევა.** ერთს მიუსაჯა დახვრეტა, ერთი გაამართლეს დანარჩენებს მისჯილი აქვს ციხე სხვადასხვა ვადით (ადს).

დაპატიმრებანი კოვნოში

კოვნო, 15 სექტემბერი. „ლეტუვოს ჟინიოსის" ცნობით, **კოვნოში ტაუროგენის ამბებთან დაკავშირებით დააპატიმრეს კიდევ 18 კაცი** (ადს).

კომუნისტების დევნა

გერმანიაში

ბერლინი, 15 სექტემბერი. ლეიპციგის საიმპერიო ტრიბუნალის სისხლის სამართლის კოლეგიამ გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრების პროცესი დანიშნა 4 ოქტომბრისათვის. ამ საქმეზე სასამართლოში არიან მიცემული: **ფრელიხი, გეკერტი, კენენი, რემელე, ლინდაუ, პფეიფერი, შმიტლი, შტეკერი და შუმი. ყველა** ამათ ბრალი ედებათ სახელმწიფო ღალატის მომზადებაში და რესპუბლიკის დაცვის კანონის დარღვევაში. **როტე-ფანე"** სწერს: პროცესის დანიშვნა მომასწავებელია იმისა, რომ იწყება გალაშქრება რევოლიუციონური მუშათა მასებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

კორეაში

ტოკიო, 15 სექტემბერი. **სეულში (კორეა) დაიწყო 101 კორეელის საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალად ედებათ კომპარტიის ორგანიზაციის შექმნა.** სასამართლოს შენობას მავთულის ხლართები აქვს გარს შემოვლებული და იცავს 1.000 პოლიციელის რაზმი (ადს).

მილიერანის წერილი

პარიზი, 15 სექტემბერი. **მილიერანმა** ალანსონში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს ერთად-ერთი ზომა, რომელსაც შეუძლია ლახვარი ჩასცეს კომუნისტებს, სახელდობრ—საბჭოთა ელჩს მიეცეს პასპორტი და საფრანგეთის წარმომადგენელი გამოწვეულ იქნას მოსკოვიდან.

„აქ ლაპარაკია—სთქვა მილიერანმა—არა კომედიის გათამაშებაზე, რომელშიც წააგებს საფრანგეთი, აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ საბჭოთა მთავრობას მოეთხოვოს რაკოვსკი შესცვალოს მესამე ინტერნაციონალის სხვა წარმომადგენელით. ერთად-ერთი სერიოზული ზომაა ის ურთიერთობის შეწყვეტა. თუ მთავრობა მერყეობს, ჩაიდინოს ასეთი აქტი, რომელიც აიძულებს კომუნიზმს [illegible], ეს იმიტომ, რომ კომპარტიის მასების საშუალებით ხელში უჭირავს სოციალისტური პარტია, რომლის მთავარი შტაბი 3 წლის განმავლობაში უკარნახებს კანონებს რადიკალ-სოციალისტების პარტიას. (ადს).

ლოკაუტი ინდოეთში

ლონდონი, 15 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საკანონმდებლო კრებამ სიმლში (ინდოეთი) განიხილა ბენგალია-ნაგპურის (ხარაგაპურში) სახელოსნოების 10.000 მუშის ლოკაუტის საკითხი. ლოკაუტი გამოცხადებულ იქნა იმის საპასუხოდ, რომ **მუშების ნაწილმა იტალიური გაფიცვა გამოაცხადა 1.300 მუშის დათხოვნის გამო.** საკითხი ლოკაუტის შესახებ განსახილველად დასვა დეპუტატმა **ახარიარმა;** მან შეიტანა რეზოლიუცია რომელიც გმობს რკინისგზის ადმინისტრაციის მოქმედებას. **ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმების უმრავლესობით** (ადს).

მასიური დემონსტრაცია

ბერლინი, 15 სექტემბერი. 13 სექტემბერს, ორი რევოლიუციონერი მეზღვაურის **რეიხპირის და კებისის** დახვრეტის 10 წლის თავზე **კელნში** შესდგა **გერმანიის კომპარტიის მიერ მოწყობილი მასიური დემონსტრაცია,** რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20.000 მუშამ (ადს).

მუშების ბრძოლა

იაპონიაში

ტოკიო, 15 სექტემბერი. **ქალაქ იოკოგამის ტრამვაის მუშებმა გამოაცხადეს საბოტაჟი და მოითხოვენ განსაკუთრებულ ჯილდოს ზაფხულის განმავლობაში გადიდებულ სამუშაო დღისათვის. გაფიცულთა ლიდერებს** შორის ბევრი დააპატიმრეს. (ადს

ქალთა დემონსტრაცია

ბერლინში

ბერლინი, 15 სექტემბერი. ქალთა **წითელმა კავშირმა ბერლინ-ბრანდენბურგის ოლქში პირველი დემონსტრაცია მოაწყო შპანდაუში** (უბანი ბერლინის მახლობლად). დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა მუშა-ქალმა. მიტინგზე გამოსული ორატორები მოუწოდებდენ ბრძოლისაკენ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოსულ ორატორ ქალთა შორის იყვენ გერმანიის კომუნისტური პარტიის და წითელი ფრონტელების კავშირის წარმომადგენლები (ადს).

სპარსეთი და ერთა ლიგა

ჟენევა, 16 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს ახალი არა მუდმივი წევრების არჩევნებთან დაკავშირებით, სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **ფორუჩმა** გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ მუსლიმან ერთა პრეტენზიები ერთა ლიგის საბჭოში ადგილის მიცემაზე კვლავ არ იქნენ მიღებული მხედველობაში. ფორუჩმა განაცხადა, რომ სპარსეთი პირველ შესაძლებლობისთანავე წარუდგენს ერთა ლიგას მოთხოვნილებას ლიგის საბჭოში ადგილი დათმობის შესახებ. (ადს).

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

არტელი „გლეხის იმედი"

ოზურგეთი, 15 სექტემბერი. სოფ. მოიდანში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო არტელი „გლეხის იმედი", რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მებაღეობის და მინდვრის კულტურათა განვითარებას. არტელი აერთიანებს 40 ღარიბ და 18 საშუალო მეურნეს. ა(დს).

გლეხ ახალგაზრდათა სკოლები

ოზურგეთი, 15 სექტემბერი. მიმდინარე სამოსწავლო წლიდან გურიაში იხსნება გლეხ-ახალგაზრდათა 6 სკოლა—შემდეგ სოფლებში: ზემო თავსურებში, ლიხაურში, სილაურში, ხიდისთავში, ნიგოითში და გურიანთაში. (ადს).

ანტირელიგიურ ფრონტზე

ახალქალაქი, 15 სექტემბერი. მუსულმანებით დასახლებულ სოფ. ხერვისში მოეწყო ანტირელიგიური წრე, რომელიც ამჟამად აერთიანებს 8 პარტიულსა და 5 უპარტიოს. წრის პირველ კრებაზე ჩატარდა ისლამიზმის საფუძვლების კრიტიკა. (ადს).

ნავთის ახალი ადგილები

თელავი, 15 სექტემბერი. შუამთის მონასტრის ახლოს, თელავიდან 8—10 ვერსის დაშორებით, კომუნალურ განყოფილების ინჟინერმა აღმოაჩინა ნავთის ახალი ადგილები. ამოღებულ ნავთის ნიმუშები გამოგზავნილია თბილისში.

სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის

თელავი, 15 სექტემბერი. აღმასკომი და ავტონომიური ორგანიზაციები ემზადებიან სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში ეწყობა ალავერდის მონასტერში. (ადს).

თოვლი მთიან თუშეთში

თელავი, 15 სექტემბერი. როგორც მთიან თუშეთიდან ჩამოსულნი ამბობენ, სექტემბრის დასაწყისში იქ მოვიდა თოვლი. ალაზნის ხეობის სამი გზა დაკეტილია. თავისუფალია მხოლოდ ნაფარეულის უღელტეხილი.—მწყემსები დაეშვენ მთიდან. (ადს).

წერილები

ს. მეჯვრისხევი, გორის მაზრა

დაგვეხმარეთ წყაროს გამოყვანაში

სოფ. მეჯვრისხევი ერთი თვალსაჩინო სოფელთაგანია გორის მაზრაში. აქ არსებობს თემაღმასკომი, მილიციის სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი და სხვა. კოოპერატივი დაარსდა გასული წლის ოქტომბერს. დღეს მას ყავს 600-მდე წევრი.

დაარსებულ იქნა აგრეთვე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც ახლო მომავალში მოსახლეობას მისცემს კულტურულად მომზადებულ მეურნეებს. შეძენილია ორი ტრაქტორი —რომლიდანაც ერთი უკვე მუშაობს.

ერთად-ერთი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც სდგას მეჯვრისხევის მოსახლეობის წინაშე, —ეს არის წყაროს გამოყვანა. ეს საკითხი ზევრჯერ წამოიჭრა მენშევიკების დროს, მაგრამ წყაროს გამოყვანას საშველი მაინც არ დაადგა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა. საკითხი წყაროს გამოყვანის შესახებ განიხილა გლეხების სასოფლო კრებამ და გადასწყვიტა ახლო მომავალში გამოყვანილ იქნეს წყარო. ამ მიზნით საერთო კრებამ აირჩია საინიციატივო კომისია, რომელსაც დაევალა წინასწარი მუშაობის ჩატარება და წყაროს გამოსაყვანი საშუალებების გამონახვა.

ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია გლეხობას ტირიფონის არხის ტეხნიკურმა პერსონალმა. მათ დაგეგმეს სათავე და ოთხი ვერსის მანძილზე გზა, მოძებნეს სოფლად წყაროების საჭირო პუნქტები, შეადგინეს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნა მაზრაღმასკომს და ანალიზი გაუკეთეს წყალს თვისებებისა და მისი ხარისხის გამოსაკვლევად.

საინიციატივო კომისიამ ადგილობრივ ინტელიგენციის დახმარებით მოაწყო საღამო-წარმოდგენა, რომელმაც 300 მანეთი შემოსავალი მოგვცა. გლეხობაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს წინასწარ მუშაობაში. ისინი თვითდაბეგვრის საშუალებით აძლიერებენ წყაროს გამოსაყვან ფონდს. მაგრამ ეს არ კმარა. მოსახლეობა, რომლის უმრავლესობა ღარიბ გლეხობისგან შესდგებაა ვერ შესძლებს ყველა ხარჯების გაღებას.

სამაზრო აღმასკომმა დახმარება უნდა გაუწიოს მეჯვრისხევის მცხოვრებლებს და ხელი შეუწყოს წყაროს საჩქაროდ გამოყვანას.

გ. ჯ.

აგარაკი სკური, ზუგდიდის მაზრა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა სკურის მინერალური წყალი, რომელიც შესდგება კალციის, მაგნის და მარილისაგან. თბილისის ცენტრ. ლაბორატორიის გამოკვლევით და დასკვნით, სკურის წყალი თავის შემადგენლობით მეტად გავს ბოდენის წყალს, რომელიც არსებობს შვეიცარიაში ციურიხის მახლობლად.

ასეთი წყალი ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება. სკურის წყლის მიღება შეიძლება დღეში არა უმეტეს ათი ჭიქისა, ხოლო პირველ მიღების დროს არა უმეტეს ნახევარ ჭიქისა. წყალი რგებს კუჭ - ნაწლავის კატარს, სასულე გზების ქრონიულ ანთებას, ჭაჭებს, საშარდე ბუშტის დაავადებას და სხვ. საშარდე ორგანოებში შლის სილას, კენჭებს, შვილის ქარებს და ბავშვების რახიტს.

როგორც ზუგდიდის მაზრიდან, ისე აფხაზეთიდან, სენაკიდან და ქალაქ ფოთიდან დიდძალი ხალხი მოდის აგარაკ სკურზე სამკურნალოდ. მოაგარაკენი, რომლებმაც ისარგებლეს ამ წყლით, დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ. რადგან წყალმა საგრძნობლად გააუმჯობესა მათი ჯანმრთელობა.

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომი მიმდინარე წელს შეუდგება აგარაკზე შენობების აგებას. წარსულ წელს მოაგარაკენი რჩებოდენ მხოლოდ ორი სამი დღე. შემდეგ კი უბინაობის გამო, იძულებული ხდებოდენ უკან წასულიყვენ. წელს აშენებული იქნება სამასი კაცის ბინა. მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს მოაგარაკეთა რიცხვს.

ივლისიდან ხუთ სექტემბრამდე ამ წყლით ისარგებლა 2.140 კაცმა. აქედან მეტი ნაწილი გლეხობაა.

ადგილობრივ ხელისუფლება საკუთარი თანხით ვერ შესძლებს საგარაკო სახლების საკმაო რაოდენობის აშენებას.

საჭიროა შესაფერი დახმარება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტიდან.

არ. კოდუა.

წერილებიდან

გარე-კახეთი

ჩაებათ საზოგადო მუშაობაში

გარე-კახეთში ვერ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც ოთხი ან ხუთი მასწავლებელი არ იყოს. საგარეჯოს, პატარძეულს, ხაშმს, მარტყოფს, ალბულაღს და სხვა დიდ სოფლებს თითოს ყავთ ოცდაათი მასწავლებლები. მაგრამ ეს მასწავლებლები სკოლის გარეშე არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ სოფლად, არ უწევენ გლეხებს ამა თუ იმ კულტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას და სხვა. საგარეჯოს მასწავლებლები თითქმის სრულებით არ არიან გამოყენებული კულტურულ მუშაობაში. მუშაობს მხოლოდ ორი - სამი მასწავლებელი, რაც უმნიშვნელო რიცხვად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა მასწავლებლები ჩაებან კულტურულ მუშაობაში და გახდენ ხალხის სული და გული. მარტო „ანი" და „ბანი"-ს სწავლება ვერაფერს ვერ შემატებს გლეხობას, მასწავლებლებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გლეხებს კულტმუშაობაში.

მ. გარსიაშვილი.

ს. ვახანი, შორაპნის მაზრა

მიწების ყიდვა - გაყიდვას ბოლო არ მოეღო

1922 წელს სოფ. ვახანში გარდაიცვალა სიკო მანჯავიძე, რომელსაც სადგურ მარელისთან ეკავა სახელმწიფო ალაგი. მანჯავიძის სიკვდილის შემდეგ ამ ადგილს დაეპატრონა პართენ მანჯავიძე და მიისაკუთრა. ეს არ იკმარა პართენმა. მან ეს ადგილი მიჰყიდა სადგ. მარელისში მცხოვრებ პეტრე კიკნაძეს და ელიოზ ჩიბუნიძეს. უკანასკნელები უკვე შეუდგენ სახლების აშენებას ნაყიდ ადგილზე. ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შარიქაძემ იცის ეს ამბავი, მაგრამ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს, და არ ღებულობს ზომებს მიწების ყიდვა - გაყიდვის წინააღმდეგ.

ამის გამო სოფ. ვახანში და ზედუბანში გახშირებულია ადგილების ყიდვა - გაყიდვა.

სამაზრო აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები მიწების ყიდვა - გაყიდვის წინააღმდეგ.

სიმართლე.

სოფლის ქრონიკა

— **სამაზრო სასამართლო.** ახალციხეში ამ დღეებში დაარსდება მუდმივი სამაზრო სასამართლო.

— **ოქტომბრის** რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად თელავის აღმასკომმა შეადგინა სამაზრო კომისია.

— **შენობა კოოპერატივისათვის.** ამ დღეებში დამთავრდება თელავის მუშათა მთლიან კოოპერატივისათვის ორსართულიან სახლის აგება.

— **წყალსადენი.** მიმდინარე წელს სოხუმში დაიწყება ახალი წყალსადენის გაყვანა.

— **საბავშო სახლი.** შეუდგენ ახალციხის საბავშო სახლთან არსებულ სახელოსნოების გაფართოებას. წელს დამატებით მიღებული იქნება 50 ბავშვი.

— **ტელეფონი.** ახალქალაქის მაზრაში ამჟამად სწარმოებს ტელეფონის ქსელის გაყვანა.

მუშათა ცხოვრება

ორი საქმე

თბილისში დღეს დიდი ყურადღება ექცევა ქუჩების გაფართოება - გასწორებას. რამდენი ქუჩა გასწორდა და გაფართოვდა, რამდენი ახალი გაკეთდა ვინ ჩამოსთვლის.

აღმასკომს განზრახული აქვს გააფართოვოს ელბაქიძის (ვერის) აღმართი და შეამციროს ამ აღმართის დაქანება. წრევანდელ ბიუჯეტით განზრახულია დაბლა ნაწილის გაფართოება. ხიდიდან მარჯვნივ ჩამოეჭრება ცირკის ეზოს, ხოლო მარცხნივ ამოივსება ის ხევი, საცა ეხლა ხეივანია გაშენებული.

მომავალში კი საჭირო დარჩება მაღალი ნაწილის გაფართოება—ზემელის აფთიაქის და სხვა მის ახლო მდებარე შენობების აღებით. ამ ნაირად, ორ-სამ წელში ამხ. ელბაქიძის სახელობის აღმართი გაფართოვდება და შემცირდება მისი დაქანებაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ხშირად მეტად დიდი შეჯგუფება ხდება, ეტლი, ავტო, ფურგონი ვეღარ უვლიან გვერდს ერთი მეორეს. ამიტომ ამ აღმართის ასე დატოვება შეუძლებელი იყო და ქალაქის აღმასკომმა კიდეც მიაქცია მას ყურადღება.

გარდა ამისა, აღმასკომის დადგენილებით გაყვანილ უნდა იქნეს ახალი ქუჩა ვერის ხიდიდან კარლ მარქსის (ყოფ. ვორონცოვის) ხიდამდე. ამ ქუჩის გაყვანას მოუნდება 120.000 მანეთამდე. ვერის ხიდიდან გზა გაყვება მტკვრის მარჯვენა მხარეს, გაივლის რამოდენიმე სწორ ალაგს და მიადგება მაღალ კლდეს, სადაც უნდა გაკეთდეს მდინარეში მაღალი კედელი და ხიდი, ან და ეს ადგილი უნდა ამოივსოს და გასწორდეს.

თუ უკანასკნელ ზომას მიმართეს, მაშინ მდინარეს კალაპოტი დავიწროვდება და ადიდების დროს წყალი დააზიანებს მეორე ნაპირს. ხოლო თუ გაკეთდა ხიდი, მაშინ კალაპოტიც არ დაპატარავდება და გზაც ლამაზი და საყურადღებო იქნება.

ახალი გზა დააკავშირებს სამხედრო გზას პირდაპირ ქალაქის ცენტრთან, იარმურკა-რიყე-კუკიასთან, რაც გაადიდებს სოფლებიდან მომავალ დატვირთული ურმების მიმოსვლას.

ეს ქუჩა დიდ სილამაზეს შემატებს ჩვენს ქალაქს. ის თავისი მაგარი კედლებით თავიდან აგვაცილებს მადათოვის კუნძულის ორად გაყოფას, გაანთავისუფლებს ამ ალაგს ბყროლებული წყალისაგან და უსათუოდ გახდება საუკეთესო სასეირნო ადგილად.

ძველი მუშა.

—:—

შრომის კანონებს არღვევენ

(პირველი უბნის შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ)

მეტად მძიმე სამუშაოებია აგურ-კრამიტის ქარხნებში, ქარხნებში არ არის გატარებული მექანიზაცია, რისთვისაც მუშებს ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა. აქ მუშები თითქმის ზელავენ ფეხით. მუშა 8 საათის განმავლობაში ტალახში სდგას, აგურის დამტვირთავს, აგური გადააქვს 30-40 საჟ. სიშორიდან ხელის ურიკებით, ხელის ტაჭკითვე გამოაქვთ სიცხეში მტვერო. მუშები ოფლში იწურებიან. ესენი ყველა ნარდად მომუშავეებია. ყველა ცდილობს რამეფრად მეტი გამოიმუშავოს, რომ ხელფასი მეტი მიიღონ. მათი საშუალო დღიური ხელფასი უდრის 5-6 მან. არიან ისეთი მუშებიც, რომელნიც დღეში 10 მანეთამდე ღებულობენ.

ასეთ მძიმე სამუშაოს ემატება ის გარემოება, რომ მუშები მუშაობენ ზედმეტ საათებში, რაც ჯანმრთელობისათვის დიდად მავნებელია. მიმდინარე ზაფხულმა დაგვანახვა ამის ბევრი მაგალითი. თითქმის ნახევარზე მეტი მუშები დაავადმყოფებულია. ბევრ მათგანს მიეცა დამზღვევ სალაროდან გრძელვადიანი შვებულება, ვინაიდან სამუშაოზე ვერ მიდიან ავადმყოფობის გამო. ეს სახელმწიფოსათვის საზარალოა. ადმინისტრაციამ ზედმეტი მუშაობის წინააღმდეგ მიიღო სასტიკი ზომები, მაგრამ ვერას გახდა. მუშებმა სხვა მხრივ მოუარეს საკითხს, მათ ღამე არ სძინავთ, იწყებენ მუშაობას 2-3 საათიდან, ზოგს კი იქვე სძინავს.

საჭიროა შრომის ინსპექტორმა ამაზე მიიღოს სათანადო ზომები.

—მუშკორი მ. ბოკუჩავა.

—:—

ვინ მოაწესრიგებს

მიმდინარე წლის აპრილის თვიდან გზათა მიმოსვ. სახკომის მიერ გამოცემულია შემდეგი ბრძანება. თუ ადმინისტრაციამ მუშა - მოსამსახურეებს (ლაპარაკია მექომსებზე და მათ თანაშემწეებზე) კუთვნილი დასასვენებელი დრო —20 ან 40 საათი — არ მისცა სრულად და დაარღვია წესი, მუშა-მოსამსახურეს ეძლევა ზედმეტი საათების გასამრჯელო ორმაგათ. ასეთი ორმაგის მიღება კი ძლიერ უსწორ - მასწოროდ ხდება. ერთნი ღებულობენ 100—200 მანეთს ამ საათებისას, მეორენი 30—50 მან. ნუ თუ არ შეიძლება ისე მოწესრიგდეს, რომ ასეთი განსხვავება არ იყოს.

შრომა წესიერად უნდა იყოს განაწილებული. გადაჭარბებული მუშაობა მუშა - მოსამსახურეს დააუძლურებს, დაავადმყოფებს და ის მალე საავადმყოფოში ამოყოფს თავს. ამით ზედმეტი ხარჯები აწვება სათანადო ორგანოებს.

ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები.

მუშკორი შავსოფლელი.

მოგვაშორეთ ხულიგანი

მეთერთმეტე უბანში, მუშათა შესახვევში სცხოვრობს რკ. გზ. რონოდათა მზიდავი დავით მოდრეკელიძე. სახლი ეკუთვნის მოხუცებულ ცოლ - ქმარ ჯორჯიაშვილებს. ხსენებული მოდრეკელიძე განთქმულია როგორც ლოთობით, ისე ხულიგნობით. ა.-წ. 3 სექტემბერს ის მოვიდა სახლში მთვრალი და ლანძღვა-გინებით აიკლო იმ ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელნი. ესეც არ იკმარა და სცემა მოხუც ივანეს, რომელიც თავგახეთქილი წაიყვანეს საავადმყოფოში. მილიციელმა მოდრეკელიძე წაიყვანა კომისარიატში. მილიციელის მოსვლამდე ხულიგანმა მთლად დაამტვრია სახლის მინები. მოდრეკელიძე კომისარიატიდან იმავე ღამეს გამოუშვეს. მისი ასეთი საქციელი პირველი არ არის ამ უბანში, მაგრამ მილიცია არ აქცევს მას ჯეროვან ყურადღებას.

მოგვაშორეთ მუშათა უბანს ეს ხულიგანი და დასაჯეთ ასეთი მოქმედებისათვის.

კოჟ-უხი.

—:—

ჩვენც გვინდა ტრამვაი

წინეთ ნავთლუღში გაყვანილი იყო ტრამვაის ხაზი, რომელიც ოთხი წელიწადია გაუქმებულია და ტრამვაი აღარ მუშაობს.

ეს უბანი მუშებით და ღარიბი ხალხით არის დასახლებული. მათი ბავშვები სასწავლებლად ქალაქში დადიან. ამ სიშორეზე ბავშვების სიარული ძალიან ძნელია, განსაკუთრებით წვიმებში და ცუდ ამინდებში.

ტრამვაის დირექციამ უნდა გაგვიადვილოს მიმოსვლა.

—:—

ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ)

ყოველ დღე დილის 7—8 საათამდე კარლ მარქსის მოედანზე დიდი რაოდენობა მუშა-მოსამსახურეების უცდის ტრამვაის ვაგონს. გამოჩნდება ტრამვაი, რომელიც დატვირთულია ხალხით და ამავე დროს არ ახლავს მისაბმელი ვაგონიც. მოუცდის მეორეს, მესამეს... ბოლოს მობეზრებული და სამსახურში დაგვიანებული ხალხი უკმაყოფილოდ მიეშურება თავის საქმეზე.

დამატებითი ვაგონი ისეთ უბნებზე, როგორიც არის კარლ მარქსის მოედანი, აუცილებელია.

ვ. დოლიძე.

შაბათი სჯობია

(ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბი)

რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილნი არიან კლუბით (მუშტაიდი), სადაც საშუალება ეძლევათ საღამოობით დაისვენონ სუფთა ჰაერზე; კლუბში შესვლა წევრთათვის კვირაში ორჯერ: ორშაბათობით და პარასკევობით უფასოა. სასურველი იქნებოდა, რომ ამ ორი დღიდან, პარასკევის ან ორშაბათის ნაცვლად მოეცათ შაბათი. ამით მუშა-მოსამსახურეს საშუალება მიეცემა მეტი დრო გაატაროს კლუბში, ვინაიდან კვირას სამუშაოზე არ მიდის.

წითელი ვასო.

დაარსდეს საგუშაგო

(თბილისის მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

სადგურის ქუჩაზე თავს იყრიან ჯიბგირები და ქურდ-ბაცაცები. ამ ქუჩაზე მრავალი სასადილოებია, საიდანაც მთვრალი ხალხი გამოდის და ხშირად ადგილი აქვს ჩხუბს--ყვირილს, გინებას და სხვა. ამ დროს წესიერების დამცველი კი არავინ არის. წინათ აქ ყოველთვის იდგა გუშაგი მილიციელი, ეხლა საგუშაგო მოხსნილია. სადგურის ქუჩის თავსა და ბოლოს სდგანან მილიციელები, მაგრამ აქ უძრავი საგუშაგოებია, საიდანაც წასვლა არ შეიძლება. მეეზოვეებს კი არავინ არაფრად აგდებს. საჭიროა ამ ქუჩაზე დაარსდეს საგუშაგო.

მახვილი.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **კულტ-თათბირი.** პარასკევს, სექტემბრის 16-ს, დილის 9 საათზე საქართველოს პროფკავშირთა კულტგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი. თათბირს დაესწრებიან ყველა კავშირების კულტგანყოფილებების გამგეები, თბილისის მუშათა კლუბების გამგეობების თავმჯდომარეები და თბილისის რკინის გზის საუბნო კომიტეტი.

— **შეშის მომარაგება.** მუშა-მოსამსახურეთა შეშით მომარაგების მიზნით მბეჭდავთა კავშირის ც. გ. აღძრა შუამდგომლობა სამეურნეო ორგანოების წინაშე.

— **საცეკვაო სტუდიაში.** განათლების კომისარიატთან არსებული ს. გოციროძის საცეკვაო სტუდიაში პროფკავშირის წევრთათვის საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაეთმო ათი უფასო ადგილი.

— **სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა თათბირი**—სამშაბათს, სექტემბრის 13-ს საღამოს შვიდ საათზე სურსათ გამოვნების კავშირის კლუბში მოწვეულია სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას საინსტრუქციო მოხსენება „როგორ უნდა ჩავატაროთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი". სავალდებულოა დასწრება ყველა დრამატიულ, (ცოცხალ გაზეთის; მუსიკალურ წრეების; სასიმღერო გუნდების და სასულე ორკესტრების ხელმძღვანელებისა.

— **შრომის გმირის სახელწოდების მისანიჭებლად** მბეჭდავთა კავშირის ც. გ. გამოყო სპეციალური კომისია.

მეცხვარეობა

სააქციო საზოგადოება „ოვცევოდ"-თან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, საქ. მამულების ტრესტი „უდაბნოს" მიდამოებში — 7.000 დესეტინის სივრცეზე აწყობს ჯიშიან ცხვრების მეურნეობას. თუშური ჯიშის ცხვრების მერინოსის ჯიშის ყოჩებთან შერევის საშუალებით მოშენებული იქნება ადგილობრივი ჯიშის ცხვარი. ამ მეურნეობასთან მოეწყობა სახელმწიფო მნიშვნელობის ფარეხი, რომლის დანიშნულებაც იქნება რბილ მატყლიანი ცხვრების მიწოდება საკავშირო რესპუბლიკებისათვის.

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ცხვრის მეურნეობის მოწყობის გეგმა უდაბნოს მიდამოებში სავსებით მოიწონა.

„უდაბნო"

საქ. სახალხო მამულების ტრესტმა საკავშირო სააქციო საზ-ბა „მეცხვარე"-სთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით საზ-ბა „მეცხვარე"-მ გადასდო 230 ათასი მანეთი უდაბნოს რაიონში (კახეთშია) ჯიშიან ცხვრების მომშენებელ სადგურის მოსაწყობად. ამ სადგურის ორგანიზაციის საქმეს უშუალოდ უხელმძღვანელებს საქ. სახალხო მამულების ტრესტი. სადგურის საჭიროებისათვის უდაბნოს რაიონში გამოყოფილია 7 დესეტინა. სადგურთან მოეწყობა ლაბორატორია ცდებისათვის და სხვა საჭირო დაწესებულებები.

სადგურისათვის სანაშენო ცხვრების (მამალი) —მერინოსის ჯიშის შეძენილი იქნება ამერიკაში, დედალი ცხვრები კი საქართველოს მეცხვარეობის ადგილებში და იწარმოებს მერინოსის და ადგილობრივ (უმთავრესად თუშურ) ჯიშის ცხვრების შეჯვარება ცხვარის სრულიად ახალი ჯიშის მოსაცემად. ამას გარდა, ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებასთან ერთად იწარმოებს ცდები მატყლის ხარისხის ასაწევადაც.

ეს ხელშეკრულება უკვე დაამტკიცა საქ. საგეგმო კომისიამ.

განზრახულია აგრეთვე საქართველოში მეორე სადგურის მოწყობა, სადაც მოშენებული იქნება ინგლისური ჯიშის რბილ მატყლოვანი ცხვარი. ამ სადგურის მოწყობა დაკისრებული აქვს ზოოტეხნიკურ სადგურს იმავე საზ-ბის „მეცხვარე"-ს დახმარებით.

კოლხელშეკრულებათა საშემოდგომო კამპანია

ა.-კ. პროფსაბჭომ დაადგინა, ამიერ - კავკასიის სახელმწიფო წარმოებებში კოლხელშეკრულებათა კამპანია ჩაატაროს ნოემბერ - დეკემბერში. რესპუბლიკათა პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ გააგრძელონ 1930 წლის 1-ლ იანვრამდე ის ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა 1-ლ იანვარზე ადრე თავდება.

ა.-კ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა თვალყური ადევნოს, რომ რესპუბლიკანურმა პროფსაბჭოებმა სისწორით გაატარონ სრ. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დირექტივა, რომელიც უკრძალავს მათ საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების გადარჩევას ნოემბერ - დეკემბერში. ამ თვეების განმავლობაში საკავშირო ორგანიზაციები თავისუფალი უნდა იქნენ კოლხელშეკრულებათა დადებისაგან.

მდ. რიონის ნაპირების გამაგრება

მდ. რიონი, რომლის ნაპირები გამაგრებული არ იყო ზღვის შესართავთან ფოთის მიდამოებში, დიდ ზიანს აყენებდა ახლო-მახლო ადგილებს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ეს ზიანი წყალდიდობის დროს, როდესაც მდინარე სცილდებოდა თავის კალაპოტს.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველომ და ფოთის აღმასკომმა რომლებმაც გადასდევს საჭირო თანხები, პირველი [illegible] აწარმოებს მდინარის ნაპირების გამაგრებას. ეს საქმე ეხლა თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მდინარის ნაპირები გამაგრებულია უმეტესად დიდი პალიასტომის ტბის იმ რაიონში, სადაც ადგილი აქვს წყლისაგან მიდამოების წალეკვას.

ამიერიდან, ამ მიდამოების წალეკვა თავიდან იქნება აცილებული.

ღვინის დამზადება

საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მიმდინარე სეზონში ღვინის დამზადების გეგმა, რომლის მიხედვით ღვინის დამამზადებელი ორგანიზაციები დაამზადებენ სულ 1.180.000 ვედრო ღვინოს. აქედან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხ-ბა დაამზადებს — 60.000 ვედრო ღვინოს; სახალხო მამულების ტრესტი—370 ათას ვედროს (საკუთარ მამულებიდან დამზადებული იქნება 70 ათასი ვედრო, ხოლო 300 ათასი შეძენილი იქნება გლეხებისაგან); საქ. მევენახეთა კავშირი დაამზადებს — 450 ათას ვედროს და საზ-ბა „უნიონი" — 300 ათას.

ღვინის შეძენის და დამზადების საქმის წესიერად დასაყენებლად, საგეგმო კომისიის დასკვნით, ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციებს მიეცემათ სესხი შემდეგი რაოდენობით; სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას — 125 ათასი მანეთი; სახალხო მამულების ტრესტს — 660 ათასი , საქ. მევენახეთა კავშირს 1 მილიონი და „უნიონს"—300 ათასი მანეთი. ამას გარდა, სახალხო მამულების ტრესტი დაამზადებს 3 ნახევარ მილიონ გრადუს სპირტს და მევენახეთა კავშირი—2 მილიონ გრადუსს. ამ მიზნით პირველს სესხად მიეცემა 583 ათასი მანეთი, ხოლო მეორეს—340 ათასი მანეთი.

საქ. საგეგმო კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმით, ღვინის დამამზადებელი ორგანიზაციები ღვინის ახალ მოსავალს შეიძენენ: კახურ ღვინოს ვედროს — 3 მან. 50 კ., იმერულს —3 მანეთათ, ბორჩალოს მაზრაში — 2 მ., კონიაკის სპირტს გრადუსს — 2 მ. 50 კაპიკათ, საუკეთესო ვედრო ღვინოზე ყველგან დაწესებულია — 5 მანეთი ვედროზე.

საბჭოთა არხი

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ქუთაისის მაზრაში დაამთავრა 1-ლი საბჭოთა სარწყავი არხის ერთი ნაწილის გაყვანა. ჯერ-ჯერობით არხი რწყავს 3.000 დესეტინას; შემდეგისათვის სარწყავი სივრცე გადიდებულ იქნება—9.000 დესეტინამდე. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბჭოთა არხის სარწყავის სისტემის ქსელის გასაფართოებლად. მუშაობა დამთავრდება 1928 წელში.

ტყეები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების სტატისტიკურ ბიუროს ცნობით, ამჟამად საქართველოში ტყეებს უჭირავს: დასავლეთ საქართველოში—703.550 დესეტინა, აჭარისტანში—245.026 დესეტინა, აფხაზეთში—407.968 დეს., აღმოსავლეთ საქართველოში—973.932 დესეტინა. საქართველოში ტყეების სივრცე (სამხრეთ-ოსეთის გამოკლებით) სულ შეიცავს 2.330.476 დესეტინას.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, 1921 წელს ტყეებს საქართველოში ეჭირა, 2.218.453 დესეტინა. ე. ი; საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე საქართველოში ახალი ტყეების გაშენების საშუალებით ტყეების სივრცე საგრძნობლად გაზრდილია.

ტყის სიხშირის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს ფინეთის შემდეგ ყველა სახელმწიფოებს შორის.

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

1. დღესასწაულის ცენტრალურ დღეებათ ჩაითვლება 6 და 7 ნოემბერი. 6 ნოემბერს მოეწყობა მასიური სეირნობა, ექსკურსიები რევოლიუციის მუზეუმში, ოქტომბრისათვის მიძღვნილ გამოფენაზე, სამოქალაქო ომისა და შრომის ფრონტის გმირების პატივისცემა, წითელ არმიასთან შეხვედრა და სხ.

7 ნოემბერს დილით რაიონებში მოეწყობა მასიური პოლიტიკური დემონსტრაცია, რომლის მომზადებაშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა თვითმოქმედი სამხატვრო წრეები და კლუბები.

საღამოთი თეატრებში და კინოებში გაიმართება წარმოდგენები.

მაზრაში 6 ნოემბერს მოეწყობა სახალხო სეირნობა, თამაშობა და სხვა გასართობები. 7 ნოემბერს გაიმართება ოქტომბრისადმი მიძღვნილი თემსაბჭოების სხდომები გლეხობის აქტივთან ერთად.

2. მთელი მოსამზადებელი მუშაობა ოქტომბრის დღესასწაულის მოსაწყობად ჩატარდება მუშათა მასებისათვის ოქტომბრის გადატრიალების აზრის ახსნა-განმარტების ნიშნის ქვეშ, მასებს განემარტება ოქტომბრის მნიშვნელობა, როგორც მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ფაქტორისა. განემარტება; აგრეთვე საკავშირო კომპარტიის (ბ), საბჭოების, პროფკავშირების როლი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის მშენებლობაში. გაშუქდება ჩვენი მიღწევები 10 წლის განმავლობაში და ის მიღწევები, რომლებიც წამოჭრილია მუშათა კლასის წინაშე ომის საფრთხესთან დაკავშირებით.

ამ მიზნით მუშათა კლუბებისა და წითელი კუთხეების ხაზით მოეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები ოქტომბრის შესახებ, დაარსდება ოქტომბრის ისტორიის შემსწავლელი წრეები, გაიმართება მოგონების საღამოები.

სახალხო განათლების ხაზით: სადღესასწაულო დღედ სკოლებში გამოცხადებულია 5,6 და 7 ნოემბერი.

3. 15 ოქტომბრის შემდეგ ოქტომბრის ზეიმამდე წარმოებებში ჩატარდება მოხსენებები ოქტომბრის გადატრიალებისა და ოქტომბრის ათი წლისთავის მნიშვნელობის შესახებ.

4. მოსამზადებელი მუშაობის სახელმძღვანელოდ ადგილებსა, რაიონებსა და მსხვილ წარმოებებში ეწყობა ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელი სპეციალური კომისიები. საზეიმო გეგმის შესამუშავებლად პარტიის რაიკომები იწვევენ აგიტპროპორგანიზატორთა და კულტკომისიების თავმჯდომარეთა თათბირს.

5. ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოეწყობა ჩვენი მიღწევების საჩვენებელი გამოფენა.

6. დემონსტრაციის ჩატარებისა და გამოფენის მოწყობის გეგმის შესამუშავებლად დაარსებულია კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ასრიბეკოვი, აბაშიძე და ახმეტელი.**

7. მზადების და ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების სახელმძღვანელოდ მაზრებში თემაღმასკომებთან ეწყობა სპეციალური კომისიები. მაზრებში სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებში ჩატარდება ახსნა განმარტებითი კამპანია ოქტომბრის საკითხების გარშემო საუბრების მოწყობის გზით.

სამხრეთ-სლავიის სტუდენტთა დეკლარაცია

აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა სამხრეთ-სლავიის სტუდენტთა დელეგაცია შვიდი კაცის შემადგენლობით. დელეგაცია თბილისში დარჩა ორი დღე. ამ ხნის განმავლობაში დელეგატებმა დაათვალიერეს ზაჰესი, მედსანშრომის კლუბი, რკინისგზელთა კლუბი, ფუნიკულიორი, ეროვნული გალერეა, რევოლიუციის მუზეუმი, მთავარი სახელოსნოები და სხ. დელეგატებს საუბარი ჰქონდათ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილესთან საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. **ჟუღელთან**—ნაციონალურ საკითხზე.

გამგზავრების წინ შესდგა სტუდენტთა ორგანიზაციების და მუშფაკების აქტივის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდენ სამხრეთ-სლავიელი სტუდენტები.

ამ დღეებში—საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ როსტოვიდან მიიღო შემდეგი შინაარსის წერილი:

ამხანაგებო! როდესაც ჩვენ მოვდიოდით თქვენს ლამაზ ამიერ-კავკასიაში, ჩვენ სრული წარმოდგენა არ ვქონდა იმაზე, რასაც იქ ვნახავდით, გავიგონებდით და განვიცდიდით.

ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლისთანავე ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩამოვედით ისეთ ქვეყანაში, რომელიც თავისი ეკონომიური შესაძლებლობით და თავისი ისტორიით ძალიან მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს, ბათომში ყოფნისას, სადაც ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ამუშავებენ გლეხები სიმინდის მაგივრად მაღალ ტეხნიკურ კულტურებს, ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენთან გატარებული დღეები ჩვენთვის იქნება კარგი სკოლა და ჩვენ ბევრ რამეს ვისწავლით თქვენგან.

ჩვენ ამიერ-კავკასიის მაგალითზე დავრწმუნდით, რომ შესაძლებელია აღმოფხვრილი იქნეს ნაციონალური შუღლი და ამით წაერთვას მტაცებლურ იმპერიალიზმს ერთ-ერთი მისი არგუმენტი, ჩვენ დავრწმუნდით აგრეთვე, რომ ამიერ კავკასია თუმცა ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ იქაური მცხოვრებლები გატაცებული არიან ერთი იდეით—თავისი რესპუბლიკა გადააქციონ ეკონომიურად და კულტურულად მძლავრ ქვეყნად.

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ ცოტა ხანს მოგვიხდა თქვენთან დარჩენა. ჩვენ ვერ მოვასწარით ყველა იმის დათვალიერება, რის ჩვენებაც თქვენ გინდოდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხანმოკლე ყოფნა ამიერ-კავკასიაში უშედეგო არ ყოფილა. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ. ა.-კ. ერები ჩაბმული არიან უდიდეს სოციალისტურ აღმშენებლობაში. ჩვენი გულწრფელი სურვილია დავამყაროთ თქვენთან მჭიდრო კავშირი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მანძილი, რომელიც ჩვენ ტერიტორიალურად გვაშორებს ერთმანეთს, ხელს არ შეუშლის ჩვენს გულწრფელ ამხანაგურ ურთიერთობას.

სამხრეთ-სლავიის ტეხნიკოსების და ექიმების სახელით უღრმეს მადლობას გიძღვნით გულწრფელი შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს მტკიცე კავშირს ამიერ-კავკასიის და სამხრეთ-სლავიის ახალგაზრდობის შორის!

დელეგაციის თავმჯდომარე მ. კრნო.

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

პირველი და მეორე დღე

15 სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს დარბაზში გაიხსნა თბილისისა და მისი მაზრის იუსტიციის მუშაკთა თათბირი რაიონის მილიციის უფროსთა და თემაღმასკომთა თავმჯდომარეთა მონაწილეობით. თათბირი გახსნა ამხ. **სიჭინავამ,** რომელიც შეეხო თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხებს და უსურვა თათბირს ნაყოფიერი მუშაობა.

თათბირის პრეზიდიუმში აირჩია ამხ. ტალახაძე, თოლორდავა, სიჭინავა, ხმალაძე, ქუპასელი, ყაყაჩიშვილი, ზუკაკიშვილი, დათუნაშვილი და ჯანჯღავა.

მოხსენებები სასამართლო ორგანოების შესახებ

პირველი მოხსენება ტიპიური ხასიათისა გააკეთა [illegible] რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ ამხ. ჭკუასელმა.

სასამართლოს მრავალ მიღწევებთან ერთად ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მომხსენებელმა აღნიშნა შემჩნეული ნაკლულოვანებანიც და ამათ შორის შემდეგი: პროკურატურის სუსტი კონტროლი და მონაწილეობა; სასამართლოს მეტის მეტი დატვირთვა წვრილმანი საქმეებით, მილიციის მიერ უწყებების დროზე ჩაუბარებლობა და სხვა. მომხსენებლის დასკვნით, სასამართლო უნდა განიტვირთოს წვრილმანი საქმეებისაგან, რომელნიც, მისი აზრით, განსარჩევად უნდა გადაეცეს აღმასკომის თავმჯდომარეებს. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დამცველთა კოლეგიის ზოგიერთ დეფექტებს.

თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ერწოს რაიონის, ერწო-თიანეთის, ალბულაღის და გარეკუბნის სასამართლოთა წარმომადგენლების ვრცელი მოხსენებები. მომხსენებლები ერთხმად აღნიშნავდენ სასამართლოს ავტორიტეტის თანდათანობით ზრდას გლეხთა ფართო მასებში, იუსტიციის მუშა ქალთა აქტიობის ზრდას და სხვა. მომხსენებელთა გადმოცემით სასამართლოებს მოუხდათ დიდი კამპანიის ჩატარება მიწის ფარული ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ. ამ მიზნით ეწყობოდა საჯარო გასამართლება, იკითხებოდა მოხსენებები რევოლიუციური კანონიერების შესახებ და სხვა, სასამართლოები, მომხსენებელთა გადმოცემით, სრული კონტაქტით მუშაობენ ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანოებთან, რომელნიც ყოველ მხრივ ხელს უწყობენ და უადვილებენ სასამართლოს მუშაობას.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ორჯონიკიძემ, კაკულიამ, ტალახაძემ და სხვებმა. კამათში მონაწილე ამხანაგები განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ დამცველთა კოლეგიის როლს სასამართლოს მუშაობაში. იუსტიციის ადგილობრივი მუშაკები მოითხოვდენ საკონსულტაციო ბიუროების მოწყობას სოფლად.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე სხდომა

ყრილობამ მოისმინა ცეკავშირის სტატისტიკურ ქვე-განყ. გამგის ამხ. ჭავჭანიძის მოხსენება სამომხმარებლო კოოპერატივების სამუშაო გეგმების და ამ დარგში ინსტრუქტორული ხელმძღვანელობის შესახებ.

მომხსენებელი ასაბუთებს კოოპერატივებში გეგმიან მუშაობის აუცილებლობას და მოჰყავს არგუმენტები, რომლებიც შეეხებიან სახალხო მეურნეობაში გეგმიან საფუძვლების განმტკიცებას. ის ამბობს, რომ გეგმიანი მუშაობა მით უმეტეს საჭიროა კოოპერატივებში დღეს, როდესაც ვაჭრობის პრაქტიკა გაცილებით უფრო რთულია, ვინემ ომიანობის წინ იყო.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, გეგმები უნდა იყოს საორგანიზაციო და სამეურნეო, წლიური, კვარტალური და თვიური. ისინი უნდა დგებოდენ მარტივად და უნდა შეესაბამებოდენ კოოპერატივების შესაძლებლობის და მაზრის საერთო მდგომარეობას.

დასასრულ განმარტებულ იქნა ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა კოოპერატივების გეგმების შედგენის საქმეში.

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ინსტრ. **ბაშინჯაგიანის** მოხსენება კოოპერატიული მშენებლობის შესახებ.

მისი მოხსენებით, მთავარი ამ საქმეში მდგომარეობს ქსელის აგების საკითხის ყოველმხრივ შესწავლაში.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ინსტრ. **ხარაძის** მოხსენება, კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესების შესახებ.

კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესებას მომხსენებელი დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგან ამას შეუძლია ახალ წევრების მოზიდვა კოოპერატივებში.

შემდეგ ის არკვევს, თუ როგორი უნდა იყოს ფორმები წევრთა მატერიალური დაინტერესებისა.

საქ. სახკომსაბჭოში

ორბელის ხიდი

სახკომსაბჭომ მიმართა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს, რათა უკანასკნელმა უფასოთ დაუთმოს ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს ორბელის ხიდის საჭიროებისათვის ექვსი საჟენიანი რელსი.

სესხი სენაკის ადგილობრივ მრეწველობას

თანახმად სმუს დასკვნა, სახკომსაბჭომ დაამტკიცა სენაკის მექანიკურ სახელოსნოს, სტამბის, ხე-ტყის, ყინულის, ლიმონათის და კირის ქარხნების გეგმა და ხარჯთაღრიცხვის საერთო ჯამი —48.360 მან. რაოდენობით. სახკომსაბჭოს დადგენილებით, აღნიშნულ სამრეწველო წარმოებებს კაპიტალური წარმოებებისათვის მიეცათ გრძელვადიანი (სამი წლის) სესხი — 25.000 მან. რაოდენობით.

ხე - ტყის მასალა რკ. გზისათვის

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭომ მოიწონა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება რკინისგზის ტრანსპორტისათვის ხე-ტყის მასალის მიწოდების შესახებ.

ბორჯომის წყლის რეალიზაცია

სახკომსაბჭოს დადგენილებით, ბორჯომის მინერალური წყლის (როგორც საქართველოში, ისე გარეთ) რეალიზაციის საქმეში მონოპოლიის შემოღება მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი.

ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველოს და სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას მიეცათ წინადადება განაახლონ ხელშეკრულებები ბორჯომის წყლის საკავშირო ბაზარზე რეალიზაციის შესახებ.

დავალიანების ჩამოწერა

სახკომსაბჭომ მიმართა ა.-კ. სახკომსაბჭოს, რათა სენაკის აღმასკომს ჩამოეწეროს „აბჰესი"-ს საჭიროებისათვის მიცემულ ხე-ტყის მასალის საფასურის დავალიანება.

წითელი ჯვრის სამდღიური

სახკომსაბჭომ ნება დართო საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებას ა.-წ. 1, 2 და 3 ოქტომბერს ჩაატაროს წითელი ჯვრის სამდღიური.

შვებულების გაგრძელება

ავადმყოფობის გამო ს. მ. უ. ს-ის თავმჯდომარეს ბ. ქიჩინაძეს მიეცა დამატებით ერთი თვის შვებულება.

ავტო - ტრანსპორტის ექსპლოატაცია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქ. სახ. საგეგმო კომისიის დასკვნა — ავტო - ტრანსპორტის ექსპლოატაციისათვის შერეული სააქციო საზოგადოების დაარსების შესახებ.

აფხაზეთის სახკომსაბჭოში

სახელმწიფო ბანკის განყოფილების საკრედიტო გეგმა

აფხაზეთის სახკომსაბჭო იწონებს რა სახელმწიფო ბანკის აფხაზეთის განყოფილების მიერ კრედიტების გასაცემად აღებულ გენერალურ გეზს, აღნიშნავს რომ 1927—28 წლის პირველ კვარტალში იწყება სასოფლო - მეურნეობის ძირითად პროდუქციის — თამბაქოს დასამზადებელი და სავაჭრო ოპერაციები. აფხაზეთის თამბაქოს კავშირს — თავისი პერიფერიებით განზრახული აქვს ფართო ოპერაციების წარმოება და სახელმწიფო ბანკის მიერ აღნიშნულ კავშირისათვის განსაზღვრული კრედიტის რაოდენობა ოპერაციებთან შედარებით სახკომსაბჭოს მიაჩნია არა საკმარისად. ასევე არასაკმარისად მიაჩნია მრეწველობისათვის და საკურორტო საქმისათვის განზრახული კრედიტები. ამის გამო, სახკომსაბჭო საჭიროდ სცნობს, რათა კრედიტები გაფართოვებული იქნეს: აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობისათვის — 1.000.000 მანეთამდე, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირისათვის —1.200.000 მანეთამდე; „აფხაზეთის ტყე"-სათვის — 300.000 მანეთამდე; კურორტების სამმართველოსათვის — 600.000 მანეთამდე; აფხაზეთის კავშირისათვის — 700.000 მანეთამდე და დამატებით იქნენ შეტანილი საკრედიტო გეგმაში სმუს გარაჟის კრედიტი — 50.000 მან. რაოდენობით.

შინავაჭრობა

ა.-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებათა თანახმად, საქართველოს სამაზრო აღმასკომებთან არსდება შინა - ვაჭრობის კომისიები, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარეთ - სამაზრო აღმასკომის ერთ - ერთი წევრი, წევრებათ— პროფბიუროების, გლეხკომების, სადუქნო და კოოპერატიულ კომისიების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღნიშნულ კომისიებს ევალებათ — ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებათა და განკარგულებათა სისწორით აღსრულებისათვის თვალყურის დევნება და აგრეთვე ვაჭრობის მოწესრიგებელ წესების დარღვევისათვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა. ქუთაისის, ფოთის, თელავის, დუშეთის, შორაპნის, ახალციხის, გორის, სიღნაღის, ოზურგეთის, სენაკის, ლიუქსემბურგის და ცხინვალის კომისიებთან დანიშნული იქნება თითო შინა - ვაჭრობის ინსპექტორი.

ფარმაცევტების მომზადება

ჯანსახკომის ინიციატივით და განათლების კომისარიატთან შეთანხმებით მომავალი სამოსწავლო წლიდან სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან გაიხსნება უმაღლესი კვალიფიკაციის ფარმაცევტების მოსამზადებელი სამწლიანი განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებაზე მიიღებენ მხოლოდ აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტებს და შემდეგ კი საექიმო ტეხნიკუმის კურსდამთავრებულებს.

ჯანსახკომის საფარმაცევტო განყოფილების ცნობებით, ამჟამად რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნილება არის კვალიფიციურ ფარმაცევტებზე; მომავალში სამკურნალო ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით აღნიშნულ მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მოსაზრებით ჯანსახკომმა მიზანშეწონილად სცნო საექიმო ტეხნიკუმთან მოეწყოს ფარმაცევტების გადასამზადებელი ერთწლიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს პირველი ოქტომბრიდან. კურსებზე მსმენელებლად ადგილებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები საკუთარ ხარჯზე.

სასამართლო

შურისძიება დედინაცვალზე

თბილისში მცხოვრები თედორე პეტრენკო გაეყარა თავის ცოლს და მოიყვანა მეორე ქალი ეკატერინა. პატარძალს ქმრის ოჯახში დაუხვდა გერები. პეტრენკოს მეორე ცოლი ვერ გამოდგა კარგი ზნის ქალი: გერებს არ უვლიდა, ოჯახს არ ხედავდა და ხშირად ქმართან ერთად ლოთობდა. ცუდი საქციელისა და მოპყრობისათვის გერებს შესძულდათ დედინაცვალი. ეკატერინეს განსაკუთრებით ამოჩემებული ჰყავდა უფროსი გერი პეტრე, რომელსაც ხშირად შეურაცხყოფდა. პეტრემ ვეღარ გაუძლო დედინაცვალს და გადასახლდა თავის მშობელ დედასთან. გულში კი თავის დედინაცვლისადმი შურისძიების გრძნობას ინახავდა.

1927 წლის მარტში პეტრე მიიპატიჟა მამამისმა თავისი ქალიშვილის — პეტრეს დის ქორწილზე. პეტრეს მაინცდამაინც დიდათ არ ეხალისებოდა თავის დედინაცვლის საზოგადოებაში ქეიფი, მაგრამ წავიდა იმ განზრახვით, რომ ხელსაყრელ მომენტში დედინაცვლისათვის სამაგიერო გადაეხადა.

მამის ოჯახში მისვლისას სახლიდან წაღებული ბებუთი კუთხეში დამალა.

მექორწილენი შეუდგენ დროს ტარებას.

განსაკუთრებით მხიარულობას იჩენდა ახალგაზრდა პეტრე, რომელმაც სუფრის გასამხიარულებლად თავისი ამხანაგი, — გარმონის დამკვრელი ტოლჩინიც მოიყვანა. ქეიფი დამთავრდა. სტუმრები დაიშალენ. ამ დროს პეტრე მოულოდნელად მივარდა დედინაცვალს და თავში ბებუთის ცემა დაუწყო.

ხიფათში ჩავარდნილ ქალს მიეშველენ პეტრეს მამა და გარმონისტი ტოლჩინი. ახალგაზრდა პეტრენკო ისე თავდავიწყებული იქნევდა ბებუთს, რომ უნებურად მოხვდა იგი მამამისს და ტოლჩინს.

დედინაცვალი სიკვდილს გადარჩა.

მსუბუქად დაიჭრა პეტრეს მამა, ხოლო ტოლჩინი კი მძიმე ჭრილობისაგან გარდაიცვალა ორი საათის შემდეგ. პეტრე პეტრენკო დააპატიმრეს

გუშინ დასრულდა ამ საქმის გარჩევა.

სასამართლომ პ. პეტრენკოს ტოლჩინის უნებური მკვლელობისათვის მიუსაჯა ერთი წლით დაპატიმრება, ხოლო დედინაცვლის სასიკვდილოთ ხელყოფისათვის — 8 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლაციით. მაგრამ სასამართლომ მიიღო მხედველობაში ბრალდებულის ახალგაზრდობა, აღზრდის პირობები და სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა 5 წლამდე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

კოოპერატივის გაქარცვა

1926 წლიდან თიანეთის (თელავის მაზრა) სამომხმარებლო კოოპერატივში ნოქრად მსახურობდა მოქ. **თედო აბრამაშვილი.**

ნოქრის კეთილსინდისიერი და მუყაითი მუშაობით კმაყოფილი იყო, როგორც კოოპერატიული საზოგადოების გამგეობა, ისე წევრებიც. თედოზე გამწყრალი იყო მხოლოდ მისი ბიძაშვილი გიო **აბრამიშვილი,** რომელმაც ერთხელ თედოს სთხოვა აეყვანა იგი თავის თანაშემწეთ. თედოს არ შეეძლო დაეკმაყოფილებია ბიძაშვილის ასეთი თხოვნა. თედოს უარი გულში ჩაიხვია სახლიკაცმა და გადასწყვიტა სამაგიერო გადაეხადა.

სოოპერაციო წლის დამთავრების შემდეგ სარევიზიო კომისიამ რევიზია გაუკეთა თიანეთის კოოპერატივს. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. სარევიზიო კომისიამ და გამგეობამ მადლობა გამოუცხადა ნოქარს კეთილსინდისიერი მუშაობისათვის. რევიზიის დასკვნა კოოპერატივის წარმატებითი მუშაობის შესახებ დაადასტურა აგრეთვე თბილისიდან ჩამოსულმა ინსტრუქტორმაც. წლიური ანგარიშის წარსადგენად რამდენიმეჯერ მოიწვიეს წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაუსწრებლობის გამო, კრება არ შესდგა.

გავიდა რამდენიმე კვირა. ერთ საღამოს გიო აბრამიშვილმა შეამჩნია, რომ კოოპერატივის შენობის სარდაფი იმდენად გამონგრეულია, რომ შესაძლებელია შეპარვა და იქიდან თვით კოოპერატივში ასვლა.

— ეხლა კი დამიდგა დრო, —გაიფიქრა გიომ, მუქთად დოვლათიც შევიძინო და თედოზედაც შური ვიძიო. ცხადია, საქონლის დაკარგვას მას დააბრალებენ".

განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მაღაზიიდან ქურდულად გაიტანა 1.000 მანეთზე მეტი საქონელი. იმავე ხანებში მოხდა კოოპერატივის რევიზია; აღმოჩნდა 1.311 მანეთის დანაკლისი. სარევიზიო კომისიაც და გამგეობაც განცვიფრდა. თედოს კეთილსინდისიერება მის ბოროტმოქმედებაში ეჭვს შეუძლებელს ხდიდა. 1927 წლის 9 იანვარს მოიწვიეს საზოგადო კრება, რომელსაც წარუდგინეს ანგარიში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე. ის იყო საზოგადოებას მოწონების რეზოლიუცია უნდა მიეღო, ფეხზე წამოდგა გიო აბრამიშვილი და დაიწყო ყვირილი: ნოქარმა თედომ გაქურდა კოოპერატივი, გამგეობა კი მას ხელს აფარებსო. დაინიშნა ხელახალი რევიზია თბილისელ ინსტრუქტორის მონაწილეობით. რევიზიამ დაადასტურა კოოპერატივის დანაკლისი 1311 მანეთის რაოდენობით. ნოქარი დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ ქურდობა ჩადენილია ან ყოფილი ნოქრის ყურშავიშვილისა (რომელსაც დუქნის გასაღები შერჩა), ან ბიძაშვილის აბრამიშვილის მიერ.

ორივე დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს. გიოს სახლში აღმოჩნდა 235 მანეთის საქონელი. ამის შემდეგ გიო გამოტყდა დანაშაულში.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ გიო აბრამიშვილს მიუსაჯა 5 წლით დაპატიმრება და კოოპერატივის ზარალის ანაზღაურება.

საბჭოთა კავშირის ფინანსიური თავდაცვისათვის

ცირკულიარულად.

კომ. პ. (ბ) ყველა რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომიტეტებს, [illegible] ქალაქების და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო! 15 სექტემბრიდან [illegible] პირველ ოქტომბრამდე მთელ საბჭოთა კავშირში, **პირველიდან 15 ოქტომბრამდე** კი ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ტარდება „ფულის შენახვის ორკვირეულის" კამპანია.

ეს კამპანია მიზნად ისახავს განუმარტოს მშრომელთა ფართო მასებს ფინანსიურ თავდაცვის მნიშვნელობა და ამოცანები, განუმარტოს ამ მასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას, უმთავრესად შინაურ რესურსების საშუალებით, და რამდენად ხელსაყრელია ფულის მოთავსება შემნახველ სალაროებში, სახელმწიფო სესხებში და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში. კამპანიის ძირითად ხაზს შეადგენს გაწევის აგიტაცია ფულის შენახვის ყველა ჩამოთვლილ სახეების სასარგებლოდ, და განმარტოს თვითეულ მათგანის უპირატესობანი ისე, რომ არ გამოაცალკევოს ერთ-ერთი სახე, როგორც უფრო ხელსაყრელი. ამ კამპანიის მნიშვნელობის გამო და მშრომელთა წინაშე შეთანხმებულ გამოსვლის მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა ჩაატაროს ეს მნიშვნელოვანი კამპანია პარტიულ ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით.

იღებს რა მხედველობაში ზემონათქვამს, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა, რათა გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. პარტიულ კომიტეტების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან უნდა მოეწყოს სათანადო კომისიები, რომლებშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიონალურ, საბჭოთა, საფინანსო—სამეურნეო, კოოპერატიულ, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან აღნიშნულ კამპანიის ჩატარებით; ამ კომისიებმა უნდა შეასრულონ მთელი მოსამზადებელი მუშობა და ხელმძღვანელობა გაუწიონ „ფულის შენახვის ორკვირეულის" კამპანიის ჩატარებას.

2. ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს უნდა დაეგზავნოს სადირექტივო წერილი, რათა აღნიშნულ კამპანიის ჩატარებას ხელი შეუწყონ და მიიღონ მასში აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკების პროფსაბჭოებმა, სახალხო განათლების კომისარიატებმა, კომკავშირმა და სხვა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა.

3. კამპანიის მეორე პერიოდში რესპუბლიკების ცაკებმა უნდა მიმართონ მოსახლეობას მოწოდებით ფულის შენახვის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. მოწოდება ფართოდ უნდა გავრცელდეს მშრომელთა შორის.

4. მუშების და გლეხების საერთო კრებებზე კლუბებში, წარმოებებში, ქოხ-სამკითხველოებში, და სხვ. უნდა ჩატარებულ იქნას მოხსენებები ფულის შენახვის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. მშრომელ მასებს უნდა განემარტოს ფულის შენახვის ყველა სახეების—შემნახველ სალაროების, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების და სხვ. უპირატესობები მშრომელ მოსახლეობისათვის.

ამავე თემაზე უნდა ჩატარდეს საუბრები მუშა[illegible]

5. რამდენადაც შესაძლებელია, ყველა მუშათა კლუბებში და გლეხთა სახლებში (აუცილებლად) უნდა მოეწყოს შემნახველ სალაროების, სახელმწიფო სესხების და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების კუთხეები ან მაგიდები.

6. ინფორმაციის მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას სხვადასხვა ყრილობები და კონფერენციები, რომლებიც მოხდება კამპანიის ჩატარების დროს.

7. უნდა გამოიყოს მომხსენებელთა კადრი, უნდა წინასწარ მოეწყოს მათი თათბირები, რომლებზედაც უნდა გაკეთდეს საინსტრუქციო მოხსენებები და მომხსენებლებს უნდა მიეცეს ციფრული ცნობები ადგილობრივ შემნახველ სალაროთა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა და სხვ. მოღვაწეობის შესახებ.

8. კამპანიის დროს და წინასწარ მუშაობის მსვლელობაში ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული პერიოდული პრესა:

ა) ამ პრესის ფურცლებზე უნდა მოთავსდეს საუბრები საოლქო და რესპუბლიკანურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან აღნიშნულ კამპანიის მნიშვნელობის შესახებ.

ბ) პრესის ყველა ორგანოების მოწინავე წერილები პირველ ოქტომბერს უნდა მიეძღვნას საკითხს—„ფულის შენახვის ორკვირეული".

გ) მაქსიმალურად უნდა იქნეს გაშუქებული საბჭოთა სახელმწიფოს, კერძო და ამა თუ იმ რესპუბლიკის ფულის შენახვის საქმის საკითხები, მისი მნიშვნელობა მშრომელთა ყოფაცხოვრებაში; კონკრეტიულად და პოპულიარულად უნდა გაშუქდეს შემნახველ სალაროთა და სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ცალკე ოპერაციები—შემნახველ სალაროებში, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში და სახელმწიფო სესხებში ფულის მოთავსების ხელსაყრელობა.

აგრეთვე ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული ქალაქი და სოფლის კედლის გაზეთები.

კამპანიის დროს უნდა გამოყენებულ იქნას აგიტაციისა და მასიურ პროპაგანდის ყველა ადგილობრივ მიღებული ფორმები—ინსცენიროვკები, პლაკატები მშრომელ მოსახლეობის თავმოსაყრელ ადგილებზე და სხვ.

ფულის შენახვის როლისა და მნიშვნელობის გასაშუქებლად ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული რადიო, სადაც საუკეთესო ძალები უნდა მივიზიდოთ მოხსენებების გასაკეთებლად. თეზისები მომხსენებელთათვის გამოქვეყნდება და გაიგზავნება თავის დროზე.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს მორიგ საინფორმაციო წერილებში და მოხსენებებში, რომლებიც ეგზავნება მაღლა მდგომ პარტორგანოებს, დაწვრილებით გააშუქონ აღნიშნულ კამპანიის მსვლელობა და შედეგები.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ქრონიკა

პროფ. გორევის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი პროფ. **გორევი.**

გუშინ ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, პროფ. გორევი შეუდგა ზაჰესის დათვალიერებას, რის შემდეგაც იგი გაემგზავრება რიონჰესის, აბაშის, აჭარისწყლის და თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის ასაგები რაიონების დასათვალიერებლად.

თათბირი

კვირას, 18 სექტემბერს, „ზაკელმაში" იწვევს ამ.-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების და სასოფ.-სამ. კოოპერატიულ ცენტრების წარმომადგენელთა თათბირს.

თათბირზე განიხილება საკითხი 1927—28 წ. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და მასალების განაწილების შესახებ.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქ. თბილისის და მისი მიდამოების კომენდატის სამმართველო მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 19, 20, 21 და 22 სექტემბერს მლაშე ტბების რაიონში ჯარის ნაწილების მიერ იწარმოებს საარტილერიო სროლა.

ჩვენი თამბაქო ციმბირში

ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტმა გადასწყვიტა გაიტანოს თავისი პროდუქცია ციმბირის ბაზარზე, სადაც, ტრესტში მიღებულ ცნობებით, დიდი მოთხოვნილებაა ჩვენებურ თამბაქოზე.

რემედასის ერთიანი დღე

რემედასის მორიგი ერთიანი დღე ჩატარებული იქნება 28 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე. ერთიანი დღის ასეთი გაგრძელება გამოწვეულია ამავე დროს მიმდინარე გადარჩევებით პარტიულ ხაზზე.

ბიუროები და სარევიზიო კომისიები გააკეთებენ მოხსენებებს უჯრედების მოქმედების შესახებ. ასეთი მოხსენებები ამიერიდან სისტემატიურად გაუკეთდება წევრების საერთო კრებებს.

თბილისის აღმასკომში

◆ **გზის გაყვანა.** კეთილმომწყობის სექციამ დაამთავრა ხუდადოვის ტყეში გზების გაყვანა.

◆ **საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად** კომუნალურ განყოფილებას გადაეცა 80 ათასი მანეთი.

◆ **ტრამვაის ახალი პარკები.** ტრამვაის დირექციამ ვაკეში და ავლაბარში ახალი პარკების ასაგებად გადასდო 400.000 მანეთი.

სხვადასხვა

— **გოგირდის აბანო.** ხაშურის აღმასკომმა გოგირდის წყაროებზე შეუდგა აბანოების მოწყობას.

◆ **საზ-ბა „აბრეშუმმა"** ქუთაისის მაზრაში წელს გლეხებისაგან შეიძინა 634.791 მანეთის აბრეშუმის პარკი.

◆ **ღვინის სარდაფი.** თელავის მაზრაში შეუდგენ ღვინის დიდი საწყობის აგებას. საწყობის ასაგებათ გადადებულია 100 ათასი მანეთი.

„სოფლის მეურნეობა" № 2

გამოვიდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა და ა. ლ. კ. კ. ცეკას ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „სოფლის მეურნეობა" № 2.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ათი წლის თავზე (მოწინავე) ვ. ქოვნარელი— 1927—28 წ. სასოფლო სამეურნეო გადასახადი და კომკავშირის ამოცანები. დ. ნ.—კომკავშირი და დაქირავებული ახალგაზრდობა სოფლად. ვინი—სასოფლო სამეურნეო თათბირები და კომკავშირის მონაწილეობა მათში. ქ. წალენჯიხელი—აგროპროგანდის შესახებ. ვ. ჯ.—სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა სექციის მიზანი და ამოცანა. ნ. ხაჭაპურიძე—აგროპერსონალის ხელფასისა და ტარიფიკაციის საკითხი საქართველოში. ნ. იაშვილი—აგროდახმარ. მიზანი და ამოცანები გ. ხოფერია—მატყლის პრობლემა საქართველოში. აპ. კაკაბაძე—ჩვენი მესაქონლეობის განვითარებისათვის. ი. ქურდიანი—ტეხნიკურ მცენარეების კულტურა ჩვენში. ე. ნაკაშიძე—ჩაის კულტურა დასავლეთ საქართველოში და მისი მომავალი პერსპექტივები. ელ. ამირაშვილი—მტევნის და ყურძნის ჭიის ბიოლოგიისთვის კახეთში. ვ. ბიბილაშვილი—მეც.-მეურნეობა მეღვინ. შესწავლის გეგმა. ეპ. გოგოლაძე—შეღავათები სას. სამ. კოოპერაციაზე და სამიწადმოქმედო კოოპერატივებზე და მათი კლასიფიკაცია. დ. ხამაძაშვილი თბილისის სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმის რეორგანიზაციისათვის. ვ. მიქაძე—ჩვენი მიღწევები (წერილი ადგილიდან) ა. ქ.—უცხოეთის სას. სამ. კოოპერაციის მიმოხილვა;— სახ. სამ. ქრონიკა.

შეცდომის გასწორება

ამხ. სტალინის საუბარში ამერიკელ მუშათა დელეგაციასთან", რომელიც გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული, პირველ ქვესათაურათ შეცდომითაა დაბეჭდილი: „მარქსი და ენგელსი"; უნდა იყოს: „მარქსი და ლენინი".

შემთხვევები

გაქარცვა

15 სექტემბერს მატ. № 849-თ სადგ. სალოღლში მივიდა რკინიგზის ადგილობრივ მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის დასარიგებლად ამ.-კავ. რკ. გზ. სამმართველოს მეარტელე მოქ. **ხიდირ ბეგიაშვილი.**

საღამოს სადგურის მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების დარიგების დროს მეარტელეს ვაგონში მოულოდნელად შესცვივდენ სამი უცნობი შეიარაღებული ბოროტგამზრახველები. შეიქნა პანიკა. ამით ისარგებლეს ბოროტგამზრახველებმა, გაიტაცეს 40.000 მანეთი და გადახტენ ვაგონიდან.

ასტყდა ყვირილი. ყვირილზე გამოვარდა ამ დროს სადგურში მყოფი სასადგურო ანგარიშთწარმოების რევიზორი მოქ. **მიროტინი,** რომელმაც განიზრახა მძარცველების შეპყრობა.

მძარცველებმა მას აუტეხეს სროლა, რომლის დროსაც მოქ. **მიროტინი** მოკლულ იქნა.

მძარცველები მიიმალენ.

ამ.-კავკ. საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიერ მიღებულია ზომები ბანდიტების შესაპყრობად.

— **შარშან აგვისტოში** სახლიდან გაიპარა ვიქტორ სამსონის ძე ტყეშელაშვილი, რომელიც დღემდი არ დაბრუნებულა. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, აცნობონ ქუთაისის მაზრის აღმასკომში კ. ტყეშელაშვილს.

◆ **ქურდი ბიძაშვილი.** 15 სექტ. ლენინის ქ., № 8, შაქრო სანდაროვის ბინა გაქურდა მისმა ბიძაშვილმა თებურ ალიევმა და მიიმალა.

◆ **გამომცემლობა „შრომა"-ს** წიგნის მაღაზიიდან მოიპარეს 130 მან. ნივთები.

◆ **ბავშვის გვამი.** მოქ. ამირან შაზნიაშვილმა მტკვარში ბანაობის დროს აღმოაჩინა დამხრჩვალი ბავშვის გვამი, რომელსაც აცვია თეთრი ხალათი, მოკლე შარვალი, წინდები და ძველი ფეხსაცმელები, ვინაობა გამოურკვეველია.

◆ **დაჭრა.** თვითმკვლელობის მიზნით მოქ. გრიგორიანცის სახელოსნოში სერგო აკოფიანცმა დანით დაიჭრა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **დეზერტირის ბაზარში** შეიპყრეს ვასილ ივანეს ძე ბურდიკინი, რომელმაც ელენე ნინუას ძოპარა რედიკული.

◆ **ქურდი ქალი.** შეიპყრეს ანტონინა ივანეს ასული პროფიოენკო, რომელსაც ბრალდება სისტემატიური ქურდობა სასტუმრო „ჩრდილოეთში".

◆ **დახრჩობა.** მტკვარში ბანაობის დროს 15 სექტ. დაიხრჩო მოქ. ტერ-სტეფანოვი. გვამი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

◆ **ორჯონიკიძის სახელობის ბაღში** მდებარე „ზაკტპო"-ს ფარდულის გაქურდვისათვის შეიპყრეს ვასილ სებინი და ვასილ ემელიანოვი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 15 სექტემბერს ბაქოს ქ., № 20, გაქურდეს ივანე კაპანაძის ბინა.

◆ **გამოტყუება.** მოქ. ვართან რაფაელიანისათვის ფულის გამოტყუების გამო დააპატიმრეს ივანე გეურქიძე ზაქიანი.

◆ **ქურდობისათვის** პასუხისგებაში მისცეს შაქრო გეურქისძე ბეჟანოვი

◆ **ქურდი შვილი.** 15 სექტემბერს კოჯორის ქ., № 4, მიკირტიჩ გრიგორიანცის ბინა გაქურდა მისმა შვილმა აირაპეტმა იგივე „პეტრიკ"-მა და მიიმალა.

ხელოვნება

სომხურ სახელმწიფო დრამაში

მოსამზადებელი მუშაობა სეზონის გასახსნელად უკვე დაიწყო. დასი საგრძნობლად გაწმენდილია. ახალი დასის დიდი ნაწილი შესდგება უმთავრესად ახალგაზრდობისაგან, რომელზედაც სამართლიანად აქვს აღებული კურსი მთავარ რეჟისორს **ბურჯალოვს.** მისი მიზანია ნამდვილი ამხანაგური ატმოსფერის შექმნა თეატრში და თანამედროულობასთან დაახლოვება.

პირველ კვარტალში დადგმული იქნება შემდეგი პიესები:

„მორგანის ნათლიმამა" — შირვანზადესი (სატირა სომეხ ემიგრანტებზე), „მებაღის ძაღლი" —ლოპე - დე - ვეგასი და „ვენეციელი ვაჭარი" —შექსპირის (ეს პიესა იდგმება უმთავრესად მსახიობთა ტეხნიკის გამოსამუშავებლად). გარდა ამისა, დადგმული იქნება ბაღდასარიანის „სისხლიან უდაბნოში" (პიესაში დახასიათებულია საფრანგეთის კოლონიზატორული პოლიტიკა მაროკოში).

თეატრის სამხატვრო საბჭოში წარდგენილია დასამტკიცებლად და დასადგმელად შემდეგი პიესები: ა. დიმოვსკის და ლვოვის „1918 წ."; ე. ტერ - არაქელიანის „ფოთლები ცვივა" და ტე-გესი „ოქტომბრის ეხო".

სამხატვრო საბჭოს მიერ მიღებულია და დასადგმელად მზადდება პანკუსის მუსიკალური კომედია „ვაჭრის ქალიშვილი". გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს სათანადო პიესის შესარჩევად და დასადგმელად ოქტომბრის დღესასწაულების დროს.

სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს მბეჭდავთა კავშირი მართავს დიდ საღამოს.

◆ **სტოლერმანის გამოსათხოვარი კონცერტი.** კვირას მედსანშრომის კლუბში რუსეთში გამგზავრების წინ გაიმართება სტოლერმანის გამოსათხოვარი საღამო.

◆ **დიდი სეირნობა** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

◆ **ს. ტრეტიაკოვი** დღეს ხელოვნების სასახლეში წაიკითხავს მოხსენებას. „მემარცხენე ფრონტის მტრები და მოკავშირეები".

◆ **ოპერის სეზონი** გაიხსნება 15 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერით"

◆ **წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში** დღეს გაიმართება ოპერა წითელარმიელებისათვის.

◆ **მედსანშრომის კლუბში** დღეს გაიმართება სიმფონიურ ორკესტრის საღამო.

რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია ჩინეთში

(ამხ. ლოზოვსკის მოხსენებიდან)

ი-ე-ტინის და ხო-ლუნის აჯანყება

მას შემდეგ, რაც უხანი გადავიდა კონტრ-რევოლიუციის მხარეზე, მთელი ჩინეთი კონტრრევოლიუციის ხელში მოექცა. ჩრდილოეთში, შანხაიში, ნანკინში, კანტონში, უხანში, ყველგან ძირითადი ლოზუნგი იყო—დასცხეთ კომუნისტებს, დასცხეთ მუშურ-გლეხურ მოძრაობას. და აი, მიუხედავად იმისა, რომ მთელ ჩინეთში გაბატონებულია კონტრ-რევოლიუცია, ყველგან სწარმოებს კომუნისტების და მუშურ-გლეხური მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა ჟლეტა, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ გვაქვს აჯანყება ნანჩანში, სადაც უკანასკნელი ხნის განმავლობაში მთელი პროვინციის სათავეში იდგა ცნობილი გენერალი, რომელმაც საკითხი კომუნისტების შესახებ გადასწყვიტა იმგვარად, რომ გადაასახლა ისინი და გზის ფული მისცა. სწორედ ამ პროვინციაში მოხდა აჯანყება დივიზიის გენერალ ი-ე-ტინის ხელმძღვანელობით. ეს გენერალი კომუნისტური პარტიის წევრია, ხოლო მეორე გენერალ ხო-ლუნს, გაზეთების ცნობებით, ჰყავს 16-დან 18 ათასამდე შეიარაღებული ჯარისკაცი; ამასთანავე ნანჩანში აჯანყებულ ჯარებს მიზნად არ ჰქონდათ იქ დარჩენა, ისინი ნანკინის გზით მიდიან კანტონისაკენ. უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის ჯარები, რომელნიც შეუერთდენ ფინ-იუი-სიანს ჩანზოუში, გამოსული იყვნენ კანტონიდან და სცდილობდენ უკან დაბრუნებას. და აი, სწორედ ამ სამხედრო ნაწილებს შორის კომუნისტმა ი-ე-ტინმა კომუნისტური პარტიის დახმარებით მოახდინა აჯანყება, ხელთ იგდო ნანჩანი და ეხლა, სამხრეთისაკენ მიიწევს. ნანჩანსა და კანტონს შორის 1000 ვერსის მანძილია.

ამ გზით სიარული ძალიან ძნელია, რკინის გზა არ არის, ზღვით მოგზაურობაც არ შეიძლება; სიარული შეიძლება მხოლოდ ფეხით. ამასთანავე, როდესაც ჩინეთში არმია მიდის, ამ არმიას უკან მისდევს კულების (შავი მუშების) ასეთივე არმია, რომელსაც ზურგით მიაქვს ამუნიცია, სურსათი და სხ. თვით ზარბაზნებიც კი.

რაშია აჯანყებულთა ძალა? აჯანყებულთა ძალა იმაშია, რომ მათი ჯარების რიცხვი გუანდუნის პროვინციასთან მიახლოვების მიხედვით იზრდება გლეხთა შეიარაღებული რაზმებით და აჯანყებული გლეხებით. ჩინეთის ეხლანდელი მდგომარეობის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ იმ პროვინციებში, სადაც ამჟამად გაბატონებულია თეთრი ტერორი, არსებობენ არა მარტო საიდუმლო ორგანიზაციები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ხელმძღვანელობა მუშურ-გლეხურ მოძრაობაზე, არამედ არიან დარაზმული შეიარაღებული გლეხთა რაზმებიც, რომელნიც ყოველ მომენტში მზად არიან მიემხრონ დაწყებულ მოძრაობას. აჯანყება დაიწყო სამოქალაქო ომის გამწვავებისა და მუშათა და გლეხთა ფართო მასების თანაგრძნობის პირობებში. ასეთ პირობებში ი-ე-ტინის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; ეს გამოსვლა შორდება გენერლების ჩვეულებრივ სამხედრო აჯანყების ფარგლებს, რომლითაც ასე მდიდარია ჩინეთის ისტორია უკანასკნელ წლებში. ეს ჯარები, რომლებიც კანტონისაკენ მიიმართებიან, გზაში იზრდებიან და მტკიცდებიან, წინედ რევოლიუცია მიდიოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და მიაღწია უხანამდე და ნანკინამდე; ეხლა, როცა ეს ცენტრები დაიკავა კონტრ-რევოლიუციამ, რევოლიუცია უკან, სამხრეთისაკენ მიდის.

რას მოწმობს კონტრ-რევოლიუციონური ფრონტის ეს ახალი გარღვევა? იგი, უპირველეს ყოვლისა, მოწმობს იმას, რომ ყველა კონტრ-რევოლიუციონური გამარჯვებანი მოკლებულია სიმტკიცეს. ეს გარღვევა მოწმობს იმას, რომ გამარჯვებულ კონტრ-რევოლიუციონერებს არ შეუძლიათ არა მარტო ეროვნული რევოლიუციის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა, არამედ არ შეუძლიათ გამარჯვების შენარჩუნებაც კი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ვადით. კანტონის, უხანის და ნანკინის ჯარების მისწრაფება, რომ ალყა შემოარტყან ი-ე-ტინს და ხო-ლუნს, და შეერთებული ძალებით გაანადგურონ ისინი, მოწმობს იმას, რომ აჯანყებას საშიში ხასიათი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ეხლა გვაქვს ძალთა ახალი გადაჯგუფება, რომ ჩვენი ძალები ჩინეთში სრულიადაც არ არის განადგურებული, მიუხედავად მეტად სერიოზული დამარცხებისა.

შეიძლება თუ არა ამ აჯანყების გამარჯვება? მიაღწევენ თუ არა ი-ე-ტინი და ხო-ლუნი კანტონამდე, შესძლებენ თუ არა კანტონის დიქტატურის დამხობას და კანტონის კვლავ გადაქცევას ჩინეთის რევოლიუციის ცენტრად, მაგრამ სულ სხვა ტიპის ცენტრად, იმიტომ, რომ ამ გამოსვლას სხვა სოციალური ხასიათი და სულ სხვა სოციალურ-პოლიტიკური აზრი აქვს, ვიდრე ჰქონდა წინანდელ გამოსვლებს. თუ წინედ ჩან-კაი-შის ღალატამდე ჩრდილოეთის ლაშქრობა ნიშნავდა ფართო ეროვნულ ფრონტს, თუ წინედ განხეთქილება უხანსა და ნანკინს შორის ნიშნავდა განხეთქილებას ბურჟუაზიის შორის, ეხლა ჩვენს წინაშე არის გაერთიანებული ბურჟუაზია, ხოლო ეს აჯანყება უკვე არის მუშურ-გლეხური ტიპის აჯანყება, აქ წარმოშობილი არმია თავისი ტიპით უკვე უახლოვდება ჩვენს წითელ არმიას, იმ თავისი მიზნებით, ამოცანებით და მეთოდებით, რომლითაც ეს არმია ანხორციელებს და ცხოვრებაში ატარებს მშრომელთა ფართე მასების სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნილებებს.

მიაღწევს თუ არა ეს არმია კანტონამდე—ძნელია ამის თქმა. ძალიან ძნელია წინასწარმეტყველება, განსაკუთრებით ჩინეთის შესახებ. უნდა ითქვას, რომ შანსები არის და ეს შანსები მნიშვნელოვანია. რატომ? იმიტომ, რომ მთავრობა კანტონში არ არის მტკიცე, სამხედრო დიქტატურით შებოჭილი მუშათა მოძრაობა არ ჰყვეს ამ დიქტატურას,—ეს აშკარავდება მთელ რიგ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. მიუხედავად სასტიკი ტერორისა და მასიური ხოცვა-ჟლეტისა კანტონში ეხლა მეტად მძიმე მდგომარეობაა. მეორეს მხრით, გუანდუნის პროვინციაში დიდიხანია გრძელდება გლეხთა აჯანყება. იქ არის შეიარაღებული რაზმები, რომელნიც იბრძვიან ლი-ტი-სინის და მემამულეების წინააღმდეგ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობა კანტონსა და ნანკინს შორის და ჩან-ძო-ლინის არმიის აქტიობა ნანკინის წინააღმდეგ ხელს შეუშლის ნანკინის და უხანის ჯარებს—დაუყოვნებლივ გამოდიდეს აჯანყებულთა წინააღმდეგ. ასეთ პირობებში შესაძლოა ამ ჯარებმა მიაღწიონ კანტონამდე.

„საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის კომიტეტის" მოწოდება

პარიზი, 16 სექტემბ. „საფრანგეთ - რუსეთის ურთიერთობის დაცვის კომიტეტმა", გამოაქვეყნა მოწოდება რეაქციონური პრესის მიერ წარმოებულ ანტისაბჭოთა კამპანიის შესახებ. მოწოდება ხელმოწერილია ადამიანის უფლებათა ლიგის თავმჯდომარის ბაშის და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეების მიერ. მოწოდებაში ნათქვამია:

„პრესის ნაწილმა, ისარგებლა იმ გარემოებით, რომ პარლამენტი დათხოვნილია და გააჩაღა ისეთი კამპანია, რომელმაც მოიმიზეზა უკვე ბრიანის მიერ მოწესრიგებული ინციდენტი და ცდილობს გამოიწვიოს საფრანგეთ - რუსეთის ურთიერთობის ჩაშლა. 1918 წლის გამოცდილება (მოწოდებას მხედველობაში აქვს საფრანგეთის ინტერვენცია), როდესაც მთავრობა არღვევდა კონსტიტუციის პარლამენტის უფლებებს, უკარნახებს საფრანგეთს, რომ ის ფხიზლად იყოს და არ დაუშვას ძველი შეცდომის განმეორება. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის ელჩის გაწვევა იქნება ურთიერთობის სრული შეწყვეტის წინასიტყვაობა და გამოიწვევს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას. კომიტეტი ამიტომ მოუწოდებს მშვიდობიანობის ყველა მომხრეთ, მიუხედავათ მათი პარტიული რწმენისა, დახმარება გაუწიონ კომიტეტს მისი მიზნების მიღწევაში. კომიტეტის მიზან-კი შეადგენს ბრძოლა იმ ინტრიგასთან, რომელიც საზიანოა თვით საფრანგეთის ინტერესებისათვის" (ადს).

სიტი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის მომხრეა

მოსკოვი, 16 სექტემბ. ლონდონიდან ჩამოვიდა მოსკოვში „ცენტროსოიუზ ინგლანდ ლიმიტედ"-ის დირექტორი უაიზი. საბჭ. კავშ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა შემდეგი: „ჩემი მოსკოვში ჩამოსვლა არის ჩვეულებრივი საქმიანი მოგზაურობა სავაჭრო მოლაპარაკებისათვის ცენტროკავშირის გამგეობასთან, საკავშირო კოოპერატიულ ბანკთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ვაწარმოებთ ვაჭრობას ლონდონში". კითხვაზე, თუ როგორია განწყობილება ინგლისის სავაჭრო წრეებში, უაიზმა უპასუხა შემდეგი: „სიტის სამრეწველო და საბანკო წრეებს აქვთ დიდი სურვილი განაგრძონ ვაჭრობა და ეს წრეები სრულიადაც არ იყვნენ კმაყოფილი ურთიერთობის ჩაშლით. ინგლისის საქმიანი წრეები გრძნობენ, რომ როგორიც არ უნდა იყვეს ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური დამოკიდებულება, ვაჭრობას რუსეთთან ყოველთვის მოჰქონდა სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის. ეს წრეები უეჭველია მიესალმებიან იმ სიძნელეთა მოსპობას, რომელიც აბრკოლებს ვაჭრობას რუსეთთან. (ადს).

ღამის ცნობები

კონფლიქტი სეიმსა და მთავრობის შორის

ვარშავა, 16 სექტემბ. იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს პოლონეთში სეიმსა და მთავრობას შორის, ვიცე - პრემიერმა ბარტელმა თათბირი გამართა სეიმის თავმჯდომარესთან ტრომპჩინსკისთან. თათბირის შემდეგ ბარტელმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „სკეპტიკურად უყურებს მომავალს". მთავრობის საბოლოო პოზიცია გამორკვეული იქნება პილსუდსკის მიერ, რომელიც ამჟამად შვებულებაშია დრუსენიკში. დრუსენიკში გაემგზავრეს ბარტელი და კნოლი (კნოლი გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის მოადგილეა) (ადს).

ნანკინის არმიის წინსვლა

შანხაი, 16 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტოს გო-მინის ცნობით ნანკინის მე 18 ე არმიამ მიაღწია ხიჩჟოუს, რომელიც წარმოადგენს სუნ ჩუან ფანის უკანასკნელ დასაყრდენ პუნქტს ცზიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში (ადს).

იაპონელები ეხმარებიან შანდუნელებს

შანხაი, 16 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის ციანსუს პროვინციის გარეშე საქმეთა რწმუნებულმა გაუგზავნა იაპონიის კონსულს შანხაიში ნოტა, სადაც ის აღნიშნავს, რომ ნანკინის მთავრობის მიერ ცინდაოდან მიღებულ ცნობების თანახმად, იაპონიის ხელისუფლება ცინდაოში დახმარებას უწევს შანდუნის ჯარებს. რწმუნებული აფრთხილებს იაპონიის კონსულს, რომ იაპონიის მთავრობის ასეთ მტრულ აქტებს ნანკინის მთავრობის მიმართ, შეიძლება მოყვეს საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და სერიოზული შედეგები. ნოტა მოითხოვს იაპონიის ყველა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ჩინეთიდან (ადს).

დაპატიმრება შანხაიში

შანხაი, 16 სექტემბერი. შანხაის პოლიციამ თავდასხმა მოახდინა მეჩექმეთა პროფკავშირზე და დააპატიმრა პროფკავშირის ორი თანამშრომელი და სამი მუშა (ადს).

ბრძანების შეუსრულებლობისათვის

შანხაი, 16 სექტემბერი. დაპატიმრებულია ნანკინის არმიის ანხუის პროვინციაში დაბანაკებულ კორპუსის სარდალი. კორპუსში ითვლება 20.000 კაცი. სარდლის დაპატიმრების მიზეზი არ იციან. ხმებია, რომ დაპატიმრებულს ბრალს სდებენ იმაში, რომ მან ნანკინის არმიის სუნ-ჩუან ფანის არმიასთან ბრძოლის დროს, უარი სთქვა ჩრდილოელთა წინააღმდეგ გალაშქრებაზე.

გაფიცვა იაპონიის წარმოებებზე შანხაიში

შანხაი, 16 სექტემბერი. გაფიცვები იაპონიის საფეიქრო ფაბრიკებზე და სტამბებში შანხაიში გრძელდება. პოლიცია აცხადებს, რომ მან კვლავ აღმოაჩინა კომუნისტური ფურცლები, რომლებსაც ავრცელებენ შანხაიში იაპონიის ფაბრიკებზე მომუშავე მუშებს შორის. (ადს).

მხოლოდ „ფიგარო"

პარიზი, 16 სექტემბერი. მემარჯვენე გაზეთებიდან მხოლოდ „ფიგარო" განაგრძობს ანტისაბჭოთა კამპანიას. მემარცხენე პრესა უფრო და უფრო ანვითარებს კამპანიას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის და რაკოვსკის პარიზიდან გაწვევის წინააღმდეგ.

მფრინავი სკალა ჩიტაში

ჩიტა, 16 სექტემბ. ჩეხო - სლოვაკიის მფრინავი სკალა გაფრინდა 16 სექტემბერს საღამოთი. სკალა ჩიტადან გაფრენას ფიქრობს 18 სექტემბერს (ადს).

ნორვეგიის დელეგაციის მიმართვა

ლენინგრადი, 16 სექტემბ. ნორვეგიის მუშათა დელეგაციამ საკავშირო პროფსაბჭოსა და საგუბერნიო პროფსაბჭოს სახელზე დასტოვა მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლება ბურჟუაზიასა და კონტრ-რევოლიუციონერებისათვის დაუშვებელია. ჩვენ კარგად გვესმის აგრეთვე ის ღონისძიება რომელთაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება იმ პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ საბჭოთა სისტემის მოსპობას. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ 20 კონტრრევოლიუციონერის სიკვდილით დასჯა აუცილებელი იყო შემდგომი ტერორისტული აქტების ასაკვეთად. რამდენიმე ათასი მუშის სიცოცხლე გადარჩა ამ გზით მოსალოდნელი მკვლელობებიდან კონტრ - რევოლიუციონერების მხრით" (ადს).

მეორე ვარსკვლავოსანი გადაფრენა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე ჩამოფრინდენ თვითმფრინავები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა მეორე ვარსკვლავოსან გადაფრენაში. აეროდრომზე შეიკრიბნენ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების, პრესის და სამხ.-საზღვ. ძალების წარმომადგენლები.

უნშლიხტი, ს. ს. რ. კ. სამხ. რევ. საბჭოს წევრი; **ამხ. ბარანოვი**, შტაბის უფრ. მოადგილე; **ამხ. პუგაჩოვი**, თავდაცვა-ავიაქიმის გენერალური მდივანი **ამხ. ალექსინსკი** და რ. ს. ფ. ს. თავდაცვა-ავიაქიმის მდივანი **ამხ. ვარზარი**. თვითმფრინავების დათვალიერების შემდეგ **ამხ. უნშლიხტი** მიესალმა სამხ. რევ. საბჭოს სახელით გადაფრენის მონაწილეებს და უსურვა მათ შემდეგში წარმატება საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლენინის სიტყვების ახალი ტექსტები

ლენინგრადი, 16 სექტემბერი. პარტიის საგუბერნიო კომიტეტმა აღმოაჩინა ვ. ი. ლენინის ახალი სიტყვები, რომლებიც არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული. ეს სიტყვები ვლ. ილიჩმა წარმოსთქვა 1917 წლის 28 ოქტომბერს (ძველი სტილით) პეტროგრადის გარნიზონის ჯგუფების დელეგატთა თათბირზე (ადს).

გერმანიის ჰაეროპლანი მოსკოვში

მოსკოვი, 16 სექტემბ. 14 სექტემბერს ბერლინიდან მოსკოვში მოფრინდა გერმანიის დიდი სანიტარული ჰაეროპლანი, რომელსაც ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინები მიაქვს თეირანში. ჰაეროპლანი 16 სექტემბერს მოსკოვიდან გაფრინდა თეირანში (ადს).

მიწისძვრები უკრაინაში და ყირიმში

მიწისძვრის მსხვერპლნი ყირიმში

სიმფეროპოლი, 16 სექტემბ. მიწისძვრის დროს მოკლულთა შორის გამოიცნეს ოზჩის ნიკოვა, ლენინგრადის პარტორგანიზაციის წევრი. მძიმედ დაიჭრენ და სერიოზულად დაშავდენ: ნატალია შალიგინა ორენბურგის გუბერნიის სოფელ რეპინციდან, ალექსანდრა იაკუბოვიჩ, 37 წლისა, დონის-როსტოვიდან, ვოლგა - დონის მშენებლობის თანამშრომელი, გრიგოლ კარატაევი — 28 წლისა, წითელარმიელი ბობრინსკიდან, ვასილი ოლენ—34 წლისა, ივანოვო - ვოზნესენსკის გუბერნიის ლუჩკინის შაქრის ქარხნის ძალოვან დანადგართა გამგე, იაკოვ სავენკო — 36 წლისა, ნაუმ გორემიკინი — 24 წლისა, ბრიანსკის გუბერნიის სოფელ გრაჩევოდან და სხვები (ადს).

მსუბუქი ბიძგები

სიმფეროპოლი, 16 სექტემბ. სიმფეროპოლში, სევასტოპოლში და ბალაკლავაში ღამით 15 სექტემბერს შემჩნეული იყო მსუბუქი ბიძგები, რომელთაც ნგრევა არ მოჰყოლია. მოსახლეობა თანდათან მშვიდდება. მოაგარაკენი სტოვებენ კურორტებს. ყირიმის მთავრობის დაწესებულებები აწარმოებენ ფართო მუშაობას დაზარალებულ რაიონებისათვის დახმარების აღმოსაჩენად (ადს).

მგზავრების გადმოყვანა სევასტოპოლიდან და სიმფეროპოლიდან

მოსკოვი, 16 სექტემბ. გზათა სახ. კომისარიატის ცნობებით, სევასტოპოლიდან და სიმფეროპოლიდან მატარებლებით გადმოყვანილ იქნა 2-ნახევ. ათასი კაცი. 14 სექტემბრიდან კი მგზავრების გადაყვანა გაძლიერებული იქნა; ამ დღიდან დანიშნული იყო ორი დამატებითი მატარებელი (ადს).

ახალი ბიძგები

სევასტოპოლი, 16 სექტემბერი. დღეს, დილის ათ საათსა და 25 წუთზე ადგილი ჰქონდა ბიძგს, რომლის ძალა უდრიდა 4 ბალს. ბევრი სახლებიდან მოსახლეობა გამოცვივდა ქუჩებში, ბიძგს მოჰყვა ნიადაგის მსუბუქი ტალღისებური რყევა. (ადს).

სიმფეროპოლი, 16 სექტემბერი. 16 სექტემბრის წინა ღამეს მთელ ყირიმში ადგილი ჰქონდა ნიადაგის მსუბუქ რყევას.

16 სექტემბერს დილის ათ საათსა და 45 წუთზე სიმფეროპოლში განმეორდა მიწისძვრა ბიძგი, რომლის ძალა უდრიდა 3—4 ბალს და გაგრძელდა 3 წამი. ბიძგმა გამოიწვია უმნიშვნელო ზარალი, კერძოდ ყირიმის ცენტრალურ წიგნთსაცავის ერთ-ერთ ოთახში ჩამოინგრა ჭერი, დაზიანდა სტამბის და კინო თეატრის შენობები (ადს).

„ცეცხლის სვეტები"

სიმფეროპოლი, 16 სექტემბერი. ლუკულის კონცხთან შემჩნეულ „ცეცხლის სვეტების" შესახებ შეგროვილ მასალიდან შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ ნაპირიდან 30 მილის დაშორებით ზღვის ფსკერზე მიწისძვრის გამო ჩავარდა ნიადაგი, ან გაკეთდა ნაპრალი. ნახშირწყალბადის ამოვარდნილი გაზებს ჰაერთან შეერთების გამო გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მოსჩანდა ნაპირიდან (ადს).

ნაპრალი ზღვის ფსკერზე

სევასტოპოლი, 16 სექტემბერი. სამეცნიერო აკადემიის გეოლოგიურ სადგურის გემი „კოვალევსკი" გავიდა ზღვაში ლუკულის კონცხთან ზღვის ფსკერის გამოსაკვლევად, სადაც შემჩნეული იყო გაზების ამოხეთქვა. გემი მოხვდა ძლიერ ქარიშხალში, რომელმაც ის გამოაგდო ნაპირზე.

საზღვაო ობსერვატორიამ შესძლო იმის გამორკვევა, რომ ლუკულის კონცხთან ზღვის ფსკერზე წარმოიშვა დიდი ნაპრალი. (ადს).

გადაფრენა მოსკოვი—ტოკიო

ამხ. შესტაკოვი ჩიტაში

ჩიტა, 16 სექტემბ. ბლაგოვეშჩენსკიდან დილის 6 საათზე გამოფრენილი მფრინავი შესტაკოვი ჩიტაში დაეშვა 14 საათსა და 30 წუთზე (ადს).

შესტაკოვი თავის გადაფრენის შესახებ

ბლაგოვეშჩენსკი, 16 სექტემბ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, მფრინავმა შესტაკოვმა და მექანიკოს ფუფაევმა შემდეგი განაცხადეს მოსკოვ - ტოკიოს შორის შესახებ:

გადაფრენამ გვიჩვენა საბჭოთა მოტორების მშენებლობის დიდი წარმატება. მოტორი მთელი ხნის განმავლობაში კარგად მუშაობდა. იაპონიაში ჩასვლისას მფრინავებს არ გაუსინჯავთ მოტორი. მიუხედავათ არა ხელსაყრელი ამინდისა (ნისლი, წვიმა და ქარიშხალი) მფრინავები იმავე მოტორით დაბრუნდენ უკან. ამ გარემოებამ დიდად გააოცა და აღტაცებაში მოიყვანა იაპონელი მფრინავები.

ჩეხი სამხედრო მფრინავი სკალა შეაჩერა ცუდმა ამინდმა; იაპონიიდან გადაფრენა მან გადადო და განაცხადა, რომ ჩვენს ჰაეროპლანს ის გზაში დაეწევა.

ხანდახან მოტორი იძლეოდა 275 ვერსის სისწრაფეს საათში (ადს).

უცხოელ მუშების ჩამოსვლა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა გერმანელ და ავსტრიელ მუშათა მესამე ჯგუფი, რომელნიც საკურორტოთ მიემგზავრება კავკასიის მინერალურ წყლებზე. სულ ჩამოვიდა 39 კაცი. მათ შორის 12 ქალია. ჩამოსულთა შორის არის 18 მუშა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ივლისის აჯანყებაში ვენაში და დაჭრილ იქნენ პოლიციასთან შეტაკების დროს. რევოლიუციონური მუშების შესახვედრად შეგროვდენ რემედასის, კურორტთა მთავარ სამმართველოს წარმომადგენელნი და 1000 მუშა ორკესტრით, დროშებით და პლაკატებით (ადს).

ცაკის წევრები ყირიმში

მოსკოვი, 16 სექტემბერი. რუსეთის ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭომ ყირიმში გაგზავნა მცირე სახ. კომ.საბჭოს წევრი ამხ. ობოლენსკი და რუს. ცაკის წევრი ამხ. ბალაშევი, რომლებმაც ადგილობრივ უნდა გამოარკვიონ მიწისძვრით გამოწვეული ზარალი და მიიღონ სასწრაფო ზომები. რუს. ს. ფ. ს. რ. მთავრობის წარმომადგენელნი დღეს გაემგზავრენ სიმფეროპოლში (ადს).

სომხეთის ცაკის მეორე სესია

ერევანი, 16 სექტემბერი. გუშინ საღამოს გაიხსნა სომხეთის ცაკის მე-5-ე მოწვევის მეორე სესია, რომელზედაც საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კარინიანი.

მომხსენებელი შეეხო ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნის საქმეში და შეჩერდა კონტრ-რევოლიუციონური პარტიების, განსაკუთრებით დაშნაკელების როლის დახასიათებაზე.

ეხლა—სთქვა კარინიანმა—დაშნაკელები ბრმა იარაღი არიან ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელში და განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ პოლიტიკურ კაპიტალის დასაგროვებლად. ისინი ცდილობენ შექმნან ნაციონალური კომიტეტი და მით ხელი შეუწყონ თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური იდეების გავრცელებას უცხოეთში, ავრცელებენ ჭორებს ეჩმიაძინის საკათალიკოსოს დაშლის შესახებ და სხ. ის ფაქტი, რომ ეჩმიაძინის უზენაესმა სასულიერო საბჭომ არ უარყო ეს ხმები, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ დაშნაკელებსა და ეჩმიაძინის შორის კონტაქტია დადებული. სომხეთის ხალხმა ბოლო უნდა მოუღოს საკათალიკოსოს ამგვარ საქციელს სომხეთში.

ამხ. კარინიანმა შეეხო რა დაშნაკელების რეაქციონურ გამოსვლას ოსმალეთის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ საბჭოთა სომხეთის მშრომელი მასა თვისამებს იმპერიალისტების წინააღმდეგ მებრძოლ ახალ ოსმალეთის სამეურნეო და კულტურულ ზრდას.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე მეორე პოლიტიკურ პარტიის—რამკავარების მთელ რიგ საკითხებზე და გამოსთქვა რწმენა, რომ სომხეთის მშრომელი მასები ღირსეულ პასუხს გასცემს დაშნაკელების მორიგ პროვოკაციას.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო სახალხო ხუროთმოძღვარმა აკადემიკოსმა **თამანიანმა**; მან განაცხადა, რომ **ინტელიგენცია მზადაა მჭიდრო კავშირი შექმნას მთავრობასთან და სომხეთის მშრომელ მასებთან სოციალისტურ მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. (ადს).**

პარტიული ცხოვრება

პარტუჯრედთა ამოცანები სადელეგატო კრებების მუშაობაში

ვინაიდან სადელეგატო კრებები წარსული წლის განმავლობაში დამოკიდებული იყვნენ რაიკომებთან, მათი მუშაობის ხელმძღვანელობა უჯრედების მხრივ გაძნელებული იყო.

ის გარემოება, რომ აუცილებელია პარტხელმძღვანელობის გაძლიერება ქალთა შორის მუშაობაზე (და კერძოდ სადელეგატო კრებების მუშაობაზე) აღნიშნულ იქნა პარტიის საოლქო კომიტეტის მიერაც მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებათა გამგეების თათბირის მუშაობის შემდეგ. უჯრედებმა თავისი დამოკიდებულება სადელეგატო კრებებისადმი აუცილებლად უნდა გადასინჯონ ეხლავე, როცა დაიწყება 1926-27 წლის მოწვევის სადელეგატო კრებების გაშვებისა და 1927—28 წლის გადარჩევის კამპანია. ეს კამპანია ხვდება მეორე, მეტად მნიშვნელოვან პარტ. კამპანიას—უჯრედების ბიუროების გადარჩევას. ამან სრულიად არ უნდა შეგვიშალოს ხელი.

უპირველეს ყოვლისა, გამოსაშვებ დელეგატქალთა შესახებ:

უჯრედების ბიუროებს უნდა ჰქონდეთ: ა) მათი აღრიცხვა; ბ) დასახული უნდა ჰქონდეთ შემდგომი მუშაობა მათთან, სასწავლად გაგზავნა, კურსები, კომისიები, წრეები პრაქტიკული განზრახვით და სხ.); გ) უნდა ჩააბან ისინი აქტიურ მუშაობაში ქალთა შორის და სხვა; დ) დააწინაურონ სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში (საბჭოს წევრებად კოოპერატივის გამგეობის, კავშირის გამგეობის, ნებაყოფლობით საზოგადოებათა უჯრედების, ბიუროების წევრებად) და უნდა დაეხმარონ მათ ამ თანამდებობაზე გამაგრებაში.

დელეგატ-ქალთა გადარჩევის ჩატარების დროს უჯრედებმა მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ.

უპირველეს ყოვლისა, დელეგატ-ქალთა გადარჩევა არის არა მხოლოდ ორგანიზატორის, ან ქალთა შორის მომუშავე კომისიის, არამედ მთელი ბიუროსი და მთელი უჯრედის საქმე მთლიანად. ვინაიდან ეს საერთო პარტიული კამპანიაა. უჯრედის ბიურო არ უნდა დაკმაყოფილდეს საკითხის დასმით უჯრედის ბიუროში, საუჯრედო აქტივის კრებაზე, მან გადარჩევაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინოს ფაბქარხკომის ფრაქციას, და მისი საშუალებით პროფაქტივს, ყველა მუშებსა და მოსამსახურეებს. მათ [illegible], შეეცადონ ყოველგვარი ზომებით, რომ მთელმა წარმოებამ და დაწესებულებამ შეგნებული და ფართო მონაწილეობა მიიღონ დელეგატ-ქალთა არჩევნებში. მაგრამ უჯრედის მონაწილეობა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ამით.

უჯრედის ბიურომ სადელეგატო კრების მუშაობის პროცესში ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი ამა თუ იმ წარმოების ან დაწესებულების დელეგატ-ქალთა მუშაობას (სხდომებზე დასწრებას, მათი მიმაგრების მიზანშეწონილებას პრაქტიკული მუშაობისათვის, მათ კავშირს მასებთან და სხ.) და დაეხმაროს მათ ამ საქმეში. თუ სადელეგატო კრება იმყოფება თვით წარმოების უჯრედთან (მიმდინარე წელში თბილისში თამბაქოს ქარხნების უჯრედებთან იქნება რამოდენიმე ცალკე პუნქტი). მაშინ სადელეგატო კრებების მუშაობის ხელმძღვანელობა მთლიანად შეადგენს, რასაკვირველია, უჯრედის საქმეს.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენი უჯრედები ყოველგვარი საშუალებით უნდა შეეცადონ, რომ სადელეგატო კრებისაგან შექმნან, პირველი, პრაქტიკული სკოლა, რომელიც მშრომელ ქალს შეაჩვევს საზოგადოებრივ მუშაობას და მეორე, საზოგადოებრივი ერთეული, რომელიც თავის ირგვლივ დარაზმავს მშრომელ ქალთა მასებს და დაეხმარება პარტიას გაარღმავოს მუშაობა უპარტიო მასებს შორის.

ჩვენმა უჯრედებმა იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომელნიც დგანან მის წინაშე საზოგადოდ ქალთა შორის მუშაობის, და კერძოდ სადელეგატო კრებების მუშაობის დარგში, უნდა გააძლიერონ მთელი პარტხელმძღვანელობა და მკაცრი ყურადღება უნდა მიაქციონ საუჯრედო ქალთა ორგანიზაციების გამოყოფას. უჯრედების ბიუროს გადარჩევის დროს ქალთა ორგანიზატორების უჯრედის სახით უნდა იქნან გამოყოფილი ისეთი ამხანაგები, რომელნიც პარტიულად საკმაოდ გამობრძმედილნი არიან. იმ მიზნით, რომ ქალთა ორგანიზატორი გაეცნოს იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომელნიც პარტიის წინაშე დგანან მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის დარგში. თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ და მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ მიმდინარე წელში (შარშან ეს ვერ მოხერხდა). უჯრედის ბიუროს გადარჩევისთანავე ორგანიზატორ ქალთათვის უნდა მოაწყონ მოკლევადიანი (4—6 კვირიული) სემინარები.

დაბოლოს, ძალიან მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ დელეგატ-ქალთა გადარჩევის დამთავრების შემდეგ უჯრედებმა ადგილობრივ ჯამი გაუკეთონ თავის მონაწილეობას გადარჩევაში და რაიკომის ერთ-ერთ უახლოეს პლენუმზე მოისმინონ ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა გადარჩევა რაიონში, და როგორი ამოცანები სდგას ახლად არჩეულ სადელეგატო კრებების წინაშე მომავალი მუშაობის დროს.

ხ. შავერდოვა.

წარმომადგენლობის საკითხი ბიუროების არჩევნებში

უჯრედთა ბიუროების მიმდინარე არჩევნების დროს, როგორც, ეს წინათაც ხდებოდა, ამომრჩევლების წინაშე ხშირად ისმება საკითხი, რომელიც ერთგვარი არევ-დარევა და გაუგებრობა შეაქვს საარჩევნო კრებაში.

ეს არა საკითხი იმის შესახებ, სავალდებულოა თუ არა, რომ ბიუროში დაცულ იქნას წარმომადგენლობის ერთგვარი შეფარდება. მაგალითად ყველაზე ხშირად ბიუროს ახალ შემადგენლობას საფუძვლად უდებენ სამ პრინციპს. უნდა შეყვანილ იქნას ბიუროში უჯრედის მიერ გაერთიანებულ წარმოების ყველა განყოფილებათა წარმომადგენლები; უნდა დაცულ იქნას ბიუროში ეროვნული წარმომადგენლობა და უნდა დაეთმოს ადგილი პროფკავშირის, ქალთა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

ყველა ეს პრინციპები არსებითად მისაღები და მიზანშეწონილია ახალ ბიუროს არჩევის დროს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამ პირობების განხორციელება მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა. სამი პრინციპით გატაცებული ამხანაგები ზოგჯერ ბიუროს კანდიდატებათ ასახელებენ უჯრედის ისეთ წევრებს, რომელთაც ან დროის უქონლობის, ან პოლიტიკურ მოუმზადებლობის, ან სხვა რაიმე მიზეზების გამო არ შეუძლიანთ ნაყოფიერი მუშაობა აწარმოონ უჯრედში.

ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, სჯობს ზემოხსენებულ პრინციპების მტკიცეთ გატარების ნაცვლად, ბიუროში წამოყენებულ იქნან საქმიანი და საერთო ნდობით აღჭურვილი ამხანაგები. ზემოხსენებული პრინციპები, როგორც უკვე ვთქვით, ძალიან მიზანშეწონილ რამაა, მაგრამ, სადაც ისინი უარყოფით შედეგებს იძლევიან, საჭიროა მათი ადგილობრივ საარჩევნო პირობებთან შეფარდებით შეცვლა.

დ. ვ—ა.

გლეხი ქალი და ქვეყნის თავდაცვა

საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს ყოველგვარ ზომებს იმისათვის, რომ განავითაროს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რომელიც ძლიერ დაზიანდა მსოფლიო და სამოქალაქო ომების დროს. ჩვენ პროლეტარულ სახელმწიფოს არ სურს ომი, სცდილობს დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა და ყოველგვარ ზომებს ღებულობს იმისათვის, რომ არავის შეეძლოს მისთვის ხელისშეშლა ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფოები არ ასვენებენ ჩვენს ქვეყანას. ინგლისის ბურჟუაზია ჯაშუშებს გზავნის საბჭოთა კავშირში, აწყობს თავდასხმებს მუშების და გლეხების ბელადებზე და გვიგზავნის მუქარით აღსავსე ნოტებს იმისათვის, რომ გამოგვიწვიოს და მოგვახვიოს თავზე ომი. ინგლისი განუწყვეტლივ ემზადება ახალი ომისათვის. სხვა ბურჟუაზიული ქვეყნებიც მისდევენ ინგლისს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ როგორც ჯარის და ფლოტის გაძლიერებას, ისე ქალების სამხედრო მომზადებასაც, იმ მიზნით, რომ შეიძლებოდეს მათი გამოყენება ომის დროს. ქალების მოსამზადებლად **ეწყობა სპეციალური სამხედრო წრეები და სამხედრო - სამეურნეო და სპორტიული კურსები**, სადაც მათ ასწავლიან სროლას, სხვადასხვა სამხედრო საგნებს, ასწავლიან ჯირითობას. სამხედრო საწყობებში და სამხედრო დაწესებულებებში მუშაობას. ბურჟუაზიული ქვეყნები ამ მუშაობას აწარმოებენ იმ მიზნით, რომ ომის დროს გამოიყენონ ქალები არა მარტო საავადმყოფოებში და სამხედრო ლაზარეთებში დაჭრილების მოსავლელად, არამედ სხვა დამხმარე მუშაობისათვისაც, ყველგან სადაც კი შესაძლებელი იქნება მამაკაცების შეცვლა ქალებით.

ბურჟუაზიული ქვეყნების ასეთ მზადებას ჩვენ სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში ქალსაც, განსაკუთრებით გლეხ-ქალს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს.

რა უნდა გააკეთოს გლეხ-ქალმა ჩვენი ქვეყნის დასაცავად? თავდაპირველად ხელი უნდა შეუწყოს მეურნეობის გაძლიერებას და სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. უნდა შეიგნოს კარგად ქვეყნის თავდაცვის ამოცანები, უნდა იმუშაოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების წრეებში, სადაც ისწავლის ყველაფერს, რაც საჭიროა ზემოთაღნიშნულ მიზნების მისაღწევად. აქ ისწავლის ის თავის მეურნეობის მშენებლობას, სანიტარულ წრეში ისწავლის სამხედრო-სანიტარულ საქმეს, ქიმიურ წრეში ისწავლის, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი ქიმიურ ომის დროს. თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების წრეები გლეხ-ქალს მისცემენ იმის ცოდნას თუ რა უნდა აკეთოს ქვეყნის დასაცავად და ამიტომ დელეგატ-ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ წრეების მუშაობაში.

კ. კარტოზია.

თემკომის მდივნების თათბირი

(სენაკის მაზრა)

ფასიან თემკომის მდივნების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მოწვეულ იქნა სენაკის მაზრის თემკომების მდივნების სამაზრო თათბირი. თათბირს დაესწრენ ყველა თემკომების მდივნები და ქ. უჯრედების ბიუროების წევრები. თათბირის მონაწილენი დაესწრენ სამკომის გაფართოებული პლენუმის ივლისის სხდომას.

24 ივლისს გაიხსნა თათბირის სხდომა, პირველ გაფართოებულ სხდომაზე, ქალაქის პარტ კომკავშირის ორგანიზაციასთან ერთად მოსმენილ იქნა ამხ. ხ. მამულიას მოხსენება „მიმდინარე მომენტი და პარტიის ამოცანები".

შემდეგ კი თათბირის სხდომაზე განხილულ იქნა:

საინსტრუქციო მოხსენება თემკომების მუშაობის შესახებ, თემკომების საგიტაციო დარგში მუშაობის შესახებ, აღრიცხვა სტატისტიკის საკითხები და სხვადასხვა.

თათბირის მონაწილენი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ საკითხის განხილვაში. რამაც გამოააშკარავა მთელი რიგი ნაკლულოვანებანი რაინსტრუქტორების სისტემისა:

თათბირი ორ დღეს გაგრძელდა. ყველა საკითხები დეტალურად იქნა გარჩეული - შესწავლილი: ეს დიდათ შეუწყობს ხელს თემკომების მდივნებს თავიანთი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვაში, თემებში პარტმუშაობის გასაუმჯობესებლად, მის გასაძლიერებლად.

მ. ბარამია.

კომკავშირში

გზააბნეულთა ჩხავილი ჩვენს რიგებს ვერ შეარყევს.

(სიღნაღი)

სიღნაღის მაზრის კომკავშირმაც გამოსთქვა თავისი აზრი ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობის შესახებ, მან სხვა ორგანიზაციებთან ერთად სასტიკად გაჰკიცხა ლენინურ რიგების გამთიშველთა უპრინციპო და არაკომუნისტური მუშაობა.

ამას წინად შეიკრიბა მაზრის ალკკ. მე-3 გაფართოებული პლენუმი თემკომის მდივნების და ქალაქ. აქტივის თანდასწრებით, მან მოისმინა ამხ. ჟღენტის მოხსენება საქ. ალკკ. მე-6 პლენუმის შედეგების შესახებ. კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„პლენუმი აღშფოთებულია იმ დეზორგანიზატორულ და უპასუხისმგებლო გამოსვლებით, რომელიც ახასიათებს „მემარცხენეობის" სამოსში გახვეულ და „რევოლიუციონურ" ფრაზების უთავბოლო რახუნით და თავბრუდახვეულ თითო-ოროლა კომკავშირელს.

კომკავშირის მთლიანობას ვერ დაანგრევს ოპოზიციის უსირცხვილო ჩხავილი. ლენინური კავშირი ამის შემდეგ გაათკეცებს თავის რიგების გაბოლშევიკებისაკენ მიმართულ მუშაობას და სავსებით გარიყავს თითო ოროლა გზა-აბნეულ ოპოზიციონერებს.

პლენუმი ერთხმად იწონებს საქართველოს მეექვსე პლენუმის დადგენილებებს და მოუწოდებს სამაზკომს, პრაქტიკულად დასვას მთელ ორგანიზაცია მტკიცედ იდგა და იდგება. ორხური ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევის, მოჯამაგირეთა ეკონომიურად დაცვის და მათში კულტურულ მუშაობის წარმატების, ანტიკომუნისტურ ორგანიზაციების ჯგუფებს შორის მუშაობის შესახებ და სხვა.

სიღნაღის მაზრის ლენინურ ახალგაზრდობის ორგანიზაცია მტკიცედ იდგა და იდგომება ორგანიზაციის მთლიანობის ლენინურ პოზიციების გამაგრების სადარაჯოზე".

კომკავშირი სამეურნეო ფრონტზე

(ლეჩხუმი)

ჩვენს ორგანიზაციაში საგრძნობლად არის ფეხ-მოკიდებული შაბათობის მოწყობა, ე. ი. ქვრივ-ობლების და წითელ არმიელთა ოჯახების დახმარება.

დიდათ იზრდება საზოგადოებრივ მუშაობისადმი ინტერესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომკავშირის ორგანიზაციის მორიგ კრებებზედ ისმება სერიოზული საკითხები, რომელნიც ეხება საზოგადო მუშაობას (გზების შეკეთება ორბელის თემში) საჩვენებელ მინდვრების მოწყობა (სოფ. ჯაშლეთის უჯრედში) და სხვა.

აგრეთვე არის სურვილი ნაკურალეშის ორგანიზ. წევრებში მეურნეობის კოოპერატიულ საფუძვლებზედ მოწყობისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ლეჩხუმის პირობებში და განსაკუთრებით ნაკურალეშის გლეხობისათვის.

აგრეთვე ახალგაზრდობა დაინტერესებულია მეურნეობის კულტურულად მოწყობით. ამ მიზნით, სადაც მოსახერხებელი იყო აგრონომიული წრეების დაარსება—უკვე დაარსებულია. ასეთია ჭიხვალი, ორბელი, ოყურეში, ალპანა, ცაგერი და სხვა.

წარსულში ლეჩხუმის მაზრაში არ იყო გავრცელებული გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი" და ჟურნალ „ახალ. ბოლშევიკი". დღეს დღეობით ფართო ხასიათს ღებულობს ჟურნალ-გაზეთების ტირაჟის ზრდა ლეჩხუმის მაზრაში.

ე. ახვლედიანი.

პარტია და ოპოზიცია

I.

ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის ძირითადი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან, ერთი მხრით, გაუკეთა რა ანალიზი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, განსაზღვრა პარტიის ამოცანები ამ დარგში, და მეორე მხრით, სამეურნეო მშენებლობის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოგვცა კონკრეტიული დირექტივები პარტიის ხაზის შემდგომი გატარებისათვის ეკონომიური პოლიტიკის დარგში.

პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ახალ დიდი ამოცანებისა და სიძნელეების პერიოდში,—ჩვენი მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში და ომის საფრთხის გამწვავებულ პირობებში.

„ბუნებრივია, რომ როცა კლასიური ბრძოლის განვითარებაში ხდება გარდატეხა, როცა მწვავდება ბრძოლა და იზრდება სიძნელეები, პროლეტარიატის სხვადასხვა ფენების შეხედულებათა, ჩვეულებათა და განწყობილებათა განსხვავება აუცილებლად გამოიწვევს ერთგვარ უთანხმოებას პარტიაში, ხოლო ბურჟუაზიის გავლენა და მისი იდეოლოგია აუცილებლად გაამწვავებს ამ უთანხმოებას და მისცემს მას ბრძოლის ხასიათს პროლეტარული პარტიის შიგნით.

ასეთია შინაპარტიული წინააღმდეგობათა და უთანხმოების წყაროები".

ასე გამოააშკარავა ამხ. სტალინმა პარტიაში არსებულ უთანხმოების გამწვავების „მექანიკა" თავის მოხსენებაში კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე.

საერთაშორისო მდგომარეობისა და მეურნეობის რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდის სიძნელეებმა და წინააღმდეგობამ არ შეიძლება არ გამოიწვიონ მერყეობა წვრილი ბურჟუაზიის ცალკე ფენებში და აგრეთვე პროლეტარიატის ცალკე ჯგუფებშიაც კი, რომელსაც აძლიერებს ბურჟუაზიულ - ნეპმანური და კულაკური ელემენტების გავლენა. ამითაა გამოწვეული ოპოზიციის შეტევის გაძლიერება ლენინური პარტიისა და მისი ცეკას წინააღმდეგ.

ყველაზე უფრო აქტუალური ლოზუნგი

ეხლა, როცა ომის საფრთხე მეტად რეალური გახდა. ცხადი შეიქნა, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ დაიწყო ახალი პერიოდი საერთაშორისო დამოკიდებულებაში. ივნის-ივლისმა, ისინში მომხდარ ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ,—ამ ორმა თვემ შესაძლებლობა მოგვცა კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა, თუ რამდენად სწორია ის ამოცანა, რომელიც დასახა ცეკამ 1 ივნისის მიმართვაში: „ვემზადოთ თავდაცვისათვის ნამდვილად, ბოლშევიკურად". და მართლაც საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგი მთელს ბრძოლაში და მშენებლობაში ხდება ყველაზე უფრო აქტუალური საკავშირო კომპარტიისათვის, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისათვის. მსოფლიო პროლეტარიატის ყველა რაზმებისათვის და კომინტერნის ყველა სექციებისათვის.

რა არის ახალი საერთაშორისო მდგომარეობაში? კაპიტალიზმი განმტკიცდა ეკონომიურად. ამას მოწმობს მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდა. მისი ძირითადი კაპიტალების გადიდება, მისი დიდი მიღწევები წარმოების რაციონალიზაციისა და კონცენტრაციაში და შრომის ნაყოფიერების აწევა. მრეწველობის საწარმოო აპარატი არაა დატვირთული. სახელმწიფოების ბრძოლა ბაზრებისა და ნედლი მასალისათვის უფრო ფართო მასშტაბით განახლდა. კვლავ ჩაღდება ბრძოლა კაპიტალების მოთავსების სფეროებისათვის.

კაპიტალიზმის ეკონომიური განმტკიცების ბაზაზე სწარმოებს ბურჟუაზიის ერთგვარი პოლიტიკური განმტკიცებაც.

1914 წ. ომის გამომწვევი წინააღმდეგობანი კვლავ მწვავდება. კაპიტალიზმის იმპერიალისტური ტენდენციები ძლიერდება იმიტომ, რომ მისი ეკონომიური განმტკიცება დროის განსაზღვრულ მანძილზე „ვითარდება მსოფლიო მეურნეობის ომის შემდგომი საერთო დეზორგანიზაციის ფარგლებში და იწვევს სულ ახალ და სულ უფრო მწვავე წინააღმდეგობებს კაპიტალისტური სისტემის შიგნით".

საბჭოთა კავშირი—უდიდესი ფაქტორია საერთაშორისო ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირი—უმდიდრესი ბაზარია საქონლისათვის. ნედლი მასალის გასატანად და კაპიტალის დაბანდებლად. მაგრამ საბჭოთა კავშირი ისეთი ბაზარია, რომელიც, პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკის წყალობით (ინდუსტრიალიზაცია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია), არ ემორჩილება იმპერიალისტურ ექსპლოატაციას. მეორე მხრით საბჭ. კავშ. ისეთი ფაქტორია, რომელიც არევოლიუციონერებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს და კიდევ უფრო ამწვავებს ამ ქვეყნების შინაგან ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებს. საბჭოთა კავშირი დიდად აფერხებს იმპერიალიზმის პოლიტიკას კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში იმით, რომ თავისი არსებობით, თავისი უდიდესი პოლიტიკური გავლენით ქმნის ამ ქვეყნებში რევოლიუციონურ განწყობილებას და თავის ეკონომიურ კავშირს სხვა ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირი უპირისპირებს დაპყრობისა და ექსპლოატაციის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

თავისი ეკონომიური წინააღმდეგობათა გადაჭრის თვალსაზრისით, თავისი კლასიური მტრის—მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო რაზმის,—საბჭოთა კავშირის განადგურების თვალსაზრისით,—კაპიტალიზმი იძულებულია ემზადოს ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმისათვის; ამით მას სურს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ მწვავე წინააღმდეგობათა შენელება. მუშათა სახელმწიფოს განადგურება და მდიდარი ქვეყნის იმპერიალიზმის პოლიტიკისათვის დამორჩილება, მისი მსოფლიო მეურნეობის სისტემაში მოქცევა კაპიტალისტური კანონების საფუძველზე, შესაძლებელს გახდიდა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შეიარაღებული შეტაკებისა და ურთიერთ შორის მომქანცველი ბრძოლის ხანგრძლივად გადადებას.

ასეთივე გარემოებებითაა გამოწვეული იმპერიალიზმის პოლიტიკა ჩინეთშიაც, რომელმაც მაღლა ასწია აჯანყების დროშა მისი მჩაგვრელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ერთი მხრით კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილიზაციისა და მეორე მხრით, საბჭოთა კავშირის განმტკიცების პირობებში, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს ჩრდილავს ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობენ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ინგლისის მეთაურობით. „საბჭოთა კავშირსა და მისი კაპიტალისტურ გარემოცვის შორის წინააღმდეგობათა გამწვავება წარმოადგენს ეხლანდელი პერიოდის მთავარ ტენდენციას"

ინგლისი თამაშობს ხელმძღვანელ როლს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადებაში. ეს გამოწვეულია მისი ეკონომიური მდგომარეობის თავისებურობით. ინგლისის ექსპორტის შემცირება გრძელდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ინგლისის მრეწველობა ბევრ პოზიციებს ჰკარგავს საგარეო ბაზრებზე. ინგლისს ავიწროებენ არა მარტო ევროპის ქვეყნები და ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატები, არამედ თვით ინგლისის დომინიონებიც. ისინი თანდათანობით უფრო მეტ ეკონომიურ დამოუკიდებლობას ღებულობენ და მეტროპოლიას ართმევენ ადგილს მსოფლიო ბაზარზე. ინგლისის იმპერიალიზმი, დომინიონების ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის თანდათანობითი ზრდის გამო, იძულებულია შესცვალოს მსოფლიოზე თავისი ბატონობის მექანიზმი, თავისი ინტერესები გადაიტანოს ახალ ადგილებში და ეს ადგილები გახადოს თავისი აქტიური პოლიტიკის ობიექტად. ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკაში შესამჩნევი ხდება ის გარემოებაც, რომ გაბატონებული სამრეწველო კაპიტალის პოლიტიკა ადგილს უთმობს სამრეწველო-საფინანსო კაპიტალის იმპერიალისტურ პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელშიაც ფინანსიური კაპიტალის ინტერესები სჭარბობს. ინგლისის პოლიტიკა მეტად მნიშვნელოვან ქვეყნებში,—ჩინეთში, სპარსეთში, მცირე აზიაში,—ეჩეხება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს. კლასიური ბრძოლის განვითარებამ ინგლისში (კერძოდ, მემაღაროეთა გაფიცვა და საბჭოთა კავშირის მუშების მიერ მემაღაროეთათვის დახმარების გაწევა) და რევოლიუციონურმა მოძრაობამ კოლონიებში (ჩინეთი) ცხადი გახადა საბჭოთა კავშირის დიდი რევოლიუციონური როლი და ინგლისის იმპერიალიზმი პირისპირ დააყენა საბჭოთა კავშირთან, როგორც ძლიერ კლასიურ მტერთან.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ომის გზით გადაჭრის ცდები და ამ ქვეყნებში არსებულ კლასიურ წინააღმდეგობათა გადაჭრა და პროლეტარიატის ძალების შესუსტება ყველაზე უფრო მოსალოდნელია ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომით. სწორედ ამიტომაა, რომ მშვიდობიანობისათვის ბრძოლა, ომის საფრთხის წინააღმდეგ გამოიხატება მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგში.

ცეკას პლენუმმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის შესვლა საერთაშორისო ურთიერთობის ახალ პერიოდში, **უდიდეს კლასიურ ბრძოლების პერიოდში. პლენუმმა მთელი თავისი სიმწვავით დააყენა პარტიის წინაშე, პროლეტარიატისა და მთელი ქვეყნის წინაშე საბჭოთა კავშირის თავდაცვის ამოცანები.**

თავდაცვის ამოცანა პლენუმმა დააყენა საკავშირო კომპარტიის ყველა ამოცანების **ცენტრში**, ვინაიდან **„საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური ომის საფრთხე მიმდინარე პერიოდის ყველაზე უფრო მწვავე პრობლემაა".**

ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმის დირექტივებში ნათქვამია: მთელმა პარტიამ, მთელმა პროლეტარიატმა მრავალჯერ უნდა გაადიდოს მუშაობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ცეკამ ჯერ კიდევ 1927 წ. 1 ივლისის წერილში დასახა, პარტიამ და პროლეტარიატმა კიდევ უფრო გააძლიერონ თავდაცვითი მუშაობა ქალაქად **და სოფლად**, ნამდვილად უნდა შეასრულონ გამალებული. მწყობრი მუშაობის გაძლიერების და დისციპლინის აწევის ლოზუნგი, ლოზუნგი ორი მიმართულებით მუშაობისა: კიდევ უფრო განვავითაროთ ეკონომიური და კულტურული **სოციალისტური მშენებლობა** და კიდევ უფრო ვემზადოთ საბჭოთა კავშირის **სამხედრო თავდაცვისათვის.**

გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა ქმნის დამატებით სიძნელეებს ჩვენი ქვეყნისათვის. მთელი მშენებლობა უნდა სწარმოებდეს ორი მიმართულებით:—მშენებლობის ხაზით და თავდაცვისათვის სამხედრო მზადების ხაზით. ჩვენი მეურნეობისათვის **საჭიროა** შრომის კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერება და დისციპლინა. თავდაცვის ამოცანები დამატებითი რეზერვების შექმნას მოითხოვენ. ამხ. რიკოვის გამოანგარიშებით იმ საშუალებების ჯამი, რომელიც გამოყოფილ უნდა იქნეს სამეურნეო ბრუნვიდან და როგორც „მკვდარი კაპიტალი" გადადებული რეზერვებში და აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობისათვის, მახლობელ წელში სულ ცოტა ერთ მილიარდ მანეთს უდრის. ომის საფრთხე დიდათ ზრდის რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეებს. ეს დიდ მსხვერპლს მოითხოვს მუშისაგან, გლეხისაგან, მძიმე ტვირთად დააწვება ნეპმანსა და კულაკს. ახალი პერიოდის სიძნელენი ბუნებრივად გამოიწვევენ ერთგვარ გამოცოცხლებას ქალაქისა და სოფლის ნეპმანურ და კულაკურ წრეებში; აუცილებელია მერყეობა გლეხობის ერთ ნაწილში; ეს მერყეობა გადადის პროლეტარიატის ყველაზე ნაკლებად გამობრძმედილ და ჩამორჩენილ ჯგუფებშიაც.

ეს მერყეობა დაძლეული იქნება პროლეტარიატის უდრეკ რევოლიუციონური ნებისყოფით, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის უყოყმანოდ დაცვის ლოზუნგით თან გაიყოლიებს გლეხობის ძირითად მასებს.

ოპოზიცია და ომის საფრთხე

რა ემართება ოპოზიციას ამ საკითხში? ის, არსებითად, სდგას პირობითი თავდაცვის პოზიციაზე, რა თქმა უნდა, **ლაპარაკია ოპოზიციონერების არა პირად ქანაობაზე—დაიცავენ თუ არა ისანი მკერდით საბჭოთა კავშირს,—არამედ** იმაზე, რომ იმ შენიშვნებით, რომელსაც ოპოზიცია უკეთებს საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგს, ის **ობიექტიურად გამოდის წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და ქანაობის გამომხატველად საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური თავდაცვის საქმეში.**

მართალია, **სიტყვიერად** ოპოზიცია ფეხდაფეხ მიყვება პარტიას,—თავის 8 აგვისტოს განცხადებაში ოპოზიცია ამბობს:

„ჩვენ უყოყმანოდ და უსათუოდ დავიცავთ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს იმპერიალიზმისაგან. ჩვენ, რა თქმა უნდა, უსათუოდ და უყოყმანოდ ვართ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მომხრე ეხლანდელ ცეკას, კომინტერნის აღმასკომის არსებულ ხელმძღვანელობის პირობებში".

ამით ოპოზიცია იძულებული გახდა უკან დაეხია მთელ რიგ თავისი წინანდელი განცხადებებისაგან. მაგრამ საქმით ოპოზიცია პარტიისა და ქვეყნის მდგომარეობის ისეთ შეფასებას იძლევა, რომ ასეთ შეფასებასთან **სრულიად შეუძლებელია საბჭოთა კავშირის უხათუოდ და უყოყმანოდ დაცვის ლოზუნგის დაკავშირება.** ეხლანდელ პერიოდში საერთაშორისო საკითხები და საბჭოთა კავშირის დაცვის ამოცანები გაცილებით უფრო დაკავშირებულია ქვეყნის **შინაურ მდგომარეობისა და პარტიის** მთელ პოლიტიკასთან ქვეყნის შიგნით, ვიდრე ოდესმე. **საბჭოთა კავშირის** უყოყმანოდ დაცვის აღიარება თვითეული პროლეტარისათვის, საკავშირო კომპარტიის თვითეული წევრისათვის ნამდვილად მაშინ არ იქნება მხოლოდ ფრაზა, როცა ეს აღიარება დაკავშირებულია საქმესთან და მოქმედებასთან საბჭოთა კავშირის მშენებლობის დარგში. ოპოზიცია კი, როგორც ჩვენ ამას ქვევით დავინახავთ, სწორედ აქ იტეხს ფეხს და სდგება პირობითი თავდაცვის პოზიციაზე.

ოპოზიცია არ გამიჯნულა ამხ. ტროცკის ამ გამოსვლებისაგანაც კი, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგს ეხება და მიმართულია პარტიის წინააღმდეგ.

ამხ. ტროცკი სწერდა ამხ. ორჯონიკიძეს: „რა არის პორაჟენცობა? პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმ „საკუთარი" სახელმწიფოს დამარცხებისაკენ, რომელიც მტრული კლასის ხელშია. პორაჟენცობის სხვანაირი ახსნა-განმარტება ფალსიფიკაცია იქნება. ასე, მაგალითად, თუ ვინმე იტყვის, რომ **მცონარე და უსინდისო შპარგალშჩიკების პოლიტიკური ხაზი აღგვილ უნდა იქნეს, როგორც ნაგავი, სწორედ მუშათა სახელმწიფოს გამარჯვების ინტერესებისთვის**,—ამით ის ჯერ კიდევ სრულიადაც არ ხდება **„პორაჟენეცი"**. პირიქით, არსებულ კონკრეტიულ პირობებში სწორედ ის არის რევოლიუციონური თავდაცვის ჭეშმარიტი გამომხატველი: იდეური ნაგავი გამარჯვებას არ იძლევა".

და შემდეგ, ამხ. ტროცკი თავის პირობითი თავდაცვის პოზიციას ანვითარებს ცნობილ „კლემანსოებურ" აზრთა წყობაში.

„დიდათ ჭკუის მასწავლებელი მაგალითები მოიძებნა შეიძლებოდა სხვა კლასების ისტორიაში. მოვიყვანთ მხოლოდ ერთს. საფრანგეთის ბურჟუაზიას იმპერიალისტური ომის დასაწყისში ჰყავდა **უსახო და უფერო მთავრობა**. კლემანსოს ჯგუფი ოპოზიციაში უდგა ამ მთავრობას. მიუხედავად ომისა და სამხედრო ცენზურისა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები პარიზიდან 80 კილომეტრის დაშორებით იყვნენ (კლემანსო ამბობდა: „სწორედ ამიტომ"-ო), ის გააფთრებულ **ბრძოლას აწარმოებდა წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და გაუბედაობის წინააღმდეგ**— იმპერიალისტურ სისასტიკისა და დაუნდობლობისათვის. კლემანსო არ ღალატობდა თავის კლასს, ბურჟუაზიას,—პირიქით, ის უფრო ერთგულად, მტკიცედ, გაბედულად და გონივრულად ემსახურებოდა მას, ვიდრე ვივიანი, პენლევე და კომპანია. ამბების შემდგომმა მსვლელობამ ეს დაამტკიცა. კლემანსოს ჯგუფმა აიღო ძალა-უფლება ხელში და მან უფრო თანმიმდევრობით, უფრო ყაჩაღური იმპერიალისტური პოლიტიკით უზრუნველჰყო საფრანგეთის ბურჟუაზიის გამარჯვება. იყვნენ თუ არა საფრანგეთის ისეთი კალმისნები, რომლებიც კლემანსოს ჯგუფს პორაჟენცებს უწოდებდენ? ალბად იყვნენ: სულელები და ცილისმწამებლები ყველა კლასების ქარავანს მიჰყვებიან. მაგრამ მათ ყოველთვის არა აქვთ შესაძლებლობა ერთნაირად მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ".

მაშასადამე, ამხ. ტროცკის შეხედულებით, რომ „რევოლიუციონური თავდაცვის ჭეშმარიტი გამომხატველი" იყოს, ამისათვის საჭიროა: 1) პარტიის ხაზის შეცვლა, მისი აპარატის გარეკვა, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ტროცკიზმის წინააღმდეგ; 2) მთავრობის შეცვლა ისეთით, რომელიც არ იქნება მერყევი და გაუბედავი. ყველაფერი ეს ლოგიურად მჭიდროთაა დაკავშირებული ოპოზიციის „ტერმიდორიანულ" შეხედულებებთან. ამხ. ტროცკის დასკვნა ყველა ამ მსჯელობიდან ასეთია: არა საბჭოთა კავშირისა და პარტიის დაცვა იმ სახით, როგორი სახითაც ისინი არსებობენ, არამედ **ბრძოლა** პარტიისა და მისი ხაზის წინააღმდეგ.

ცეკას პლენუმზე ოპოზიცია თავის განცხადებაში 8 აგვისტოს თარიღით უკან იხევს, მაგრამ იგი მაინც მერყეობს. ამით ოპოზიცია მომავალ ბრძოლაში კომუნიზმისა და იმპერიალიზმის შორის—საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის—ობიექტიურად სდგება მერყევ პოზიციაზე, იგი გამოხატავს საშუალო სოციალური ფენების და პროლეტარიატის ცალკე ჯგუფების მერყეობას. სწორედ ამით ოპოზიცია მომავალ სიძნელეთა წინაშე უმთავრეს გადამჭრელ საკითხში სტოვებს რევოლიუციონურ პროლეტარიატის ხაზს.

რასაკვირველია, თავის მერყეობის პოზიციას ჰფარავს უაღრესი რევოლიუციონური „მემარცხენე" ფრაზებით. იგივე, რასაც ადგილი აქვს საერთოდ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხში,—მეორდება ჩინეთის რევოლიუციის საკითხში. ხოლო „მემარცხენე", „რევოლიუციონური" შეცდომები ჩინეთის საკითხში ოპოზიციას აყენებს ჩინეთის რევოლიუციის განვითარების შესუსტების და შეფერხების გზაზე.

ჩინეთის რევოლიუციის საკითხში განსაკუთრებით ნათლად სჩანს, თუ როგორ არ სურს ოპოზიციას დაინახოს მოვლენათა ობიექტიური მდგომარეობა, თუ როგორ არ სურს მას გაუკეთოს ანალიზი ჩინეთის რევოლიუციის ობიექტიურ სიძნელეებს, და დამარცხებას ეხლანდელ სტადიაში იგი ხსნის მხოლოდ ხელმძღვანელობის შეცდომებით, რომელნიც ვითომც გამოწვეულია იმით, რომ თითქოს საკავშირო კომპარტიის ცეკა შორდება კლასობრივ პროლეტარულ ხაზს და სხ.

ოპოზიცია ხედავს ჩინეთის რევოლიუციის მხოლოდ დამარცხებას. მაგრამ ჩინეთის რევოლიუციის პირველმა სტადიამ უდიდესი პლიუსი მოგვცა: პირველად გამოფხიზლდენ და აამოძრავდენ ჩინეთის მუშათა და გლეხთა უდიდესი მასები. რევოლიუციის პირველმა სტადიამ გამოაფხიზლა მუშათა და გლეხთა მოძრაობის უდიდესი პოტენციალური ძალები. ამ სტადიას სრულიადაც არ გადაუწყვეტია ჩინეთის რევოლიუციის მიერ დასმული საკითხები. ამიტომ, მუშათა და გლეხთა მოძრაობა ჩინეთში, განიცადა რა მან დროებითი მარცხი, აუცილებლად ფართოდ გაიშლება პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის განხორციელების ლოზუნგების მიხედვით, და ამით მომზადდება გადასვლა სოციალისტური რევოლიუციისაკენ.

ჩინეთის რევოლიუციის დროებითი დამარცხების წინაშე ოპოზიცია ჰკარგავს ამ პერსპექტივებს და თავისი შეცდომების ქსელში იხლართება.

ოპოზიციის შეცდომები ჩინეთის რევოლიუციის შეფასებაში აიხსნება იმით, რომ ოპოზიცია გვერდს უვლის განსხვავებას, რომელიც არსებობს რევოლიუციის გაფართოების შორის ჩაგრულ და მჩაგვრელ ქვეყანაში.

ლენინი ამბობდა:

„რა არის ჩვენი თეზისების ყველაზე უფრო ძირითადი იდეა? განსხვავება ჩაგრულ და მჩაგვრელ ერებს შორის. ჩვენ ხაზს უსვამთ ამ განსხვავებას წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისა". (ლენინი, სიტყვა, წარმოთქმული კომინტერნის მეორე კონგრესზე).

„კომუნისტური ინტერნაციონალი **დროებით** უნდა შეუთანხმდეს, **კავშირიც** კი უნდა დაიჭიროს **კოლონიებსა** და **ჩამორჩენილი ქვეყნების** ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, მაგრამ არ უნდა შეუერთდეს მათ, მან აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს პროლეტარული მოძრაობის დამოუკიდებლობა თვით ჩანასახის ფორმაშიაც კი". (ლენინი, თხზ. კრებ. ტ. 19, გვ. 270).

ოპოზიცია, შორდება რა ლენინის ხაზს. შემცდარ ანალიზს უკეთებს ძალთა განწყობილებასაც, ტაქტიკურ ხაზსაც ჩინეთის რევოლიუციის პირველ პერიოდში. როცა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო პროლეტარიატის და ეროვნული ბურჟუაზიის ბლოკი. ოპოზიცია ვერ ანსხვავებს ჩინეთის რევოლიუციის ეტაპებს. ამით ოპოზიცია **არსებითად ლენინის ნაწერებიდან შლის მთელ თავს—იმ თავს, რომელიც შეეხება ეროვნულ და კოლონიალურ საკითხს.**

ა. ქ—ი.

რკინისგზეზე

ახალი სადგური

ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობის დადგენილებით, ჯულფა - ბაქოს რკ. გზაზე აშენდება ახალი სადგური — საათლი.

კოპტონის ექსპორტი

ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტს განზრახვა აქვს, სექტემბერში განჯიდან ბათომში გადაზიდოს 150 ვაგონი საექსპორტო კოპტონი (ქუმბა).

გადაზიდვა 1927 — 28 წელს

ამ.-კავკ. გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტმა დაამტკიცა ა.-კ. რკ. გზ. 1927—28 წ. პირველ კვარტალის გადაზიდვის საორიენტაციო გეგმა.

ამ გეგმის თანახმად, საშუალოდ დღე - ღამის განმავლობაში გზამ ოქტომბერში უნდა გადაზიდოს 1240 ვაგონი ტვირთი, ნოემბერში 1320 ვაგონი და დეკემბერში 1270 ვაგონი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 17 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიცურ მუშათა 1-ლი სექცია: შახნაზაროვა მარიამ, მიკირტიჩიანც მამედ, დომუროვ ჰელიტონ, პაიპიკიან სურენ, ანდრიევა მარიამ, ნესტორენკო დარია, გეურქოვა ელენე, შოვისგალი, დურიშიან გიორგი.

გონებრივ მუშაკთა 2-რე სექცია: გალაჩიან მარია, გოზალაშვილი იოსებ, დენემიკიანი კარაპეტ, ისენენკო ოლღა, ვოევოდა ივანე, ოგანეზიან ბაგდან, ჩქარული ივანე, სარქისოვი ასტრიკ, მეგრელიშვილი დავით, ნიღეკოვი ნიკოლოზ, ბარონიან ნინა, გოგონეიშვილი კონსტანტინე, კაკულოვ იპოლიტე, სტეპესოვა კლარა, პეტროსიანი ვაგარშაკ, ჩახმახჩიან არაქსი, თარხნიშვილი ნიკოლოზ, ასტვაცატურიან სირახ, სუსტრეკოვა გლიკელია, სმირნოვა მარიამ, ტერგაბრიელოვი არშაკ, ხალათოვა ევგენია, სიმონიანცი ევგენია.

რკინისგზის მე-7-დე სექცია: ბატონისაშვილი მარიამ, ზურაბოვ ვასილი, ცარევსკი მიხეილ, ლანდუროვ გიორგი, ნოსოვა ანნა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება **თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების** ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა. ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს: **კოვალსკაიას, კოზლოვსკის, მუსოიანს, ჩუხრუკიძეს, მირაქოვს, უნაფქოშვილს, გიკს, იაცენკოს, ბოლშაკოვს, ვასილიევს** სთხოვენ აუცილებლად გამოცხადდენ თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე (კალოუბნის ქ. 7). აუცილებელია აგრეთვე საღამოების ჩამტარებელ კომისიის წევრების დასწრება.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედთა კოლექტივის ბიურო** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ კოლექტივის ბიუროში: მარგალიტაძე ნესტორ ივანეს ძე, რამიშვილი ილია ლავრენტის ძე, ცხადაძე ნიკოლოზ იასონის ძე, კუპავა ეროშია.

— საქ. კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიონული კომიტეტი** იუწყება რომ დღეს, 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, ამიერკავკასიის ფინსახკომის ბინაზე შესდგება 1927—28 წლის მოწვევის ახალ დელეგატ - ქალების არჩევნები.

სავალდებულოა შემდეგ დაწესებულებათა თანამშრომელ ქალების დასწრება: ქალაქის ბანკის, სახელმწიფო ბანკის, საქართველოს ფინსახკომის, ამიერ - კავკასიის საკრედიტო ბიუროსი, ბანკის დაწესებულებათა და ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი.

— **საქ. კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის** სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. მეგრელიძეს და აშოტ თუმანიანს სასწრაფოდ გამოცხადდენ სააღრ. - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 54) ამხ. **ისაკოვთან.**

— საქ. კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიონული კომიტეტი** იუწყება, რომ დღეს, 17 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება 1927 — 28 წლის მოწვევის ახალ დელეგატების არჩევნები.

სავალდებულოა სახალხო კვების და გემო-კვების ცენტრალურ გამგეობის თანამშრომელ ქალების დასწრება.

— **საქ. კომ. პ. (ბ) ქალაქის რაიონულ კომიტეტის** სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს უჯრედიდან № 50, გამოცხადდენ დღეს, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე ამხ. ჩაჩანიძესთან (რაიკომის ბინაზე, ოთახი 42): 1) ნიკოლაევა, 2) ვულბანი, 3) გეგეჭკორი, 4) კიზირია.

სევერიანე იესეს-ძე არობელიძე შვილებით: [illegible] და კარლოთი, დედა მატრონა ყარამანის ასული ხავთასისა შვილებით ნიკოლოზ და მაროთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 16 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა მეუღლე და დედა, მეორეთა შვილი და და [illegible]

ანიკო კოწიას ასული არობელიძე
ხავთასისა

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 სექტემბერს, ცხედარი გამოსვენებული იქნება პანასევიჩის ქ. № 36. 3863

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი აქვეყნებს სიას იმ სახელმძღვანელოებისას, რომლებიც სკოლებში სავალდებულო სახმარებლადაა მიღებული. ამასთანავე კომისარიატი სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ გადაჭრით აკრძალულია ისეთი სახელმძღვანელოების ხმარება, რომლებიც ამ სიაში არაა მოთავსებული.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე **მარ. ორახელაშვილი**

შრომის სკოლის სახელმძღვანელოები

1 ჯგუფი.

1. **ა. გვახარია და ვ. ძიძიგური** „პირველი წიგნი" (ორივე ნაწილი).
2. **ბოცვაძე, ბურჯანაძე, ჩიხლაძე** „ახალი წიგნი". ნ. ნ. 1 და 2.

ერთი რომელიმე

3. მოძრავი ფერადი ანბანი.

2 ჯგუფისათვის

1. **მასწავლებელთა ჯგუფი**—„შრომა და ცოდნა" (სამუშაო წიგნი).
2. **ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე** „ჩირაღდანი" (სამუშაო წიგნი).
3. **ტ. ზაალიშვილი** „ნაკადული" (სამუშაო წიგნი).
4. **დიდია და ლაზარიშვილი** „ჩვენი შრომა (სამუშაო წიგნი).

ერთი რომელიმე

5. **ნ. კვინიკაძე, ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე**—„არითმეტიკა შრომის სკოლაში".

3 ჯგუფისათვის

1. **გ. ბურჭულაძე და გ. ჭუმბურიძე** „ჩვენი სოფელი" (სამუშაო წიგნი).
2. **პ. ზუმბაძე და ა. გვახარია** „ბუნება და შრომა" (სამუშაო წიგნი).
3. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ჩვენი მხარე" (სამუშაო წიგნი ქალაქის სკოლებისათვის).
4. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი სოფელი" (სამუშაო წიგნი).

ერთი რომელიმე

ა. ლორთქიფანიძე, ა. დევიძე, ა. ხარაბაძე „მათემატიკურ ამოცანათა კრებ.

6. **ს. ოცხელი და წულუკიძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებული".

ერთი რომელიმე

7. **ფურცელაძე „Живая струйка"** რუსული ენის სახელმძღვანელო მე-3 და მე-4 ჯგუფისათვის.

მე-4 ჯგუფისათვის

1. **გ. ჭუმბურიძე** „თაიგული" (სამუშაო წიგნი).
2. **ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე** „საზოგადოებათმეცნიერება".
3. **დ. დონდუა** „წყარო"-(ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია).
4. **ა. დევიძე, ა. ხარაბაძე და ა. ლორთქიფანიძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებული".
5. **ს. ოცხელი და წულუკიძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებული".

ერთი რომელიმე

6. **ფურცელაძე „Живая струйка"** მე-3 და მე-4 ჯგუფისათვის.
7. **შაფაქიძე**—თვალსაჩინო პრაქ. გეომეტრია ნაწ. 1.

მე-5 ჯგუფისათვის

1. **ივ. გომელაური და ვ. ხუროძე** „სხივი".

ერთი რომელიმე

2. **ი. მეტრეველი და ბ. ჩიქობავა** „ახალი ქვეყანა".
3. **თ. ჭუმბურიძე** „საზოგადოებათმეცნიერება".
4. **ნ. კეცხოველი და სხვ.** „ბუნება და სოფლის მეურნეობა".
5. **ს. იაშვილი „ბოტანიკა"** ბუბლიკოვის წიგნიდან გადმოკეთებული.
6. **ს. იაშვილი** „მსოფლიო მოკლე გეოგრაფია".
7. **ა. ხარაბაძე** „მათემატიკური ამოცანები".
8. **ნ. შაფაქიძე** „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია (ნაწ. მეორე).
9. **დ. უჩანეიშვილი და ს. ძიმისტარიშვილი** „საქართველოს ისტორია".
10. **ა. მუჯირი** „არაორგანიული ბუნება".
11. **ელჩანინოვი** „ბუნებისმეტყველება სასოფლო მეურნეობის საფუძველზე" (დამხმარე წიგნი).

მე-6 ჯგუფისათვის

1. **ს. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი** „ახალი მნათობი".
2. **მათივე** „წითელი კანდელი".

ერთი რომელიმე

3. **თ. ჭუმბურიძე** „საზოგადოებათმეცნიერება".
4. **ხარაბაძე და დევიძე** „მათემატიკური ამოცანები".
5. **კ. ბერიძე და კორძახია** „სამუშაო წიგნი მათემატიკაში" (6—7 ჯგუფ.).

ერთი რომელიმე

6. **ს. იაშვილი** „ს. ს. რ. კავშირი".
7. **ყავრიშვილი** „ევროპა".
8. **ნ. შაფაქიძე** „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია". (ნაწ. მე-2).
9. **ნ. ნიკოლაიშვილი** „ქართული ენის გრამატიკა".
10. **დ. ქუთათელაძე** „ზოოლოგია".
11. **პ. ქავთარაძე** „ახალგაზრდა ბუნებისმეტყველის თანამგზავრი" (დამხმარე).
12. **ი. გაჩეჩილაძე** „მეტეოროლოგია".

მე-7 ჯგუფისათვის

1. **ს. გორგაძე, ვ. ხუროძე, შ. თაბუკაშვილი** „ტალღები".
2. **თ. ჭუმბურიძე** „საზოგადოებათმეცნიერება".
3. **საყვარელიძე და კეჭეღმაძე** „საქართველოს გეოგრაფია".
4. **ა. ჯავახიშვილი** „პრაქტიკული ვარჯიშობანი გეოგრაფიაში".
5. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ფიზიკის ელემენტები" (6—7 ჯგუფისათ.)
6. **კ. ბერიძე და კორძახია** „სამუშაო წიგნი მათემატიკაში".
7. **ა. ხარაბაძე** „მათემატიკური ამოცანები".
8. **ი. ნიკოლაიშვილი** „ქართული ენის გრამატიკა".
9. **ჩუბინიძე** „ადამიანის ანატომია, ჰიგიენა და ფიზიოლოგია".
10. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ფიზიკის ელემენტები".
11. **ტრ. თაბუკაშვილი** „სასვენი ნიშნები" (დამხმ.)

მე-8 ჯგუფისათვის

1. **ს. გორგაძე** „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია".
2. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი ქართული ქრესტომატია", ნ. 1-ლი.
3. **თ. ბეგიაშვილი** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნ. 1-ლი. (დამხმარე).
4. **ს. მაკალათია** „საზოგადოებათმეცნიერება".
5. **ს. ბერეჟიანი და ყიფშიძე** „ფიზიკური გეოგრაფია".
6. **ა. ხარაბაძე და ა. დევიძე** „ალგებრა".
7. **კ. კანდელაკი** „ლოღიკური გეომეტრია".
8. **გ. წერეთელი** „სტერეომეტრია" (დამხმ. წიგნი).
9. **საზანოვი და ვერხოვსკი** „ქიმიის სახელმძღვანელო".
10. **მათივე** „პრაქტიკული ვარჯიშობანი ქიმიაში". (დამხმარე).
11. **კ. სულაქველიძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
12. **ა. დევიძე და ა. ხარაბაძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
13. **დ. მგელაძე და ვ. კანდელაკი „Труд и Знание".**
14. **პოპოვი** „საკავშირო კომპარტიის ისტორია (დამხმარე).
15. **კორნილოვი** „ფსიქოლოგია".
16. **მენი და ტვისი** „ფიზიკა" 1-ლი ნაწ.

მე-9 ჯგუფისათვის

1. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი ქართული ქრესტომატია ნ. ნ. 2—3.
2. **თ. ბეგიაშვილი** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნ. 1-ლი (დამხმარე).
3. **ვ. ხუროძე** „ქართული ლიტერატურის თემატიურად გახხილვა" (დამხმარე).
4. **ტარასოვი** „საზოგადოებათმეცნიერება" ნ. ნ. 1-ლი და მე-2.
5. **ს. ხუნდაძე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნ. ნ. 1-ლი და მე-2 (დამხმარე).
6. **ს. მაკალათია** „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია (დამხმარე".
7. **ვოლოსევიჩი** „საკ. კომპარტიის ისტორია" (დამხმარე).
8. **გ. ჯანაშვილი** „საქ. ეკონომიური გეოგრაფია".
9. **ალ. ჯავახიშვილი** „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი" (დამხმარე).
10. **ა. ჩხენკელი** „ბიოლოგია"
11. **მ. ჭავჭანიძე** „ბიოლოგია"
12. **კ. ბერიძე** „ლოგარითმების ცხრილი".
13. **კ. სულაქველიძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
14. **ა. ხარაბაძე და ა. დევიძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
15. **ა. ხარაბაძე და ა. დევიძე** „ალგებრა".
16. **მენი და ტვისი** „ფიზიკა" ნ. მე-2.
17. **საზანოვი და ვერხოვსკი** —ქიმიის სახელმძღვ.
18. **მათივე** „პრაქტიკული ვარჯიშობანი ქიმიაში" (დამხმარე).
19. **კ. კანდელაკი** „ლოღიკური გეომეტრია".
20. **კორნილოვი „ფსიქოლოგია"** (წიფურიას თარგმანი).
21. **დ. მგელაძე და ვ. კანდელაკი. „Труд и знание".**
22. **დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე**—„კლასთა ბრძოლის ისტორია" (დამხმარე).

განხრიან ცხრაწლედებისათვის სპეციალურ საგნებში

პედაგოგიური განხრა

1. **კორნილოვი** „სკოლის ასაკამდე აღზრდის ყოფაქცევის შესწავლა".
2. **პაილი** „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლაში" **ი. ფერაძის** თარგმანი.
3. **მაჩაბელი, წულუკიძე, უნაფქოშვილი** „წერა-კითხვა საბავშვო ბაღში".
4. **უნაფქოშვილი-უშვერიძისა** „ბუნება საბავშვო ბაღში".
5. **მარ. ორახელაშვილის** რედაქციით კრებული „სკოლის ასაკამდე აღზრდა".
6. **პინკევიჩი** „პედაგოგიკა, ტ. მე-2 შრომის სკოლა".
7. **მისივე** „ბუნებისმეტყველების მეთოდიკა".
8. **ეგნატაშვილი** „ტანთვარჯიში 1-ლ საფ. შრომის სკოლაში".

სას. სამ. განხრა

9. **გორთამაშვილი** „მებაღეობა".
10. **მისივე** „მებოსტნეობა".
11. **ქიქოძე** „მეღვინეობა".
12. **აპ. წულაძე** „ფუტკარი და მისი მოვლა".
13. სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა (100 წიგნაკი).
14. **თვალჭრელიძე** „ციტრუსოვანთა კულტურა"..

კოოპ. განხრა

16. **მასლოვა** „კოოპერაციის საფუძვლები".
15. **ინწკირველი** „ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები" (დამხმარე).

მასწავლებლებისათვის:

1. **ბურჭულაძე** „არითმეტიკის მეთოდიკა".
2. **მგელაძე, კვინიკაძე, შაფაქიძე** „არითმეტიკა შრომის სკოლაში ნ. 1-ლი.
3. **მეტრეველი და არჯევანიძე** „არაორგანიული ბუნება", ნ. 1-ლი.
4. **მათივე** „მცენარეები".
5. **ქავთარაძე** „პირველი მუშაობანი მიკროსკოპით".
6. **მისივე** „ბუნება სკოლასა და სახლში".
7. **გოგლიჩიძე** „საბავშვო მოძრავი თამაშობანი".
8. **შავერზაშვილი** „საბავშვო სიმღერათა კრებული".
9. **გიორგაძე** „ფიზიკური ვარჯიშობანი".
10. „დებულებანი პედ. მუშაობაში" კრებული.
11. **ვ. კაკაბაძე** „ქიმიის სწავლებისათვის".
12. **პაილი** „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლაში"—**ილია ფერაძის** თარგმანი.

ქართული ენის სახელმძღვანელოები არა ქართული სკოლებისათვის:

1. **მეტრეველი და სიხარულიძე,** „ქართული ენა არა ქართვ." 3—4 ჯგუფისათვის.
2. **კალანდარიშვილი და წერეთელი** „ცოცხალი სიტყვა" მე-3 და მე-4 ჯგუფ.
3. **მეტრეველი და სიხარულიძე** „ძმობა" ნაწ. 1, მე-2. და მე-3 (5, 6—7 ჯგუფ.)
4. **წულეისკირი და ქარცივაძე** „ქართული ენა არა ქართველთათვის" (8—9 ჯგუფ.)

ტეხნიკუმებისათვის

(გარდა შრ. სკოლ. სახელმძღვ. წიგნებისა)

1. **გ. ასათიანის** მიერ ცვილინსკაიადან გადმოკეთებული „ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა".
2. **მეფისაშვილი** „გეომეტრიული ხაზვა".
3. **გულისაშვილი** „მანქანათა ნაწილი".
4. **მისივე** „მხაზველობით გეომეტრია".
5. **კაპნიაევი** „ელექტრო-ტეხნიკის საფუძვ.".
6. **ბელსკი** „სასოფლო-სამ. ჰიდრო-ტეხნიკა".
7. **ქავთარაძე** „პირველი მუშ. მიკროსკოპით".
8. **წულეისკირი** „ქართული ენის სახელმძღვანელო". არა ქართვ.
9. **ივ. გაჩეჩილაძე** „მეტეოროლოგია".
10. **ა. ჩხენკელი** „ბოტანიკა" (სისტემატ. კურსი).
11. **ლოსაბერიძე** „ჰიგიენა".
12. **კვინიკაძე, მგელაძე, შაფაქიძე** „მათემატიკის სახელმძღვანელო" (მუშფაკისათვის).
13. **პ. ჩარექიშვილი** „მათემატიკის სახელმძღვანელო" (მუშფაკისათვის).
14. **დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე** „კლასთა ბრძოლის ისტორია".
15. **ა. ინწკირველი.** „ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისრის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**
სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**
სასკოლო განყოფილების გამგე **გ. გოგუაძე.**

სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა

პარტსკოლების, მუშფაკების და უნივერსიტეტისათვის

პარტსკოლებისათვის

1. კომკავშირის პოლიტკითხვის ჯგუფის სახელმძღვანელო.
2. **ტაიშინი და კოზლოვი** „პოლიტცოდნა".
3. პოლიტცოდნა (პირვ. საფ. კომკავშ. სკოლ. სახელმძღვანელო)
4. **გრიშინი** „პოლიტცოდნა".
5. **აბუზგაუზი და პროტასოვი** „პოლიტცოდნა".
6. **ვოლოსევიჩი** „პარტიის ისტორია".
7. **პოპოვი** „ს. კ. პ. ისტორია".
8. **კერჟენცევი** „ლენინიზმი".
9. **სტალინი** „ლენინიზმის საკითხები".
10. **ლენინი**—თხზულებანი ტ. მე-10, მე-14 და მე-18.
11. **კაუცკი**—ეთიკა და ისტ. მატერ. შემეცნება.
12. **პლეხანოვი**—ნარკვევი მატერ. ისტ-იიდან.
13. „ისტორიული მატერიალიზმი"—შედგენილი **მოსე გოგიბერიძის მიერ** (ქრესტომატია)
14. **კ. კაუცკი**—უახლოეს სოციალიზმის წინამორბედნი.

უნივერსიტეტისათვის

1. **ყანჩაველი** „ბოტანიკა" ნაწ. 1-ლი.
2. **მისივე** „ბოტანიკა" ნაწ. მე-2.
3. **თიკანაძე** „მეანობის მოკლე სახელმძღვანელო".
4. **ხარაძე** უმაღლესი მათემ. შესავალი.
5. **მაჭავარიანი** მუცლის ღრუის ქირურგია ნ. 1-ლი.
6. **მისივე** კიდურთა ქირურგია ნაწ. მე-2.
7. **დიდებულიძე** ელექტრო-ტეხნიკის მათემატიკური საფუძვლები.
8. **ლოლობერიძე** ოპერატიული მეანობა.
9. **ფარცვანიძე** ვეტერინარიის საფუძვლები.
10. **ი. ბერითაშვილი** „ზოგადი ფიზიოლოგია რეფლექსოლოგიით".
11. **გოგიტიძე** „ბავშვის კვება".
12. ისტორიული მატერიალიზმის ქრესტომატია—შედგენილი **მ. გოგიბერიძის მიერ.**
13. **მეგრელიძე** „საქონელთმცოდნეობა".
16. **პოპოვი** „საკავშირო კომპარტიის ისტორია".
17. **ვოლოსევიჩი** „პარტიის ისტორია".
18. **რუბინი** „ეკონომიურ აზროვნების ისტორია"
19. **მაისურაძე** „პრაქტიკული ვარჯიშობის რჩეული ჰისტოლოგიაში".
20. **რაზმაძე** „ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ. 1-ლი".
21. **შ. მიქელაძე და ნ. მახვილაძე** „კლინიკური ანალიზები".
22. **ა. ინწკირველი**—„ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები".
23. **ნ. კახიანი** „ქირურგიული ანატომია".
24. **კ. კეკელიძე** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნაწ. მე-2.
25. **გეხტმანი** „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია".

დამხმარე და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის ნებადართული ლიტერატურა

1. ბელეტრისტიკა

1. **ა. წერეთელი** თხზულებანი ტ. 1, 2, 3 და მე-4.
2. **დ. კლდიაშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
3. **ს. მგალობლიშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
4. **რ. ერისთავი** რჩეული ლექსები.
5. **არაგვისპირელი** „გაბზარული გული".
6. **ჭოლა ლომთათიძე** მოთხრობები ტ. 1-ლი და მე-2.
7. **ბარნოვი** „არმაზის მსხვრევა".
8. **ი. დავითაშვილი** რჩეული ლექსები.
9. **შ. არაგვისპირელი** რჩეული ნაწერები.
10. **გ. წერეთელი** თხზულებანი.
11. **ე. ნინოშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
12. **ევდოშვილი** „გულითადი მეგობარი".
13. **ნ. ლომაური** მოთხრობები.
14. **ერისთავ-ხოშტარია** „მოლიპულ გზაზე".
15. **შ. რუსთაველი** „ვეფხის ტყაოსანი".
16. **ნ. ლომაური** „ალი".
17. **მისივე** „ქაჯანა".
18. **ჭონქაძე** „სურამის ციხე".
19. **ე. ნინოშვილი** „გ. უიშვილი".
20. **მისივე** „პალიასტომის ტბა".
21. **ა. წერეთელი** „გამზრდელი".
22. **მისივე** „ბაგრატ დიდი".
23. **მისივე** „თორნიკე ერისთავი".
24. **მისივე** „თამარ ცბიერი".
25. **მისივე** „კიკოლას ნაამბობი".
26. **მისივე** „ნაცარქექია"
27. **რ. კალაძე** ე. ნინოშვილის ბიოგრაფია.
28. **დ. სულიაშვილი** „ნაღვერდალი".

გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება

1. **ყავრიშვილი** „სვანეთი".
2. **ე. გაბლიანი** „ძველი და ახალი სვანეთი".
3. **ე. გაბლიანი** „თავისუფალი სვანეთი".
4. **ფ. მახარაძე** „სვანეთი".
5. **პ. მ. საყვარელიძე** „ძველი და ახალი ჩინეთი".
6. **ბურჯანაძე** „შორეული აღმოსავლეთი".
7. **გ. გეხტმანი** „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია"
8. **ი. ასლანიშვილი** „ექსპედიცია სვანეთში".
9. **ა. ჭარვუდი** „განახლებული დედამიწა".
10. **მეტრეველი და არჯევანიძე** „არაორგანიული ბუნება ნაწ. 1-ლი.
11. **მათივე** „მცენარეთა აგებულობა" ნაწ. მე-2.
12. **სვენ გედინი** „აპენინიდან ანდამდე".
13. **მალინინი** „ქვეყნიერების ისტორია".
14. **იაკოვლევი** „მეცნიერება მიწის წარმოშობის შესახებ.
15. გეოგრაფიული რუქები დიდი, პატარა.
16. **გორბუნოვი** „ჩვენი დედამიწა", **ჭიჭინაძის** თარგმანი.
17. **ი. ჯიშკარიანი** „წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი".

საზოგადოებათმეცნიერება

1. **ს. წაკალათია** „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია".
2. **რაჭველიშვილი** „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია".
3. **გ. გიორგაძე** „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში".
4. **რაჭველიშვილი** „საქართველოს მოკლე ისტორია"
5. **ს. ხუნდაძე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნაწ. 1-ლი.
6. **მისივე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნაწილი მე-2.
7. **მისივე** „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნ."
8. **დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე** „კლასთა ბრძოლის ისტორია".
9. **პოკროვსკი** „რუსეთის ისტორია".
10. **ლუკინი** „დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია".
11. **ფ. მახარაძე** თხზულებანი ტ. 1, 2, 3 და მე-4.
12. **მისივე** „1905 წელი ამიერ-კავკასიაში".
13. **მისივე „Очерки револ. движен. в Закавказ, 1905 г."**
14. **ლენინი** თხზულებანი ტ. 14, 17 და 19.
15. **სტუჩკა** „საბჭოთა კონსტიტუცია".
16. **მოტილიოვი** „პოლიტიკური ეკონომიის მოკლე ისტორიის კურსი".
17. **სტანჩინსკი** „პოლიტანბანი".
18. **შ. ტაბიძე** „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა".
19. **ბროუნი** „კლასობრივი ბრძოლა ინგლისში".
20. **გ. პლეხანოვი** „ნარკვევი მატერიალურ ისტორიიდან".
21. **გ. დევდარიანი** „საქართველოს კომკავშ. სათავეებთან".
22. ისტორიული მატერიალიზმი. (ქრესტომატია) შედგ. **მოსე გოგიბერიძის მიერ**

სახელმწ. გამომცემლობის გამგე: ბ. ბიბინეიშვილი.

ნ. 1662

საქართველოს სახკინმრეწვის
უახლოესი გამოშვება
1927/28 წ. სეზონი

ამოკ

ცვეიგის რომანის მიხედვით
რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დადგმა

1-1 ნ. 1668

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტის ბაღში).

0—14 ნ. 1388

მხატვრული ისტორიული სურათი
სისხლიანი კვირა (9 იანვარი)
ვისკოვსკის დადგმა. გაპონის როლში ბორონიხინი

უკანასკნელად თბილისში! მხატვრული სურათი
„აზრეკ ზაურ"
დადგმა მიხინის. მთავარ როლში ვ. ბეხტაევი

პირველად თბილისში! მხატვრული შედევრი
„ქარი"
მთავარ როლში სალტიკოვი
ყველგან განსაკუთრებული წარმატება.

მალე რემონტის შემდეგ გაიხსნება კინო „სოლეი",—წავა სურათი, რომელსაც დიდი ინტერესით მოელოდენ—„სამი ეპოქა"—ბესტერ კეიტონის მონაწ.

საჭიროა გამოცდილი
კონტრაგენტები
შემდეგ ქალაქებში!
1. ხაშურში
2. ჭიათურაში
3. ოზურგეთში
4. სურამში
პირობების გაგება გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, რუსთველის გამზ. № 34
0—1 „კომუნისტი" მთავარი კანტორა

„კომუნისტი"
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 23 სექტემბერს 1927 წელსა ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა; გაიყიდება შოთა, კონსტანტინე და ალექსანდრე ილიას-ძე მანაგაძეების ქვიტკირის სახლი № 36, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით დაახლოვებით ასი კვადრატ. საქენი, აპოლონ ბასილაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 250 მანეთათ, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 811 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც.
ნ. 1670

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლიჯის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული სამმართველო
აცხადებს, რომ ამავე კომისარიატის დადგენილებით
„საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება წერ-ქუმსი"
დახურულია და ლიკვიდაცია ქმნილია
ნ. 1669. ადმ. სამ. უფროსი, რესპ. მილ უფროსი ბერაძე.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
13—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება რუსთველის პროს. № 12.
3846

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში.
ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს.
პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა. № 3. 25—

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

დაკარგა სამხედრო აღრიცხვა ნუსხა ფ. № 4, გაცემული ნაქალაქევის სამხედრო მაგიდის მიერ და პირადობის მოწმობა გაცემული ბანძის თემ-აღმასკომის მიერ № 100 ხარიტონ ურიდიას სახელზე, ჩ. გ. 3861

დაკარგა სიღარიბის მოწმობა № 1837 გაცემული ხარაგოულის აღმასკომიდან და მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ იოსების-ძე ჩიკვაიძეს სახელზე, ჩ. გ. 3861

დაკარგა ფურ კამეჩის მოწმობა ლეხაინდრაო-ონოღიის თემის ს. ნაჯხოვში მცხოვრებ ბათუ გიტოს-ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 3861

დაკარგა ოზურგეთის მაზრის ტყის მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 11108, სევასტი ხალამპრეს-ძე ქანტურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3861

დაკარგა პირადობის მოწმობა გაცემული გეჯეთის თემის აღმასკომის მიერ № 323 ანდრი სტეფანეს-ძე გეგიავას სახელზე, ჩ. გ. 3861

დაკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ბარის თემის აღმასკომიდან გრამიტონ იაკობის-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3862

დაკარგა პარტკანდიდატობის ბარათი № 19322 გაცემული შორაპნის სამპარტკომიდან, კავშირის წიგნაკი № 22339 და იარაღის ტარების მოწმობა № 2485 ალექსანდრე რაჟდენის-ძე ვეფხვაძის სახელზე, ჩ. გ. 3860

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა ამსონ კონსტანტინის-ძე მდივანის სახელზე, ჩ. გ. 3858

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 24620 გაცემული ვლადიმერ ანდრიას-ძე ქუკოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1670

დაკარგა კავშირის წიგნაკი, დამხმარე კასის, სამხედრო და სხვა მოწმობები გაცემული მატატ ნოვახის-ძე ატატოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1670

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 1ა551 გაცემული რომან სამსონის-ძე ძოწენიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1670